საქართველოს ისტორია

XII კლასი

დამხმარე სახელმძღვანელო

ავტორები: ნიკა უთალიშვილი
ლელა კაკაშვილი

საკითხი IV. “9 აპრილიდან 9 აპრილამდე” - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

სამიზნე ცნებები: ისტორიული მოვლენა/პროცესი; დრო; ისტორიული წყარო

გაეცანით კონტექსტ-მაგალითს და შეასრულეთ პროექტული დავალება

პროექტული დავალების პირობა

წარმოიდგინეთ, რომ ხართ 1989 წლის 9 აპრილის მონაწილე დემონსტრანტი, შექმენით დღიური, რომელშიც აღწერთ იმ პერიოდისა და შემდგომ მოვლენებს, რომლებიც განვითარდა საქართველოში და დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოადგინეთ:

- როგორ მიმდინარეობდა ეროვნული მოძრაობის აღმავლობა; რა იყო ამის მიზეზი;
- რა იყო „9 აპრილის“ მიზეზი, შედეგი?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, წარმოდგენილი წყაროების მიხედვით განვსაზღვროთ საზოგადოებრივი ინტერესები და მოთხოვნები?
- რა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა „9 აპრილის“ მოვლენებს ეროვნული მოძრაობის გაძლიერებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში?
- რატომ არის „9 აპრილი“ მნიშვნელოვანი საქართველოსა და მთლიანად იმ პერიოდის ეპოქისთვის/თანამედროვე საქართველოსთვის?

მეთოდიკური ორიენტირები

საკვანძო შეკითხვები:

- რატომ იყო „9 აპრილი“ მნიშვნელოვანი საქართველოს დამოუკიდებლობითვის?
- რა იყო „9 აპრილის“ მონაწილეთა მიზანი და რა შედეგებით დასრულდა?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, წარმოდგენილი წყაროების მიხედვით განვსაზღვროთ საზოგადოებრივი ინტერესები და მოთხოვნები?
- რამდენად მოახდინა გავლენა „9 აპრილმა“ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდენაში?
- რატომ იყო „9 აპრილი“ მნიშვნელოვანი იმ პერიოდის ეპოქისთვის?

სარეკომენდაციო აქტივობა 1.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაეცნონ სხვადასხვა ტიპის წყაროებს და უპასუხონ ცხრილში მოთავსებულ კითხვებს, რათა იმსჯელონ წყაროთა სანდოობის ხარისხის შესახებ.

კითხვა	პასუხი
რატომ არის მნიშვნელოვანი, წარმოდგენილი წყაროების მიხედვით განვსაზღვროთ საზოგადოებრივი ინტერესები და მოთხოვნები?	
რა მიზანს ემსახურება მოცემული წყაროები?	
რა საკითხი აერთიანებთ მოცემულ წყაროებს?	
ჩანს თუ არა წარმოდგენილი წყაროებიდან 1989 წლის 9 აპრილის მნიშვნელობა საქართველოს უახლესი ისტორიისათვის?	
დაფიქრდით, არის თუ არა ყველა წარმოდგენილი წყარო სანდო? რატომ?	
წარმოდგენილი წყაროებიდან რომელი არის ყველაზე სანდო? რატომ?	
თითოეული წყაროს სანდოობის განსაზღვრისას იმსჯელე, თუ რა გარემოებამ განაპირობა შესაბამისი წყაროს ავტორის მიერ ფაქტების ამგვარად გადმოცემა?	
როგორ განვსაზღვრო, მოცემულ წყაროთაგან რომელს ვენდო ან არ ვენდო?	
ვინ იყო დაინტერესებული, რომ 1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირებული მოვლენების ინტერპრეტაცია განეხორციელებინა ფაქტების გადმოცემისას?	
თქვენ რომ იყოთ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის ავტორი, რა ნიაუანსებში არ დაეთანხმებოდით წარმოდგენილ სხვა წყაროთა ავტორებს?	

სარეკომენდაციო აქტივობა II.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს გაეცნონ წყაროებს და მოცემული სქემის მიხედვით იმსჯელონ 1989 წლის “9 აპრილის” ტრაგედიის მიზეზების შესახებ.



სარეკომენდაციო აქტივობა III.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მოცემული სქემისა და წყაროების გამოყენებით იმსჯელონ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ



სარეკომენდაციო აქტივობა IV.

მასწავლებელი 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების ანალიზის მიზნით მოსწავლეებს სთხოვს შეავსონ შემდეგი სქემა:

სარეკომენდაციო აქტივობა V.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, იმუშაონ წყვილებში და ერთმანეთისაგან აიღონ 2-წუთიანი ინტერვიუ. მოსწავლეების მიერ საკუთარი პოზიციის გაზიარების შემდეგ იმართება დისკუსია.

კითხვები „ორწუთიანი ინტერვიუსთვის“

- რა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა „9 აპრილის“ მოვლენებს ეროვნული მოძრაობის გაძლიერებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში?

სარეკომენდაციო აქტივობა VI.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს გამართონ დისკუსია;

- რატომ იყო „9 აპრილი“ მნიშვნელოვანი საქართველოსა და მთლიანად იმ პერიოდის ეპოქისთვის?

კონტექსტ- მაგალითი (ქეისი)

„1989 წლის 9 აპრილი“

9 აპრილის ღამეს დარბეული აქციის მონაწილე, 23 წლის დევი ბერძენიშვილის მოგონებები;

„...7-8 აპრილის ღამეს, როცა უნივერსიტეტი სტუდენტობისგან დაიცალა, მე და ჩემმა მეგობრებმა უნივერსიტეტისკენ გავწიეთ. ხმა გავარდა, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა პატიაშვილს უნდა შეხვდნენ უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტშიო. ქუჩები ხალხით იყო სავსე. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ყვიროდა ათასობით ხმა. პირველი საათი იყო დაწყებული, როცა უნივერსიტეტის ბაღში შევედით. რამდენიმე კაცი შესასვლელთან იდგა. ბაღის სიღრმეში კი კოცონი ენთო და უცებ ზვიად გამსახურდიას მოვკარით თვალი. ზვიადი - დავიჩურჩულეთ. წამო, წყალი დავლიოთ, ვთქვი ხმამაღლა... ცოტა ხანში იქ 15-ოდე ადამიანი მოგროვდა. ცუდი განათება იყო. ზვიადი გაღიზიანებული ჩანდა. ჩემმა მეგობარმა ჰკითხა, ბატონო ზვიად, ხმები დადის, დღეს უნივერსიტეტში მოსალაპარაკებლად შეიკრიბეთ თქვენ და მთავრობაო. ცოტა არ იყოს, აგდებულად შემოგვხედა და გვითხრა, მაგათთან ლაპარაკი როგორ შეიძლებაო, მაგრამ მერე ცოტა უფრო ვრცელი განმარტება მოგვცა, რომლის აზრი დაახლოებით ასეთი იყო: მონას რა უნდა ველაპარაკო, ბატონი ჩამოვიდეს, იმასთან აზრი აქვსო. ცხადია, შევარდნაძეზე იყო საუბარი. ზვიად გამსახურდიამ ისიც თქვა, რომ 3 საათისთვის დარბევა იყო მოსალოდნელი და აქციაზე რაც შეიძლება ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა, იმ ღამით არაფერი მომხდარა. გავათენეთ. მერე მეგობრის მამამ მანქანით მოგვაკითხა და ყველა სახლებში დაგვარიგა.

მეორე დღეს, 8-ში, უნივერსიტეტის სტუდენტობამ კინოთეატრ „რუსთაველთან“ მოიყარა თავი. ხალხი უფრო მეტი იყო, ვიდრე წინა დღეს. განწყობა - მხიარული, აღგზნებული. ვიღაცას დოლი და გიტარაც მოეტანა. სამჯერ სცადეს ხორუმის ცეკვა, მაგრამ სამჯერვე სიცილ-ხარხარში დაეშალათ...

დათო ტურაშვილმა შეძახილ „გაუმარჯოს“ ახალი ვერსია მოიგონა - თუკი ადრე „გაუმააარრრ-ჯოს“- ზე იყო აქცენტი, ახლა, „გაუმარჯოს“ ერთად იყო და მერე სსსსსს ცალკე და ერთად ვიწყებდით სისინს. გველის წელიწადი კი იყო... აი, ის ღამე როგორ დაიწყო: სიმღერებით მივაბიჯებდით. „ქართველო ხელი ხმალს იკარ“, „შავლეგო“, ლექსებიც იყო. მხნედ ვიყავით, რწმენით, რომ ყოველივე კარგად ჩაივლიდა.

ერთი სიმღერაც გამოიგონეს, თუ არ ვცდები, ფილოლოგებმა:

უნივერსიტეტის წინ,

უუუუაااა

ერთი ფილოლოგი ზის.

თუკი მოვა მეორე, მოვა მილიციის ზღვა.

მისამღერი: დღეს მიტინგი, ხვალ მიტინგი, ზეგ - ახალი იდეა.

ორჯერ.

ოღონდ სიმღერის მელოდია აღარ ახსოვს. ახსოვს ის აუტანელი სიჩუმე და ელექტრონათურების ზუზუნის ხმა, როცა მთავრობის სასახლის წინ შეკრებილებს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ მიმართა და დაშლისკენ მოუწოდა.

წარმოიდგინეთ, ამდენი ხალხი და მარტო ეს რომ ისმის - ზზზზზზ.

მიმართვა ასეთი იყო - დაიშალეთ. არ დავიშლებით! იყვირა, სხვათა შორის, ქალმა...

ოთხს ოცი აკლდა, როცა ტანკები ნელ-ნელა ჩვენკენ დაიძრნენ. არავითარი წინააღმდეგობა! დავცალოთ ქუჩა! ტაშით შევხვდეთ. რუპორში ისმოდა... ხალხმაც დაიჯერა. ავტობუსებმა და სატვირთო მანქანებმა, რომლებიც ხერგავდნენ გზას, თავიანთი ფუნქცია ვერ შეასრულეს, პირველივე „ბეტეერმა“, მსუბუქი მიწოლით, ჭიშკარივით გააღო ისინი. ქალები უკან! ქალები უკან! - ხმები გაისმა. ყველა ქალი კინოთეატრთან შეგროვდა, თათია ძლივს შევაგდე იქ, განა მართლა მეშინიაო, მარწმუნებდა.

მერე მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. გაწევ-გამოწევა და დაგვერივნენ. უმოწყალოდ გვირტყამდნენ ბარის პირებს, ვერაფრით ვერ გავანძრიე ხელი. ერთი ქვაც არ იყო, რომ ჩამერტყა. ცხოვრების ბოლომდე ვერ ვაპატიებ თავს... პაატას რამდენჯერმე ჩაარტყეს მხრებში და თავში. კინოთეატრის შენობაში შევედით. იქედან ვეღარაფერს ვხედავდით, მხოლოდ რაღაც მოგუდული ხმა ისმოდა - გუგუნის, ყვირილის, ღმუილის, ომის ხმას ჰგავდა. ყველაფერი ძალიან მალე მორჩა. 15-20 წუთში. კინოთეატრის შენობის მეორე სართულზე ავედი და რუსთაველს გადავხედე. ხალხი აღარსად იყო. მხოლოდ სასწრაფოს მანქანები და ჯარისკაცები. ერთი კადრი მახსოვს კინოკადრივით - ის გაზი, რომელიც გაუშვეს, ერთი მეტრის სიმაღლეზე ნისლივით იდგა. თავიდან ვერ მივხვდი რა იყო, რადგან ნაწვიმარი იყო და მტვერი ვერ იქნებოდა. რუსთაველის კინოთეატრში შეფარებულები, ვფიქრობდით, აქ ალბათ, დილამდე გვაყურყუტებენ, მაგრამ მერე ბრძანება მოვიდა, სახლებში დაიშალეთო. დავმორჩილდით, აბა რა გვექნა. თუმცა იმაზე უკეთესს ვეღარაფერს გავაკეთებდით ამ დღეს... ჯერ ფილარმონიასთან შეიკრიბა ხალხი. ზოგ-ზოგიერთს სისხლი ესხა ტანისამოსზე. შენი სისხლია? დაგჭრეს? - იკითხა ვიღაცამ. არა, მტრისაა, ამაყად უპასუხა ვიღაცამ. რამდენიმე ადამიანი ჩაჩქანით და ხელკეტით დადიოდა, სამხედრო ნადავლით. ახლა დავიშალოთ - ეს უკვე უნივერსიტეტის ბაღში იყო. სული მოვითქვათ - ერთი წინადადება ასეთი იყო...

უკვე გათენებული იყო, სახლში როცა შევაბიჯე. დედაჩემი შემეფეთა ღამის პერანგში. რა მოხდა? დაგვარბიეს - ვუპასუხე. რამდენიმე ხანში უკვე მეძინა. ღრმად, უსიზმრებოდ. არარეალურად მეჩვენებოდა მომხდარი. მე სახლში, ჩემს საკუთარ ლოგინში ვიწექი. თითქოს სიზმარში მოხდა ყველაფერი, მაგრამ თითქოს თითქოდ დარჩა“...

ჯ. ი. პატიაშვილის დეპეშა სკკპ ცკ-ს

1989 წ. 7 აპრილი შემოსული დაშიფრული დეპეშა №217/ш თბილისიდან მიღებულია 1989 წ. 7 აპრილს 20 სთ. 40 წთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი. ბოლოდროს რესპუბლიკაში მკვეთრად გამწვავდა მდგომა-რეობა. ის, პრაქტიკულად, გამოდის კონტროლიდან. საბაბად იქცა აფხაზეთის ასსრ სოფ. ლიხნში ა.წ. 18 მარტს გამართული შეკრება, სადაც დაისვა საკითხი აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. მაგრამ მოვლენები გასცდა აღნიშნულ ჩარჩოებს. ექსტრემისტული ელემენტები ამძაფრებენ ნაციონალისტურ განწყობებს, მოუწოდებენ გაფიცვებისკენ, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისკენ, იწვევენ არეულობებს, ახდენენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დისკრედიტაციას. აუცილებლად მიგვაჩნია:

1. დაუყოვნებლივ მიეცნენ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ის ექსტრემისტები, რომლებიც გამოდიან ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტური, ანტიპარტიული ლოზუნგებითა და მოწოდებებით (ამის სამართლებრივი საფუძვლები არსებობს).

2. შსს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დამატებითი ძალების მოზიდვით, თბილისში შემოღებულ იქნას საგანგებო მდგომარეობა (კომენდანტის საათი).

3. მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის ძალებით განხორციელდეს პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კომპლექსი.

4. საკავშირო და რესპუბლიკურ საინფორმაციო მასობრივ საშუალებებში არ გამოქვეყნდეს პუბლიკაციები, რომლებიც გაართულებს სიტუაციას. გთხოვთ თანხმობას 1, 2, 4 პუნქტებზე.

საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი ჯ. პატიაშვილი

ჯ. ი. პატიაშვილის დეპეშა

სკკპ ცკ-ს 1989 წ. 9 აპრილი შემოსული დაშიფრული დეპეშა №220/ш თბილისიდან მიღებულია 1989 წ. 9 აპრილს 10 სთ 25 წთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი. 1989 წლის 8 აპრილს თბილისში, 21:00 საათის შემდეგ, პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიღებული ყველა ზომის მიუხედავად, რესპუბლიკის მთავრობის სახლის შენობასთან მიმდინარე მიტინგზე, რომელშიც დაახლოებით 15 ათასი კაცი მონაწილეობდა, აგრეთვე ქალაქის სხვა ადგილებში, ექსტრემისტების მიერ ვითარება უკიდურესად დაიძაბა და კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. ან-ტისაბჭოთა, ანტისოციალისტური და ანტირუსული მოწოდებების გარდა, ისმოდა ექსტრემისტების მიმართვები ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ კომუნისტების, რესპუბლიკის ხელმძღვანელებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ. მომიტინგეები, რომელთა შორის ბევრი არ იყო მთვრალი და ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, მოუწოდებდნენ რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას აჯანყებისკენ, მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობისკენ და მათი ანგარიშსწორებისკენ, ვინც მხარს არ დაუჭერდა მათ. მიტინგის მონაწილეებთან ერთად, რესპუბლიკის ახლომდებარე ქალაქებსა და რაიონებში ექსტრემისტთა ჯგუფების დელეგირება დაიწყო. ქ. რუსთავში იყო მეტალურგიული ქარხნის ხელში ჩაგდების მცდელობა.

ე.წ. „ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის" ლიდერებმა რესპუბლიკაში ხელისუფლების ხელში ჩაგდების გეგმების საჯაროდ გაცხადება დაიწყეს. ამ სიტუაციაში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და არაპროგნოზირებადი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დილის 4 საათზე ძალის გამოყენების შესახებ, რათა მოედანი მთავრობის სახლთან მომიტინგეებისგან გაწმენდილიყო. კომპეტენტური ორგანოების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, გამოყენებულია რესპუბლიკის შსს-სა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ქვედანაყოფები. მიტინგის ჩატარების ადგილთან მათი მიახლოების დროს მონაწილეებს (ამ დროისთვის მათმა რაოდენობამ დაახლოებით 8 ათასი შეადგინა) არაერთგზის მოუწოდეს რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა, კომპარტიის ცკ-ის წევრებმა, პარტიულმა და საბჭოთა აქტივმა, აგრეთვე საქართველოს კათოლიკოსმა ილია II-მ, რათა შეეწყვიტათ მიტინგი და მშვიდად დაშლილიყვნენ. მაგრამ მომიტინგეები არ რეაგირებდნენ. თავის მხრივ, მიტინგის ორგანიზატორები ძაბავდნენ სიტუაციას ფსიქოზამდე, მოუწოდებდნენ, რომ მართლწესრიგის ძალებთან დაპირისპირების დროს არ დაეშურათ სისხლი და თავიანთი სიცოცხლეც კი.

შსს-სა და ამიერკავკასიის ჯარების ქვედანაყოფებმა არ გამოიყენეს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი. მკაცრად სრულდებოდა ინსტრუქციები ქალებისა და მოზარდების მიმართ ფრთხილი დამოკიდებულების შესახებ. მომიტინგეთა პირველი რიგების დახევის დროს, ექსტრემისტების გააფთრებული წინააღმდეგობის პირობებში, რომლებიც იყენებდნენ ჯოხებსა და ქვებს, ხალხი უმართავი გახდა და დაიძრა ტროტუარზე მწოლიარე ახალგაზრდებისკენ, რომლებმაც გამოაცხადეს შიმშილობა. უფრო მეტიც, ბრბოში ბევრი პროვოკატორი იყო. ისინი იყენებდნენ ცივ იარაღს. წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 ადამიანი (13 ახალგაზრდა ქალი და 3 მამაკაცი), 100-ზე მეტმა მიიღო სხვადასხვა ხარისხის ჭრილობა, მათ შორის 22 სამხედრო მოსამსახურეა (მათგან 13 ჰოსპიტალშია). დაშავებულებს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

ამ დროისთვის მოედანი მთავრობის სახლთან გათავისუფლებულია მომიტინგეებისგან და მას ჯარი იცავს. ტარდება აუცილებელი ღონისძიებები უწესრიგობის მოთავეთა დასაკავებლად და დასაპატიმრებლად, ახალი მიტინგებისა და დემონსტრაციების თავიდან ასაცილებლად. მიღებული ზომების ტრაგიკული შედეგების გამო შექმნილია სამთავრობო კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ამხ. ზ. ა. ჩხეიძის მეთაურობით.

დღეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმზე განზრახულია შექმნილი მდგომარეობის განხილვა და მისგან გამომდინარე ღონისძიებების განსაზღვრა.

მასობრივი არეულობის თავიდან ასაცილებლად და ვითარების სტაბილიზაციის მიზნით გთხოვთ თანხმობას, რათა დღეიდან ქ. თბილისში შემოღებული იქნას კომენდანტის საათი.

საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი ჯ. პატიაშვილი

11 აპრილს საქართველოს მაშინდელმა მთავარმა გაზეთმა, „კომუნისტმა“, გამოაქვეყნა ოფიციალური ინფორმაცია 9 აპრილს დაღუპულთა რაოდენობის შესახებ:

კომუნისტი“ პირველ გვერდზე, მეწინავე სტატიის სახით, ასევე ბეჭდავს საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის (კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს) ცნობას, რომლის მიხედვითაც, მომხდარზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ „უკიდურესი მიმართულების არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს, რომლებმაც თავიანთი მიუღებელი, აღვირახსნილი, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით უაღრესად დაძაბეს საზოგადოებრივი ატმოსფერო, შექმნეს აშკარა პოლიტიკური ისტერიის ვითარება, აიყოლიეს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა, გამოიყენეს მოზარდი თაობის გულწრფელობა, ემოციები, ისარგებლეს მისი ცხოვრებისეული გამოუცდელობით და კატასტროფამდე მიიყვანეს ჩვენი საზოგადოება, მთელი ხალხი, რესპუბლიკა...“

„მძიმე დღეების ქრონიკაში“ გაზეთი აღწერს აპრილის მოვლენებს 4 აპრილიდან 8 აპრილის საღამოს ჩათვლით და მთავარ დამნაშავედ კვლავ გამოჰყავს მიტინგის ორგანიზატორები:

„...7 აპრილს მთავრობის სახლთან 10-20 ათასი კაცი იმყოფებოდა. წინა დღეებისაგან განსხვავებით, ქალაქში სტიქიურად იქმნებოდა ახალგაზრდების ჯგუფები, რომლებსაც მოჰქონდათ მენშევიკური საქართველოს დროშები... 8 აპრილი. მიტინგის ორგანიზატორებმა მიაღწიეს იმას, რომ მთავრობის სახლთან გამართულ აქციაში აქტიურად მონაწილეობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები, შეკრებილთა 60-70 %-ს სწორედ ისინი შეადგენდნენ... ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების ხელმძღვანელობით დაიწყეს მიტინგის ადგილის ირგვლივ მდებარე ქუჩების ჩაკეტვა...“

ედუარდ შევარდნაძე - საქართველოს მეორე პრეზიდენტი, მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი

“1989 წლის 9 აპრილს მთელი ერი კვლავ სამაგალითოდ დასაჯეს. მართალია, მე მოსკოვში ვიყავი, მაგრამ თბილისში მეც დამსაჯეს... ...ეს უკვე დასასრულის დასაწყისი იყო. ისტორიული კანონზომიერებით, საბჭოთა იმპერია უნდა დანგრეულიყო და დაინგრა კიდეც. ერთი რამ მაწუხებდა, ჩემმა ხალხმა არ იეჭვიანოს, რომ ვიცოდი ეს... მე მართლა არ ვიყავი საქმის კურსში და ეს მოხდა ისე, რომ მე ხელი ამაში გასვრილი არ მაქვს...

საბოლოოდ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ გამკითხავი არავინ იყო ქვეყანაში. როგორ შეიძლებოდა ჯარის გამოყენება მთავარსარდალის ნებართვის გარეშე? ნუთუ გორბაჩოვი არასოდეს არაფრის კურსში არ იყო? მიმძიმს ამ კითხვების დასმა. მაგრამ პასუხები დღესაც არაა. თუ მთავარსარდალს არაფრად აგდებენ, თუ მის გარეშე ასეთ გადაწყვეტილებებს იღებდნენ და საკუთარი ხალხის სისხლს ღვრიდნენ, გამოდის იგი ვერ ფლობდა სიტუაციას და საბჭოთა კავშირში რევოლუცია უკვე მომხდარი იყო".

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც 9 აპრილის აქციის მონაწილეებს, დარბევამდე რამდენიმე წუთით ადრე, ტაძარში შესვლისკენ მოუწოდა. "უკან არ დავიხევთ", "ფიცი გვაქვს დადებული" - დემონსტრანტები რუსთაველზე დარჩნენ.

"ძალიან მიჭირდა, ვგრძნობდი, რომ ხალხი არ დამიჯერებდა. მოვუწოდე, შესულიყვნენ ქაშუეთში. წინასწარ ვგრძნობდი, რომ უარს მეტყოდნენ. გადავწყვიტე, როცა ხალხს საფრთხე ემუქრებოდა, ვყოფილიყავი ჩვენს ხალხთან ერთად. როცა მივმართე, რომ საშიშროება იყო, ხალხი გაჩუმდა, სიმშვიდე ჩამოვარდა და მერე იყვირეს - "არა"! ეს იყო მზადყოფნა, ხალხი გრძნობდა, რომ სიკვდილის წინ იმყოფებოდა. წამოვიდა ტანკი, მაგრამ ახალგაზრდები შემომეხვივნენ"...

მხატვარი ნატო შენგელია, რომელიც იმ დროს 11 წლის იყო, იხსენებს:

"ბიძაჩემი მიტინგზე წაყვანას დამპირდა. იქ ხალხი ყოველდღე იკრიბებოდა, ცეკვავდა, მღეროდა, ლექსებს ამბობდა; საშიში არაფერი იყო. 8 აპრილს, დილის 12 საათზე, ჭავჭავაძის გამზირზე ტანკებმა ჩაიარეს. ასფალტზე ნაკვალევი დარჩა. ბიძაჩემი მეზობელთან ერთად ტანკებს დაედევნა. ბებიამ, გული რომ არ დამწყვეტოდა, ხელი ჩამკიდა და მიტინგზე წამიყვანა... უნივერსიტეტსა და სკოლებში სწავლა შეწყდა, ახალგაზრდობა გარეთ გამოეფინა, მოძრაობა შეჩერდა. მიტინგზე მოხუცმა ქალმა შემამჩნია და მითხრა: "შვილო, პატრონი არ გყავს? აქ რა გინდა, წადიო". მე და ბებიამ ძლივს გამოვაღწიეთ იქიდან.

დილის 5-ის ნახევარი იქნებოდა. ჭავჭავაძის გამზირზე მანქანის სიგნალის გაბმული ხმა ისმოდა. ოცი წუთის შემდეგ ხმა გაძლიერდა. მანქანის ღია ფანჯრებიდან, ბიჭები მთელი ტანით იყვნენ გადმოწეულები და ყვიროდნენ: "გაიღვიძეთ, ხალხს ხოცავენ, გამოდით!" სახლში ყველას ეძინა, მე და მამაჩემის

გარდა. უცებ კარზე ზარის ხმა გაისმა. მამაჩემმა კარი გააღო; სასტუმრო ოთახში გავედი და დავინახე ბიძაჩემი შოთა - ფეხშიშველი, დახეული შარვლითა და პერანგით, სახეზე ფერი აღარ ედო. ძლივს ამოილუღლუღა, ხალხი დახოცესო. შევძრწუნდი. ძნელი იყო ასეთი რამის დაჯერება. უცებ საშინელი ყვირილი და სტვენა ატყდა გარეთ. ხალხი, რუსთაველის გამზირის გარდა, ვარაზის ხევიდანაც მორბოდა. ტელევიზიასთანაც დაერბიათ მშვიდობიანი მომიტინგეები".

მთავრობის სასახლესთან განვითარებულ მოვლენებს ნატოს ბიძა, თავად შოთა უვანიაც იხსენებს

რუსი ჯარისკაცები ქალებსა და ბავშვებს ურტყამდნენ ნიჩბებს თავში, კაცებს რომ ვერ მოერივნენ. სისხლის გუბეში ვიდექი და ვერ ვშველოდი მათ იმიტომ, რომ ოთხი რუსი ჯარისკაცი ცემით მიმათრევდა სადღაც. თავის დაღწევა მოვახერხე და ოთხი კილომეტრი ფეხშიშველმა ვირბინე სახლამდე".

ნატოს მამა, კონსტანტინე შენგელია:

"როდესაც კარი გავაღე და ფეხშიშველი, ნაცემი შოთა დავინახე, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ეს რუსი ჯარისკაცების ჩადენილი იქნებოდა. ვიფიქრე, ვიღაცამ "ნასკებიანად" "აახია" ფეხსაცმელები-მეთქი. ძლივს ამოიღო ხმა, ხალხი დახოცესო. გარეთ გავვარდი. ვხედავ, მოდის გოგო, რომელსაც ცალ ფეხზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია, მეორეზე კი ფეხშიშველაა. მორბოდა ტანსაცმელდაგლეჯილი ხალხი, გაზისაგან სახეგაშავებული ბიჭები. ჩვენი სახლის ეზოში დაჭრილი შემოიყვანეს. ხალხი იხვეწებოდა, სადარბაზოს კარები არ ჩაკეტოთ; რამე რომ მოხდეს, შიდა ეზოს შევაფარებთ თავსო! ვინ დახურავდა. ზოგი ნემსისა და ძაფის ჩამოგდებას ითხოვდა პირდაპირ აივნიდან, რომ დახეული ტანსაცმელი ამოეკერათ. ქვემოთ ვნახე ნაცნობები. თბილისის ერთ-ერთი კოლორიტი - კოკა მუხლუხოებში ჩასწოლია "ბე ტე ერ"-ს და გაუჩერებია. გაზის ამპულები წვიმასავით მოდიოდაო; ჯარისკაცები ყვიროდნენ: "ვოტ, ვამ ზა სტალინა, ზა ბერია!" თან დუჟი მოსდიოდათ პირიდან. როგორც შემდგომ გაირკვა, მათ მიღებული ჰქონიათ გაზის მოწამლვისაგან თავდასაცავი პრეპარატი - ანტიგაზი. რბევისას გამოყენებულ გაზებს ეწოდებოდათ "სი ე სი" და "ჩერიომუხა". ისინი ავღანეთშიც გამოიყენებოდა".

დარბევისას დაზარალებული გელა არაბული:

"ჯარისკაცები მოდიოდნენ ფარებით, ნიჩბებით და ხელკეტებით. ხალხი წყნარად იჯდა, არავინ არაფერს აშავებდა, არავინ დგებოდა, ხმას არავის სცემდა. დაახლოებით ხუთი წუთი იდგნენ ჯარისკაცები. უცბად დაიწყეს ხალხის ცემა. მალე მათ ჩიტაძის ქუჩიდან ჩამოეშველნენ სხვა ჯარისკაცები. მოშიმშილეები ისე იყვნენ დასუსტებულები, ფეხზე ვეღარ დგებოდნენ. ერთი ქალიშვილი დაეცა. წამოვაყენე. ამ დროს ერთმა დამიძახა: "ნიჩევო სებე, სვოლოჩ!" და დამარტყა. ბუშლატის ქვეშ ჯავშანჟილეტი მეცვა. კვლავ მომაძახა იგივე სიტყვები და მითხრა: "ა, უ ტებია ბრონეჟილეტ?!" და ნიჩაბი ჩამარტყა. დავეცი, ისევ ავდექი. შევეცადე ის ქალიშვილი, როგორმე იქაურობას მომეშორებინა. ის მეხვეწებოდა, წყალი დამალევინეო. მოვახერხე, სასწრაფო დახმარების მანქანამდე მიმეყვანა. არ ვიცი მისი ბედი, გვარიც არ მიკითხავს".

აქციის მონაწილე, სოსო პაიჭაძე

“ცხრა აპრილს, სისხამ დილით გავედი მთავრობის სახლთან. შემზარავი სანახაობა გადამეშალა თვალწინ: კიბეებზე, ქვაფენილზე, ქუჩებზე, მარადმწვანე ბუჩქებზე, ყველგან და ყველაფერზე, რასაც მზერა სწვდებოდა, მიმოფანტულიყო ტანსაცმლის ნაგლეჯები, ფეხსაცმელები, ძირითადად ქალის, ქუდები, ქაღალდის ნაკუწები, ერთმანეთში არეული, ალუფხული ხელჩანთები, ხელჩანთებიდან წამოყრილი სავარცხლები, პატარა სარკეები, ცხვირსახოცები; თავსაფრები, გაზეთების ნაფლეთები, დანაკუწებული ქურთუკები, პარფიუმერიის ნამსხვრევები, ნაირგვანი ფერის ქსოვილის ნახევები, ბიჟუტერია. ასფალტზე ჯერ კიდევ ჩანდა ჯავშნიანი მანქანების მუხლუხების კვალი, ქვაფენილზე კი შემზარავად მბზინავი სისხლის ლაქები. აშკარა იყო, აქ ურჩხულმა ჩაიარა, ბოროტების იმპერიის მინოტავრმა, სტომაქი ამოიყორა და გასცილდა აქაურობას. ყველაზე მეტად სიმღერის ხმა აღიზიანებდა და შეკრებილთა შეძახილები, თავისუფლების უსაზღვრო რომანტიკით აღსავსე გულთა ფეთქვა, ამოუხსნელ ძალას რომ გაემთლიანებინა. ამიტომაც, სისხლმოწყურებული და გაბოროტებული, სასტიკად უსწორდებოდა იქ შეკრებილ ადამიანებს: ჩეხდა, წამლავდა, კლავდა, ანადგურებდა, ბოლოს უღებდა. სარკის ნამცეცები და შემხმარი სისხლის ლაქები უცაბედ სხივს ირეკლავდნენ. სივრცეს თუ მიაყურადებდი, შეიძლება კაცს გაეგონა კიდეც კვნესის, შეძახილის, ყვირილის, მთვრალ ნიჩბოსანთა გინების შორეული ექო, რომელიც აქვე, ამავე ჰაერში ჩაკარგულიყო და ახლა მათ ნაცვლად - მთელი ქუჩა, ქვაფენილები და კიბეები, შენობათა კედლები, მიმოფნტული ტანსაცმლის ნაფლეთები მთელი ხმით ყვიროდა”.

წასაკითხი მასალა (რიდერი)

„9 აპრილიდან- 9 აპრილამდე“- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

საბჭოთა კავშირში დაწყებული გარდაქმნის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, საჯაროობის კურსის გატარებას ნიშნავდა, გზა უნდა გაეხსნათ აზრის, შეხედულებების თავისუფლად გამოთქმის, გეგმიური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლებისთვის და შედარებით უნდა შემცირებულიყო სახელმწიფოს როლი ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში. საჯაროობის პრინციპმა ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებასა და თავისუფლებას. დაიწყო სხვადასხვა მიზნისა და შეხედულებების გამომხატველი პოლიტიკური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ფორმირება-ჩამოყალიბება.

საქართველოში ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება 1987 წელს შეიქმნა. საზოგადოების მიზანი იყო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის, დემოკრატიისა და კაპიტალისტური ეკონომიკისთვის. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში თავი მოიყარა არაერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერმა, 1988-1989 წლებში აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიან: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ეროვნული სამართლიანობის კავშირი, სახალხო ფრონტი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, შოთა რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს მწვანეთა პარტია და სხვა. ახალ პოლიტიკურ ძალებთან ერთად ლეგალური ფუნქციონირების საშუალება მიეცა ტრადიციულ ისტორიულ პარტიებსაც - ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალერ-დემოკრატიულ პარტიებს.

საქართველოში საფუძველი ეყრებოდა მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც გამოხატავდა ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბების თანმდევ პროცესს. განსაკუთრებით გაიზარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის როლი 1980-იანი წლების მიწურულს. 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის სტუდენტებმა დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების საარტილერიო პოლიგონის გატანა მოითხოვეს, ამას დაერთო საბჭოთა კავშირის იმდროინდელი მმართველის, მიხეილ გორბაჩოვის მიერ ინიცირებული კონსტიტუცია, რომელში შესულმა დამატებებმაც სათუო გახადა საბჭოთა კაშირის დაშლა და მასში შემავალი ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. გადაწყვეტილებას პროტესტი მოჰყვა, რამაც ოფიციალურ მოსკოვს მიაღებინა გადაწყვეტილება, უარი ეთქვა აღნიშნული შესწორებებისა და დამატებების შეტანაზე კონსტიტუციაში. გადაწყვეტილებებმა დროებით შეაჩერა სახალხო პროტესტი და მღელვარება, მაგრამ 1989 წლის 4 აპრილიდან კვლავ განახლდა სახალხო პროტესტი და მანიფესტაციები.

საზოგადოების პროტესტი და მანიფესტაცია იყო რეაქცია ეგრეთ წოდებული „ლიხნის შეკრებაზე მიღებული ანტიქართული დოკუმენტის წინააღმდეგ.“ აღნიშნული დოკუმენტი შეიცავდა სეპარატიზმის ნიშნებს, დოკუმენტის მიხედვით აფხაზეთი უნდა გამოყოფილიყო საქართველოდან და შეერთებოდა რუსეთს. აღნიშნულმა დოკუმენტმა პროტესტი გამოიწვია ქართულ მოსახლეობაში, რაც აისახა თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციებში. მომიტინგეები მოითხოვდნენ აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას, მაგრამ მალევე ეს მოთხოვნა მეორეხარისხოვანი გახდა და მომიტინგეებმა წამოაყენეს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. მოთხოვნების რადიკალიზაციამ გააჩინა მომიტინგეებსა და მთავრობას შორის დაპირისპირება, რამაც ხელისუფლება აიძულა რადიკალური ნაბიჯები გადაედგა, საბჭოთა იმპერიის მთავარ მონაპოვარს - ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე დაემუქრა და მთავრობამაც ძალადობრივი და იმპერიული მანქანა აამოქმედა

დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოთხოვნის დასათრგუნად. გაიცა ბრძანება რეგულარული და შინაგან საქმეთა ჯარების თბილისში გადასროლის შესახებ. ამიერკავკასიის ჯარების სარდალმა, გენერალ პოლკოვნიკმა, როდიონოვმა და საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა შეიმუშავა მიტინგის გარეკვის ზოგადი გეგმა.

ღამის 12 საათიდან კოლმეურნეობის მოედანზე უკვე გამოჩნდა ტანკები, ისინი ნელ-ნელა ზემოთ მოიწევდნენ. რუსი ჯარისკაცები იყვნენ შეიარაღებული ხელკეტებითა და ბარებით, ასევე, გაუშვეს მომწამლავი გაზი. თავდაპირველად ტანკები შემოვიდა მომიტინგეთა შუაში და გვერდებში დაიწყეს ადამიანების დარბევა, რის შედეგადაც დაიღუპა 21 და დაშავდა 427 ადამიანი.

წყარო 1: საავადმყოფოს მორიგე ექიმი მიხეილ თეთროქალაშვილი. იმ საბედისწერო ღამეს კლინიკამ მიიღო 63 დასახიჩრებულ-მოწამლული და 14 გვამი. დაზარალებულთა უმეტესი ნაწილი ტოქსიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა იყვნენ გაბრუებულები, აღენიშნებოდათ გულის რევის შეგრძნება... დღეს კლინიკაში კიდევ ერთი გოგონა დაიღუპა მოწამვლის ნიადაგზე. ერთიც მეტად მძიმე მდგომარეობაშია მისი გადარჩენის მხოლოდ თეორიული შანსი თუ არსებობს და ისიც, სამწუხაროდ, უმცირესი. გაზით მოწამლულები მეორე დღეს უფრო მძიმედ შეიქმნენ, რადგან მათ ორგანიზმზე შეესხურათ მავნე ნივთიერება“.

წყარო 2: გურამ პეტრიაშვილი : 9 აპრილის მოვლენები, შესაძლოა ტრაგიკული იყო, მაგრამ მათ ერი გამოაღვიძეს და გააერთიანეს. ნაცვლად იმისა, რომ დარდს მისცემოდნენ, ქართველებმა თავი გაიმტკიცეს და მზად იყვნენ, თავისუფლებისთვის ებრძოლათ.

წყარო 3: აკაკი ბაქრაძე: კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა ლეგიტიმაცია და ის არც საქართველოს უნდა მართავდეს და არც საბჭოთა კავშირს.

წყარო 4: ლანა ღოღობერიძე: ულეტამ ცხადი გახადა, რომ გორბაჩოვის თითქოსდა ლიბერალური რეფორმები, ,,გლასნოსტ“ და ,,პერესტროიკა“ სინამდვილეში მხოლოდ ფასადია კვლავაც რეპრესიული რეჟიმისთვის.

წყარო 5: ნოდარ ნათაძე: 9 აპრილს მოკლეს არა მხოლოდ ცალკეული დემონსტრანტები, არამედ მთელი ქართველი ერი - დარბევა იყო, რუსების თავდასხმა ქართველებზე. მომხდარის არც დავიწყება შეიძლება და არც პატიება. მეტიც, მისი და მისი თაობის ვალია, შეუერთდნენ რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდობის მოთხოვნას საქართველოს სრული დამოუკიდებლობის თაობაზე.

9 აპრილი აღმოჩნდა მართლაც გარდამტეხი თარიღი ეროვნულ მოძრაობის ისტორიაში. ეს იყო პირდაპირი ბრძოლა რუსეთის იმპერიასთან. ამ დღეს რუსთაველი იყო ბრძოლის ხაზი რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიასა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს შორის. ამ დღემ, ამ შეუპოვრობამ, უდანაშაულო ქართველთა დაღვრილმა სისხლმა შეკრა ქართული საზოგადოება. ეს ის ამაღლებული წუთები იყო, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე არ შემდგარა. მერაბ კოსტავამ იმ დღესვე თქვა, რომ ეს იყო ყველაზე ამაღლებული წუთები ერის ისტორიის, მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. უკვე თვალნათელი გახდა ბოლშევიკების ფარისევლური სიყვარული საქართველოს და ქართველი ხალხისა. ამ დღიდან მათ ვერ შეძლეს უკვე დაეცვათ კომუნისტური რეჟიმის სისხლიანი სახე. თუმცა იყო მცდელობა, მაშინდელი კომუნისტური ელიტისგან, ცკ-ს მდივნებისაგან, პარტკომებისაგან, ეს სისხლი ეროვნული მოძრაობისათვის დაებრალებინათ. მეტად ნათელი გახდა უკვე წარსული ისტორიის ის ფურცლები, რომლებსაც არც იცნობდა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი. ფართოდ გავრცელდა ხელნაწერი ტექსტები კომუნისტების ჯალათობის შესახებ ე.წ. ლაგერებში, გადასახლების ადგილებში, გარკვეული კოორდინაცია დაიწყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების განმათავისუფლებელ მოძრაობასა და რუს დისიდენტებს შორის. ამ დღეს უკვე ახალი ეპოქა დაიბადა, საქართველოში არსებული მცირე პროტესტი უკვე ძლიერი გახდა. დიდი ტალღა წამოვიდა ქართული ახალგაზრდობისა, რომელიც პირდაპირ ჩაერთო ომში რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა დიდი მხარდაჭერა მოიპოვეს მასებისაგან. გაჩნდა სხვადასხვა ფორმა საბჭოთა რეჟიმისადმი დაუმორჩილებისა: ეს იყო შიმშილობის აქციები, თუ გაფიცვები სხვადასხვა ქარხანასა თუ ფაბრიკებში. ამდენად ეს დაღვრილი სისხლი შიშველი ხელებით მებრძოლი ადამიანებისა იყო უკვე სრულიად ახალი ეტაპი, უკვე კომუნისტებს მკაცრი რეპრესიებისთვის არავითარი იარაღი არ გააჩნდათ.

წყარო 6: ისტორიკოსი ბეჯან ჯავახია: 9 აპრილი იყო ყველაზე ამაღლებული ეტაპი ჩვენი ისტორიის უკანასკნელი პერიოდისა. ასეთი მშვენიერი, ამაყი და უკომპრომისო ახალგაზრდობა მე არც მახსოვს ჩვენს ისტორიაში. ეს პროცესი დიდი ხანი მზადდებოდა. ჩვენში სტუდენტებში უკვე არ იყო პოპულარული არც კომუნისტები და კომკავშირლები. პირიქით, ამ პერიოდში ღიად დაიბადა ახალი საზოგადოება, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიმართული ჰქონდა საკუთარი ქვეყნის წარსულის ახლებურად გააზრებისაკენ.

ხელისუფლებამ დააპატიმრა 9 აპრილის ღამის ორგანიზატორები ზვიად გამსახურდიადამერაბკოსტავა.შეიქმნასაგამოძიებოკომისიადახელისუფლებამ აღიარა დანაშაული, თუმცა ამის გამო არავინ დასჯილა. ქართველთა სურვილს მოეპოვებინათ თავისუფლება წინ ვეღარაფერი აღუდგა და 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი.


1991 წლის 31 მარტი

სარეფერენდუმო ბიულეტენი

თანახმა ხართ თუ არა,
აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა
1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

დიახ

არა

გადაწყვეტილება	ხმების რაოდენობა	%
მომხრე	3 295 493	
წინააღმდეგი	16 917	
ბათილად ცნობილი ხმები	13 690	
ჯამში	3 326 100	100
რეგისტრირებული ამომრჩევლები/ აქტივობა	3 334 286	

რეფერენდუმში მონაწილე მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე- სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე? აღნიშნულ რეფერენდუმში მოსახლეობის 98.9 %-მა დადებითი პასუხი გასცა. ქართველი ხალხის უმრავლესობის ნების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს მიღებული იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის წევრებმა. საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს სუვერენიტეტი აღიარეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ისტორია XII კლასი, გამომცემლობა ,,დიოგენე," ნატა ახმეტელი, ბონდო კუპატაძე, გვანცა აბდალაძე, ნიკოლოზ მურღულია, თბილისი, 2012
- ისტორია XII კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, ნინო კიღურაძე, რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი სანიკიძე, თბილისი, 2012
- როგორ ვიცხოვრეთ ერთად XX საუკუნეში საქართველოში, 1989 წლის 9 აპრილი, ევროკლიო და ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია (იმსა), 2011 (29 სამუშაო ფურცელი ისტორიის ინტერაქციული სწავლებისთვის)
- 9 აპრილის დღიურები: აი, ის ღამე როგორ დაიწყო, ეკა ქევანიშვილი, რადიო თავისუფლება, 2019 https://bit.ly/4dEBTRq
- 1989 წლის 9 აპრილის გავლენა, ტრაგედიის გავლენა საქართველოს უახლოეს ისტორიაზე, ეკა წამალაშვილი, რადიო თავისუფლება, 2009 https://www.radiotavisupleba.ge/a/1605072.html
- 9 აპრილიდან 9 აპრილამდე, ჯიმშერ რეხვიაშვილი, რადიო თავისუფლება, 2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/31189953.html
- 9 აპრილი. ინტერვიუ ბეჟან ჯავახიასთან, იბერია, 2018 https://iberiamagazine.com/9-aprili-bejan-javaxia/
- სისხლიანი აპრილის საგაზეთო ქრონიკა, ჯიმშერ რეხვიაშვილი, რადიო თავისუფლება, 2019 https://bit.ly/4dKOv9U
- 9 აპრილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, რესურსი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://police.ge/files/9%20aprili
- 35 წელი 9 აპრილის ტრაგედიიდან- თავისუფლების უსაზღვრო რომანტიკით აღსავსე გულთა ფეთქვა: https://mtavari.tv/news/80939-35-celi-9-aprilis-tragedi-idan-tavisuplebis
- 9 აპრილი – ტრაგედიის ცოცხალი გმირების მოგონებანი; რესურსი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3URisxw

სამიზნე ცნებები შედეგები	**საკითხი / საკითხები**	**პროდუქტი**	**რესურსი:** კონტექსტ-მაგალითი
ძალაუფლება **ისტორიული მოვლენა / პროცესი** **საზოგადოება**	საბჭოთა კავშირის კოლაფსი და "ახალი" დამოუკიდებელი საქართველო	თვითმხილველის დღიურის შექმნა თბილისის სამოქალაქო დაპირისპირების (თბილისის ომის) შესახებ	სამოქალაქო კონფლიქტი თბილისში (1991-1992 წლები)
სივრცე (გარემო, ტერიტორია) **ისტორიული წყარო**	საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველო	პოდკასტის შექმნა საქართველოს ევროპულ და საერთაშორისო სტრუქტურებთან მჭიდრო ურთიერთობების აუცილებლობის შესახებ	"ნატო-საქართვე-ლოს თანამშრომ-ლობის ისტორიის" შესახებ
საზოგადოება **დრო (ისტორიული პერიოდი)** **სივრცე (გარემო, ტერიტორია)**	მულტიკულტუ-რალიზმი და საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში	საიუბილეო გაზეთის შექმნა თანამედროვე მრავალკულტუ-რული საქართველოს საზოგადოების საბჭოთა საქართველო-საგან მისი განსხვავების შესახებ	"კულტურული მრავალფეროვ-ნების სიმბოლო - სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების" შესახებ

საკითხი I. საბჭოთა კავშირის კოლაფსი და ''ახალი'' დამოუკიდებელი საქართველო

სამიზნე ცნებები: ძალაუფლება, ისტორიული მოვლენა/პროცესი, საზოგადოება

გაეცანით კონტექსტ-მაგალითს და შეასრულეთ პროექტული დავალება

პროექტული დავალების პირობა

ომი თბილისში 1991 წლის 22 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე, მაშინდელი ხელისუფლებისა და მისი მოწინააღმდეგეების მხარდამჭერი შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებით დაიწყო...

წარმოიდგინეთ, რომ საშუალო სკოლის ის მოსწავლე ხარ, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა თბილისში სამოქალაქო დაპირისპირების 15 დღე. გადაწყვიტეთ, რომ ეს მოვლენა საკუთარ **დღიურში** აღწეროთ და ასახოთ თქვენი ისტორია/ამბავი. **დღიური** შეგიძლიათ გააფორმოთ შესაბამისი ფოტოებით, ილუსტრაციებითა და ჩანახატებით.

დღიურის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- თბილისში სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზები და შედეგები. რა გავლენა მოახდინა ამ ფაქტმა საქართველოს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე;
- ვინ და როგორ იბრძოდა ძალაუფლებისათვის სამოქალაქო დაპირისპირების დროს; რა აუცილებელი საშუალებები განაპირობებდა ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებას;
- საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად რომელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფები ძალაუფლების რა ინსტრუმენტებს იყენებდნენ და რატომ?
- რამდენად ერთმნიშვნელოვნად აღიქვამდა /აფასებდა ქართული საზოგადოება თბილისში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებას, ხდებოდა თუ არა მისი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია და რატომ იწვევდა იგი დისკუსიას საზოგადოებაში;
- როგორ აფასებენ თბილისში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებას თვითმხილველები, ხელისუფლების მომხრეები, ოპოზიციადა საზოგადოების წარმომადგენლები?
- როგორ შეიცვალა ქართული საზოგადოების ღირებულებები/ფასეულობები სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ?

მეთოდიკური ორიენტირები

საკვანძო კითხვა: რატომ დაუპირისპირდა საზოგადოების ჯგუფები ერთმანეთს თბილისის 1991-92 წლების ომის დროს და როგორ შეცვალა ამ ომის შედეგებმა საქართველოს მოსახლეობის ღირებულებები?

სარეკომენდაციო აქტივობა I. ფოტოს ანალიზი

მასწავლებელი ხსნის დავალებას. მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით მასწავლებელი კლასს ყოფს მაქსიმუმ 6 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს კი სთავაზობს 1991-92 წწ-ში თბილისში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებულ ფოტოებს და აძლევს ფოტოებზე მუშაობის ინსტრუქციას:

მოსწავლეებმა

- მოცემული სქემის "დასკვნის ფენები" - მიხედვით ფოტოებზე უნდა ამოიცნონ და გამოთქვან ვარაუდები ისტორიული მოვლენის შესახებ.

შახ აივაზოვი/ ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტოები

ფოტო N1

ფოტო N2

სქემა - “დასკვნის ფენები”



რა შემიძლია დავასკვნა?

რა ვერ დავინახე?

რა დავინახე?

სარეკომენდაციო აქტივობა II. აისბერგის დიაგრამა

“აისბერგის დიაგრამა” - ინსტრუქცია

1. აისბერგის ვიზუალი - მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ჩამოთვალონ, რა იციან აისბერგის შესახებ, ან მასწავლებელს შეუძლია აჩვენოს აისბერგის სურათი. მთავარი იდეა, რომლის ჩამოყალიბებაც სურს მასწავლებელს, არის ის, რომ რასაც მოსწავლეები ხედავენ წყლის ზემოთ, მხოლოდ აისბერგის წვერია; აისბერგის უფრო დიდი ნაწილი ზედაპირის ქვემოთაა. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დახატონ აისბერგი ფურცელზე ან რვეულში, მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ მოსწავლეებმა გაიაზრეს: 1. აისბერგის წვერი (მოვლენის “ხილული”-ცნობიერი ნაწილი), 2. წყლის ხაზი (ქვეცნობიერი) და 3.უფრო დიდი ფართობი წყლის ზედაპირის ქვემოთ (მოვლენის “უხილავი”- არაცნობიერი ნაწილი). მათი ნახატები საკმარისად დიდი უნდა იყოს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ შენიშვნების გაკეთება აისბერგში. ალტერნატიულად, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებში გაავრცელოს აისბერგის შაბლონი.



აისბერგის წვერი - მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვეს ჩამოთვალონ ყველაფერი, რაც უკვე გაიგეს თბილისის ომის შესახებ აისბერგის „წვერის“ ზონაში. კითხვები, რომლებსაც უნდა უპასუხონ მოსწავლეებმა შემდეგია:

1. რა მოხდა?
2. რა არჩევანი გაკეთდა ამ სიტუაციაში? ვის მიერ? ვინ დაზარალდა?
3. როდის მოხდა ეს მოვლენა? სად მოხდა?

ზედაპირის ქვეშ - მასწავლებელი ქმნის მოსწავლეთა 4 ჯგუფს და მათ სთხოვს დაფიქრდნენ, რამ გამოიწვია სამოქალაქო დაპირისპირება - აისბერგის ქვედა ნაწილში (წყლის ქვეშ), მათ უნდა დაწერონ პასუხები კითხვებზე, რომლებიც თან ერთვის თითოეული ჯგუფის სამუშაო ფურცელს (ეს ნაბიჯი საუკეთესოდ ხორციელდება ჯგუფურად, რათა მოსწავლეებმა შეძლონ იდეების ერთობლივი გენერირება). მოსწავლეები ჯგუფებში აანალიზებენ წყაროებს.

ჯგუფი I.
ქართული პრესა თბილისის ომის შესახებ
(ხელისუფლების მომხრეთა ნარატივები)

კითხვები წყაროების დასამუშავებლად:
1. რამ გამოიწვია ქართული საზოგადოების ორად გაყოფა? იმსჯელეთ ხელისუფლების მხარდამჭერთა პოზიციიდან;
2. როგორ აფასებენ სამოქალაქო კონფლიქტს ხელისუფლების მომხრე მოქალაქეები?
3. რაში ხედავენ ხელისუფლების მხარდამჭერი მოქალაქეები სამოქალაქო კონფლიქტიდან გამოსავალს?

ჯგუფი II.
ქართული პრესა თბილისის ომის შესახებ
(ოპოზიციის მომხრეთა ნარატივები)

კითხვები წყაროების დასამუშავებლად:
1. რა მიზეზებმა გამოიწვია ქართული საზოგადოების ორად გაყოფა? იმსჯელეთ ოპოზიციის მხარდამჭერთა პოზიციიდან;
2. რა იყო საქართველოს ხელისუფლების მიმართ ოპოზიციის მთავარი ბრალდება? თქვენი მოსაზრება არგუმენტირებულად დაასაბუთეთ.
3. როგორ აფასებენ სამოქალაქო კონფლიქტს ოპოზიციის მომხრე მოქალაქეები? მათი აზრით, რა შედეგი მოჰყვება ამ დაპირისპირებას?
4. რაში ხედავენ ოპოზიციის მხარდამჭერი მოქალაქეები სამოქალაქო კონფლიქტიდან გამოსავალს?

ჯგუფი III.
თვითმხილველების ნარატივები
(საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები)

კითხვები წყაროების დასამუშავებლად:
1. თვითმხილველთა აზრით, რა ფაქტორებმა იმოქმედა ამ მოვლენაში მონაწილე პირებისა და ჯგუფების მიერ გაკეთებულ კონკრეტულ არჩევანზე? ეს მიზეზები შეიძლება მოიცავდეს წარსულის მოვლენებს (ანუ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ფაქტორები) ან ადამიანის ქცევის ან ბუნების ასპექტებს, როგორებიცაა შიში, ავტორიტეტისადმი მორჩილება, კონფორმულობა (შემგუებლობა) ან ოპორტუნიზმი.
2. თვითმხილველთა აზრით, კონფლიქტი გარდაუვალი იყო თუ შესაძლებელი იყო მისი თავიდან აცილება?

ჯგუფი IV.
წყაროები: საზოგადოების შეფასება
თბილისის ომის შესახებ წლების შემდეგ;

კითხვები წყაროების დასამუშავებლად:

1. როგორ აფასებენ თვითმხილველები 1991-1992 წლებში თბილისში განვითარებულ მოვლენებს?
2. რა საერთო ღირებულებებზე საუბრობენ საზოგადო მოღვაწეები სამოქალაქო კონფლიქტიდან რამდენიმე წლის შემდეგ?
3. რა შეიძლება გვასწავლოს ამ მოვლენებმა, რა დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს აღნიშნული შეფასებები.

განხილვა (კითხვები, რომლებიც შეუძლია მასწავლებელს გამოიყენოს მოსწავლეთა ნაშრომების პრეზენტაციისათვის)

- აისბერგის დიაგრამის ქვედა ნაწილში თქვენ მიერ ჩამოთვლილი "თბილისის ომთან" დაკავშირებული მიზეზებიდან რომელი (ერთი ან ორი) გგონიათ ყველაზე მნიშვნელოვანი? რატომ?
- კიდევ რა უნდა იცოდეთ, რომ უკეთ გაიგოთ, რატომ მოხდა სამოქალაქო დაპირისპირება თბილისში 1991-1992 წლებში?
- როგორ აფასებენ სამოქალაქო დაპირისპირებას თვითმხილველები, ხელისუფლების მომხრეები, ოპოზიციადა საზოგადოების წარმომადგენლები აღნიშნულ ისტორიულ მოვლენას?
- როგორ შეიცვალა ქართული საზოგადოების ღირებულებები/ფასეულობები სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ?
- თქვენი აზრით, 1991-1992 წლებში თბილისში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირება სახელმწიფო გადატრიალება იყო თუ სამოქალაქო ომი? რატომ ფიქრობთ ასე?
- რა შეიძლებოდა გაეკეთებინა საზოგადოებას ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად?
- რა ისწავლეთ იმის შესახებ, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან მსგავსი მოვლენები მომავალში?
- როგორ დაგეხმარათ აისბერგის დიაგრამით მიღებული ინფორმაცია უკეთ შეიმეცნოთ ის სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ?

სარეკომენდაციო აქტივობა III. ვიდეო ფილმის (ნაწყვეტი) ანალიზი

რესურსი - ყანდიაშვილი, კოკა. დოკუმენტური ფილმი „საქართველო – მე-20 საუკუნე"ტელეკომპანია „მაესტრო,"

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ნაწყვეტს კოკა ყანდიაშვილის დოკუმენტური ფილმიდან "საქართველო XX საუკუნე" (ტელეკომპაია "მაესტრო") და აცნობს ინსტრუქციას: მოსწავლეები უნდა გაეცნონ ნაწყვეტს დოკუმენტური ფილმიდან და "ჩანაწერების დღიურის" გამოყენებით ჩაინიშნონ სამოქალაქო კონფლიქტთან დაკავშირებული მათთვის მნიშვნელოვანი შედეგები.

ჩანაწერების დღური

ეკონომიკური შედეგები	სოციალური შედეგები	ფსიქოლოგიური შედეგები	თბილისის ომის შედეგად დამკვიდრებული ფასეულობები/ ღირებულებები

სარეკომენდაციო აქტივობა IV. შეჯამება

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 4 ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს სთავაზობს თბილისში 1991-1992 წლებში მიმდინარე კონფლიქტთან დაკავშირებული ფოტოების არჩევანს (საქართველოს ეროვნული არქივი) და აძლევს დავალების ინსტრუქციას:

მოსწავლეებმა

- დროის ხაზზე უნდა განალაგონ ფოტოები მათთვის ცნობილი მოვლენების შესაბამისად და თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინოს პრეზენტაცია: **"1991-1992 წლების თბილისის სამოქალაქო კონფლიქტის მიზეზები და შედეგები თვითმხილველთა ფოტოებისა და წყაროების გამოყენებით".**

კონტექსტ-მაგალითი (ქეისი)

სამოქალაქო კონფლიქტი თბილისში (1991-1992 წლები)

1991 წლის 22 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე ხელისუფლებისა და მისი მოწინააღმდეგეების მხარდამჭერი შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებით დაიწყო ეგრეთ წოდებული „თბილისის ომი“, რომელმაც 15 დღე გასტანა და, ოფიციალური მონაცემებით, 113 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

შეიარაღებული კონფლიქტი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიის მომხრეებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის 1991 წლის 22 დეკემბერს დილის რვის ნახევრზე დაიწყო, თუმცა ხელისუფლება და ოპოზიცია შეიარაღებული დაპირისპირებისკენ თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში მიდიოდნენ. ვითარება დაიძაბა პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას გადადგომისა და პრეზიდენტის მიერ ე.წ. „გეკაჩეპეს“-მპუტჩის დროს ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობის გაუქმების შემდეგ, 1991 წლის 2 სექტემბერს პოლიციამ იარაღის გამოყენებით დაარბია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ედპ) საინფორმაციო მიტინგი რუსთაველის ძეგლთან. თბლისში, ფაქტობრივად, პოლიტიკურ კრიზისი დაიწყო. ეროვნული- დამოუკიდებლობის პარტიამ დაიწყო შიმშილობა ყოფილ “იმელის” შენობასთან, 10 სექტემბერს ბარიკადები აღიმართა რუსთაველის პროსპექტზე, იმართებოდა საინფორმაციო მიტინგები საქტელერადიო დეპარტამენტის შენობასთან, ედპ-ის შტაბ-ბინასთან- ჟურნალისტების, შემოქმედებითი ინტელიგენციისა და სხვათა მონაწილეობით.

4-5 სექტემბერს ხელისუფლებამ ძალით გაწმინდა რუსთაველის პროსპექტი, რის შედეგადაც დაიჭრა რამდენიმე ადამიანი. გვარდიის დიდი ნაწილი, დაახლოებით 15 ათასი კაცი, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით, ჯერ რკონის ხეობაში, შემდეგ კი თბილისის ზღვის მახლობლად დაბანაკდა.

1991 წლის 5 დეკემბერს რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის ხელმძღვანელთა მიერ ე. წ. ბელოვეჟის ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად საბჭოთა კავშირმა, როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა. ამ მოვლენამ კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. 19 დეკემბერს გაიმართა ოპოზიციის მიტინგი რესპუბლიკის მოედანზე, ხოლო ხელისუფლების მომხრეების – მთავრობის სასახლესთან. ოპოზიციის მომხრეები მთავრობის სასახლისკენ გაემართნენ. ეროვნული თანხმობის ორმხრივი ლოზუნგების მიუხედავად, შეთანხმება მაინც არ მოხდა. დაძაბულობამ დედაქალაქში კულმინაციას მიაღწია. ოპოზიცია მოითხოვდა პრეზიდენტის გადადგომას, ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას. ხელისუფლება მთავრობის სასახლესთან თავმოსაყრელად მოუწოდებდა თავის მომხრე ძალებს და ოპოზიციისგან მორჩილებას და განიარაღებას მოითხოვდა. 21 დეკემბერს მოხდა სისხლიანი შეტაკება.

თბილისში შემოვიდნენ გვარდიის დაუმორჩილებელი ნაწილი და “მხედრიონის” წევრები. თბილისის ცენტრი საომარი მოქმედების ასპარეზად გადაიქცა. არაერთი მცდელობის მიუხედავად, ომის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა: ხელისუფლებამ და ოპოზიციამ მოლაპარაკება 22 დეკემბრის შემდეგაც სცადეს, თუმცა ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ოპოზიცია ზვიად გამსახურდიასგან ჯერ თბილისის დატოვებას და ბათუმში წასვლას, შემდეგ კი – გადადგომას ითხოვდა. მთავრობის სასახლის დატოვებამდე პოზიცია არც პრეზიდენტს შეუცვლია.

29 დეკემბერს ბესო ქუთათელაძე ოპოზიციის მხარეზე გადავიდა. ტელეანძის დამცველი ფიქრობდა, რომ ამდენი სისხლის ღვრა და წინააღმდეგობა უკვე უაზრობა იყო. მეცნიერებათა აკადემიის შენობაში კი სიგუას, კიტოვანისა

და ჯაბა იოსელიანის შეთანხმებით, სამხედრო საბჭო დაფუძნდა. სამხედრო საბჭომ თენგიზ სიგუას დროებითი მთავრობის შექმნა დაავალა. რუსთაველის გამზირზე ომი კვლავ გრძელდებოდა, ქალაქის კინოთეატრები კი საახალწლო კინოჩვენებებისთვის ემზადებოდნენ. 31 დეკემბერს რუსთაველის გამზირზე მთელი დღე მოკლელულიანი ქვემეხები გუგუნებდნენ. გვიან ღამით სროლა თითქოს მიწყნარდა კიდეც. 3 იანვარს დიდუბის მეტროსთან რამდენიმეათასკაციანი მიტინგი გაიმართა. მშვიდობიან მომიტინგეებს კვლავ გაუხსნეს ცეცხლი, დაიღუპა 5 ახალგაზრდა და დაიჭრა 25 კაცი. სამხედრო საბჭომ გამსახურდიას ხელშეუხებლობისა და თბილისის უვნებლად დატოვების პირობა მისცა. 1992 წლის 6 იანვარს, ღამით, ზვიად გამსახურდიამ მთავრობის სასახლე დატოვა. როდესაც ყოფილი პრეზიდენტის კოლონა მეტეხის ხიდზე გადადიოდა, გამსახურდიას მანქანა გაატარეს, ხოლო ავტობუსს ცეცხლი გაუხსნეს.

დევნილი პრეზიდენტი თავშესაფრის იმედით აზერბაიჯანში გადავიდა. თუმცა, პრეზიდენტმა მუთალიბოვმა, "მეზობლების" განაწყენების შიშით, მას ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა. ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, სომხეთში გადასულიყო. პოლიტიკური პარტიის ლიდერები სამხედრო საბჭოს სომხეთში მყოფ ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებას სთხოვდნენ, გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც აღიძვრა დევნილი პრეზიდენტის წინააღმდეგ. ზვიად გამსახურდია სოხუმიდან ჩაფრენილი თვითმფრინავით გროზნოში გაფრინდა...

1992 წლის 7 იანვარს შეიარაღებული ოპოზიცია უზენაესი საბჭოს შენობაში შევიდა და "ტირანზე" გამარჯვება იზეიმა. სწორედ ამ დღეს დამთავრდა თბილისის ომი. იმავე დღეს, 7 იანვარს, მთავრობის სასახლიდან გასული გამსახურდიას 30-მდე გვარდიელი ზუგდიდში, შინ ბრუნდებოდა. ნატახტართან მათ ავტობუსს კიტოვანის გვარდიელებმა ცეცხლი გაუხსნეს. ავტობუსში მყოფთაგან მხოლოდ რამდენიმე გადარჩა.

თბილისის ომი დასრულდა, თუმცა, არ დასრულებულა სამოქალაქო დაპირისპირება... საქართველო ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის ზღვარზე იდგა. შემდეგ დატრიალებულმა მოვლენებმა ბევრს გაახსენა გამსახურდიას სიტყვები:

„მე დაგიხატავთ ჩემი პოსტიდან წასვლის შემდგომ თბილისს: თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება თითო შეიარაღებული ხელისუფლება, შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები, მათ შორის იქნება მუდმივი ბრძოლა ძალაუფლებისა და ზეგავლენისთვის. იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა, მოიშლება ყველაფერი – ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები... საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ".

ზვიად გამსახურდია, 1991 წლის 8 ოქტომბერი

კვირის პალიტრა: მოგონებები ხელმისაწვდომია ელექტრონულ მისამართზე: https://bit.ly/48cN2Fy



ავტორი: ლ. კაკაშვილი

ამონარიდები 1991 წლის პრესიდან:

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 21 სექტემბერი, 1991, N107-108; გვ:5

„ქართველები-ბარიკადების სხვადასხვა მხარეს:“ მთავრობის სახლთან - აქ კვლავ გრძელდება მიტინგები და პრეზიდენტის დასაცავი სხვა აქციები. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებიან მშრომელები, მოდიან ქალაქის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულების მუშები...

ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ დავიცვათ ჩვენი პრეზიდენტი, - გვითხრა რობერტ უგულავამ.

- ვისგან, ქართველებისგან? - ვიკითხეთ ჩვენ.- ორჯონიკიძეც და ბერიაც ქართველები იყვნენ, მაგრამ რა მოახდინეს, არ გახსოვთ?

თქვენი მოწინააღმდეგე ყველა ქართველი ბერია და ორჯონიკიძეა? - ეგ მე არ ვიცი, მაგრამ როცა საქართველოს ერთი ნაბიჯი უკლია დამოუკიდებლობამდე, პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილი ნებისმიერი აქცია ნამდვილად ორჯონიკიძეობაა.

ეთერ მქედლიანი: ჟურნალისტი: ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს პრეზიდენტს, მხარს ვუჭერთ და არა ვიცავთ. ზვიად გამსახურდიას ჩვენი დასაცავი არაფერი სჭირს, ჩვენ საქართველოს მომავალს ვიცავთ“.

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 5 ოქტომბერი, 1991,N113-114, გვ.3.

„ისევ ჩვენ და ისინი“ - ამ დღეებში მთავრობის სახლთან რეგულარულად იმართებოდა პრეზიდენტისა და ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგები. 30 სექტემბერს აქ გამართული გრანდიოზული შერიგების მიტინგის მონაწილენი აღფრთოვანებული შეხვდნენ ზვიად გამსახურდიას გამოსვლას, რომელმაც განაცხადა, რომ მთელმა ერმა უნდა მოსთხოვოს დღევანდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს იარაღის დაყრა.“

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 5 ოქტომბერი, 1991,N113-114, გვ.4.
თემურ თოდუა, დოცენტი:

„დემოკრატია ანარქია არ არის“ – განა ნამდვილი დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯზე არ მეტყველებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ჩატარებული რეფერენდუმი, პრეზიდენტის საერთო სახალხო არჩევნები ან თუნდაც ოპოზიციურ გაზეთებში ხელისუფლების განმაქიქებელი ხასიათის პუბლიკაციები? რაც შეეხება რესპუბლიკის პრეზიდენტს, სექტემბრის ამბებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი ზედმეტად ლიბერალი პიროვნებაა. აბა, რომელი ქვეყნის ხელმძღვანელი აიტანდა კბილებამდე შეიარაღებული ოპოზიციის ამგვარ პარპაშს. სხვა მხრივ ოპოზიციის მიერ მსოფლიო საზოგადოების თვალში ზ.გამსახურდიას დიქტატორად „მონათლვა“ სასიკეთო შედეგს ვერ მოუტანს ოპოზიციას და საერთოდ საქართველოს.“

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 12 ოქტომბერი, 1991 წ. N115-116-117; გვ.5.

“ამ დღეებში ამომრჩევლების სამასკაციანმა ჯგუფმა (ხელმოწერების შეგროვება გრძელდება) პრესით და ტელევიზიით დაჟინებით მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს, დაუყოვნებლივ დაითხოვოს პარლამენტი და რესპუბლიკაში საპრეზიდენტო მმართველობა შემოიღოს. უჭერთ თუ არა მხარს ამ მოწოდებას: - გელა როინიშვილი, ექიმი:- მე მჯერა, რომ ზვიად გამსახურდია, თვით სრული ძალაუფლების ხელში აღების შემდეგაც, არ დაივიწყებს მთავარს - ყველაფერზე, რასაც ის გააკეთებს, პირდაპირ იქნება დამოკიდებული საქართველოს ბედ-იღბალი. საქართველო კი, რაც არ უნდა თქვას მავანმა და მავანმა, ზვიადს ყველაზე მეტად უყვარს“.

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 21 სექტემბერი, 1991, N107-108; გვ:4

„ქართველები-ბარიკადების სხვადასხვა მხარეს:“ „ალბათ ძნელად წარმოიდგენდა 9 აპრილგამოვლილი და თითქოს სამუდამოდ ერთ მუშტად შეკრული ქართველობა რომ დღეს ორად გახლეჩილი და ორ მტრულ ბანაკად გაყოფილი აღმოჩნდებოდა. რომ ქართველი ქართველს, მამა შვილს, და ძმას, მეგობარი მეგობარს დაუპირისპირდებოდა. თბილისი სახელმწიფო უნივერისტეტის წინ: „ჩვენი დამოუკიდებლობის გზა დღევანდელი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის გადადგომაზე გადის“ - ასეთი იყო 16 სექტემბერს უნივერსიტეტის ეზოში გამართული მიტინგის მონაწილეთა საერთო განწყობილება. ცუდია, როცა ტელევიზია დათრგუნულია, როცა პრესაში სიმართლე არ იბეჭდება, როცა არ იცავენ პიროვნების უფლებებსა და ღირსებებს.”

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 21 სექტემბერი, 1991, N107-108; გვ:5
ელენე კანდელაკი, ისტორიკოსი:

„ქართველები-ბარიკადების სახვადასხვა მხარეს:“ „-ჩემი თაობა სტალინზე და ბერიაზე სიმღერებით აღიზარდა, არ მინდა, რომ ჩემი შვილიშვილები ახლა ზვიადზე სიმღერებით იზრდებოდნენ, ეს კიდევ ერთხელ იქნება ჩვენი მონური ბუნების დასტური. მე ვერ დავუკარგავ უდიდეს ამაგს ზვიად გამსახურდიას საქართველოს და ქართველი ხალხის წინაშე, - მან შესანიშნავად დაანგრია კომუნისტური სისტემა, მაგრამ კარგი მნგრეველი ყოველთვის როდი გამოდგება ახლის მშენებლად“.

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 5 ოქტომბერი, 1991,N113-114; გვ:3

„ისევ ჩვენ და ისინი“ ტელევიზიასთან: „3 ოქტომბრამდე აქ კვლავ შეიარაღებული გვარდიელები იდგნენ. ტელერადიოდეპარტამენტის შენობის წინ ყოველდღიურად იმართებოდა საინფორმაციო მიტინგები. 1 ოქტომბრის მიტინგზე გამოსულებმა ილაპარაკეს რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების შესახებ. ირაკლი წერეთელმა კითხვაზე, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს დაპირისპირება, თქვა: მანამ, სანამ არ იზეიმებს დემოკრატიაო. მიტინგზე გამოვიდა თენგიზ სიგუა და უარყო აზრი მისი მოსკოვში გაპარვის შესახებ და განაცხადა, რომ იგი აქედან ფეხს არ მოიცვლის საბოლოო გამარჯვებამდე.

გაზეთი„ახალგაზრდა ივერიელი“, 5ოქტომბერი, 1991,N113-114; გვ.4.
რევაზ სადუნიშვილი, ისტორიის მასწავლებელი:

„მაგარი ხელი“ თუ ლიბერალიზმი? - „ხელისუფლებამ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე უარი თქვა ოპოზიციასთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე: ვერ მოახერხა გარკვეულიყო საკადრო საკითხებში; ვერ განახორციელა საბჭოური მმართველობის დემონტაჟი. ხელისუფლება შეუდგა არსებული ტოტალიტარული მმართველობის სისტემის განმტკიცებას, პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებით მოახდინა უნიტარული მმართველობის რესტავრაცია, დააწესა მკაცრი ცენზურა ინფორმაციის ყველა საშუალებაზე, გაატარა რეპრესიები ოპოზიციის გარკვეული ძალების წინააღმდეგ“.

თვითმხილველების ნარატივები (ინტერვიუ)

პაატა ბუხრაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი.

„ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებამ ჩემ თვალწინ გაიარა, უკვე საკმაოდ დიდი ვიყავი და სრულიად გაცნობიერებულად ვმონაწილეობდი საპროტესტო გამოსვლებში. მე ვარ არა მხარე, არამედ დაზარალებული ქართველი ერის წარმომადგენელი. საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ინიციატივით უნდა დაწყებულიყო სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოობრიობა და ამაზე რაიკომის მდივნები (თანამდებობა საბჭოთა კავშირის დროს) გაგიჟდნენ. ამასთან საქართველო საკმაოდ განვითარებული სახელმწიფო იყო, თავისი მძიმე და მსუბუქი მრეწველობით, ქარხნებით, ფაბრიკებით, ... ეს ეკონომიკურ სიმდიდრეს ქმნიდა ქვეყანაში. საქართველო გადიოდა კავშირიდან აწყობილი ეკონომიკით, არ აწყობდა რუსეთს ეს ყველაფერი, რუსეთის ინტერესებს დაემთხვა ქართველი რაიკომის მდივნების ინტერესები. მათ მოინდომეს არსებული პრივილეგიების შენარჩუნება. საბოლოო მიზანი ეროვნული ხელისუფლების დამხობის იყო ის, რომ რუსეთის ეკონომიკის გავლენისგან არ გათავისუფლებულიყო საქართველო და შედეგიც სახეზეა, საქართველო ახლა არის რუსეთის ეკონომიკაზე მიბმული. რაიკომის მდივნებმა, რომლებიც იყვნენ კაცის კაცები. ამ გადატრიალებას მე ვეძახი რუსულ ოპერაციას. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვარ 62 წლის, ვცოცხლობ, მაგრამ ვიცხოვრე სამი წელი, ეს იყო 1988 წლის ნოემბრიდან 1991 წლის დეკემბრამდე.”

თამაზ მაყაშვილი. აიპ-ი გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე. მოვლენების თვითმხილეველი.

„სამოქალაქო ომი წარმოიქმნა ეროვნული მოძრაობის გახლეჩის შედეგად.

საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი, ეროვნული მოძრაობის ერთ ნაწილს გაჰყვა, მეორე ნაწილი აღმოჩნდა მეორე მხარეს. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის ბევრი სუსტი მხარე გამოვლინდა ერთი წლის განმავლობაში. თავად ზვიად გამსახურდიას გუნდში მოხდა განხეთქილება. პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა და თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი დაუპირისპირდნენ მას. მათ წამოიწყეს სამოქალაქო ომი. 1991 წლის 22 დეკემბერს გავარდა პირველი ტყვია. ახლა მსჯელობენ რომელი მხრიდან იყო გასროლილი, ... მაშინ მოსახლეობის უმრავლესობამ არ დაუჭირა მხარი ზვიად გამსახურდიას და დადგა ოპოზიციის მხარეს. ამ საომარი მოქმედებების შედეგად დაამხეს ხელისუფლება, პრეზიდენტი გაიქცა ჩეჩნეთში. ზვიად გამსახურდიას ბურუსით მოცული სიკვდილით თითქოს დამთავრდა დაპირისპირება, მაგრამ საზოგადოებაში დარჩა განხეთქილება, მე ვიცი ოჯახებიც კი იყო გაყოფილი ზვიადისტებად და არაზვიადისტებად. ეს იყო უმძიმესი, ჩვენი ხალხისთვის სამარცხვინო ისტორიის ფურცლები. იმ დროს მიმდინარეობდა პრესის თავისუფლების შეზღუდვა, მწვავედ იდგა ეთნიკური უმცირესობების საკითხი. ძალისმიერი მეთოდებით ხდებოდა ოპოზიციის მშვიდობიანი მიტინგების დარბევა, მახსოვს სახანძრო მანქანა პირდაპირ შევარდა მომიტინგეების რიგებში. მაგრამ ოპოზიციამაც ბევრი შეცდომა დაუშვა. მთავარი შეცდომა კი იყო ის, რომ სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდა ეს ყველაფერი. ოპოზიციას სწრაფად უნდოდა ხელისუფლების ცვლილება და შეიძლებოდა მივსულიყავით არჩევნებამდე“(ინტერვიუ ჩაიწერა ლ. კაკაშვილმა).

ეკა მარგველანი. მასწავლებელი

„მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და მახსოვს ატმოსფერო, რადგან იმ მომენტში არ შემეძლო ფაქტების გააზრება, რა ხდებოდა და რისთვის, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, ის, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა, ამას ყველა ამჩნევდა, დიდიც და პატარაც. მცირე გამონაკლისების გარდა, მაშინდელი ელიტის უდიდესი ნაწილი, ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, ტელეწამყვანები აღმოჩნდნენ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულთა ბანაკში. ასეთი რადიკალური გზით შეცვლილიყო ხელისუფლება, არ იყო ჩვეულებრივი ადამიანების სურვილი. როცა ეს ამბები დაიწყო, ზამთრის არდადეგები დაემთხვა, უკვე დასავლეთ საქართველოში ვიყავი და ტელევიზორით ვადევნებით თვალს რუსთაველზე განვითარებულ მოვლენებს. არ მჯეროდა, რომ ქალაქის ცენტრში, შუა რუსთაველზე ქართველებს შორის მიდიოდა ჩვეულებრივი ომი, რაც ფილმებში მქონდა ნანახი, თავისი იარაღით, ბეტეერებით, ავტომატებით... მერე მახსოვს, ცოტა გვიან ჩამოვედით თბილისში, უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო და პირველად რომ ვნახე რუსთაველი დანგრეული, მაშინ საბოლოოდ გავიაზრე, თურმე აქ მართლა მოხდა ეს ამბები. ყველაფერი დაცხრილული, შენობები განადგურებული. ... მე პირადად იმ მოვლენებმა შიში დამიტოვა, როდესაც დღეს მიტინგები ხდება, რაც არ უნდა მშვიდობიანი იყოს, მაინც სულ მეშინია, რომ იგივე არ მოხდეს, ისევ არ ესროლონ... “ (ინტერვიუ ჩაიწერა თ. მაჭარაშვილმა)

ნუგზარი, ომის თვითმხილველი, ნაწყვეტი ონლაინ ჟურნალიდან ambebi.ge

“თბილისის ომს შეიძლება “მთაწმინდის ომი” ეწოდოს, რადგან ქალაქის სხვა რაიონებში ჩვეულებრივი ცხოვრება გრძელდებოდა, ხოლო დეზერტირების ბაზარში გახურებული საახალწლო ვაჭრობა იყო გაჩაღებული. სახლში ვიჯექი და პირველი დღეები განუწყვეტლივ ვადევნებდი თვალს ჩემი ბინის აივნიდან, რომელიც ბესიკის ქუჩას გადაჰყურებს. მაშინ საცხოვრებელ სახლებს არ

ესროდნენ. ეს მერე იყო, ტყვიების სეტყვა რომ წამოვიდა და მთავრობის სახლის მიმდებარე არემარეში ერთი შენობა არ დარჩა დაუცხრილავი. ... მეხანძრეები აღარ მოდიოდნენ, ვიღაცეები მათაც ესროდნენ, რომ ხანძარი ცოტა ხანს კიდევ გაგრძელებულიყო. სახლში ფანჯრები ჩარჩოებიანად ჩალეწილი მქონდა, აივნის კარი – დაცხრილული. ერთადერთი, გარეთა, მზიდ კედელში ვერ ატანდა ტყვია, და სწორედ ამ კედლის უკან, ოთახის კუთხეში მოვიწყვე ბლინდაჟი - დავიგე იატაკზე ლეიბი, გადმოვიტანე ტელევიზორი და წიგნები... ავტომატების განუწყვეტელი კაკანის მიუხედავად, მსხვერპლი მაინც მცირე იყო, რადგან არც ერთი მხარე არ ისროდა გამეტებით. ბესიკის კუთხეში, პურის მაღაზიასთან სამი გვარდიელი იდგა, მერე გამოველაპარაკე, გორელები აღმოჩნდნენ. ერთი მათგანი წამით მოსცილდა კედელს, ჩაიმუხლა და ზუბალაშვილების ქუჩის კუთხიდან მთავრობის სახლის მიმართულებით გაუშვა რამდენიმე ჯერი. მოარტყი ვინმეს? – ჰკითხა მეორემ. არა, და - მადლობა ღმერთს, არც აქამდე მომირტყამსო. ომი, რომელმაც კარგა ხნით გადაწყვიტა საქართველოს ბედი, და რომელსაც დღემდე მორცხვად იხსენიებენ თბილისის 1991-92 წლების მოვლენებად, მიმდინარეობდა სულ 2-3 კვადრატულ კილომეტრზე, ... ხოლო ქალაქის დანარჩენი რაიონების მცხოვრებთა ის მცირე ნაწილი, საახალწლო სუფრის სამზადისში კიდევ რომ შერჩენოდა ინტერესი, მოდიოდა, რომ ენახა, რა ხდებოდა. მოდიოდა სეირის, პირდაპირი მნიშვნელობით აღქმული ომის თეატრის საყურებლად”...

საზოგადოების შეფასება თბილისის ომის შესახებ წლების შემდეგ;

აკაკი ბაქრაძე, მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.
მოვლენების თანამედროვე:

„არც ერთი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა ისე მწარედ არ დამარცხებულა, როგორც საქართველო... მართალია, ზნეობრივად დავეცით, მოყვასის სიყვარული დავივიწყეთ, პრესის საშუალებით ერთმანეთის ლანძღვა-გინება გავაჩაღეთ, სძულვილი დავთესეთ, მაგრამ, საუბედუროდ, ყველგან ასე ხდებოდა, კულტურისა და ცივილიზაციის კლასიკურ ქვეყნებშიც კი.

პოლიტიკური ბრძოლის კანონზომიერებამ მაინც თავისი გაიტანა. ურთიერთჟლეტა ვერ ავიცდინეთ.“

დათო ტურაშვილი, მწერალი და მოვლენების თანამედროვე:

„არც ერთი პრობლემა არ იყო საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისათვის ტყვია გვესროლა. ამიტომაც მგონია, რომ იმ ძალადობას მაინც არანაირი გამართლება არა აქვს და იმ გამოუსწორებელი შეცდომის შედეგებს ახლაც მწარედ ვიმკით... მიტინგიც გავმართეთ უნივერსიტეტის ეზოში და იქვე აღმოვაჩინე კიდეც, რომ ომი საქართველოში მართლა ძალიან ბევრს სურდა. როცა მშვიდობასა და ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე დავიწყეთ ლაპარაკი, მიტინგზე მოსული ხალხიც მაშინვე შემოგვეცალა. უნივერსიტეტის წინ სულ რამდენიმე ადამიანი დავრჩით და ჩვენ შორის თავგანწირული კი მაინც გია აბესაძე აღმოჩნდა, რომელმაც რუსთაველის პროსპექტზე, თავი დემონსტრაციულად დაიწვა. მან თავი მოიკლა პროტესტის ნიშნად და არც კი ვიცი, ასეთი მსხვერპლი თუ ახსოვს სხვა რომელიმე ქვეყნის სამოქალაქო ომის ისტორიას... თუმცა კლასიკური გაგებით, თბილისის ომი არ იყო სამოქალაქო ომი, ისევე როგორც კლასიკური გაგებით აჯანყება ან რევოლუციური ამბოხი. ეს უფრო იყო თბილისური გაგებით გადატრიალება და როცა რუსთაველის პროსპექტზე საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა,

არცთუ ძალიან მოშორებით, თითქმის მეზობელ უბნებში, ადამიანები სხვა ცხოვრებითაც ცხოვრობდნენ. მაგრამ ისინიც კი, მაინც მოდიოდნენ ხოლმე რუსთაველზე ნამდვილი ომის სანახავად და თბილისის ომს გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე მონაწილე.... საერთაშორისო ვითარებაც ზუსტად ისეთი იყო, როგორც ყოველთვის არის ხოლმე, როცა შენს ქვეყანას ნგრევისთვის თვითონვე იმეტებ და მერე სხვების დახმარებას ელოდები."

ლევან ბერძენიშვილი: მწერალი, ყოფილი დისიდენტი, ოპოზიციის მომხრე:
„სამწუხაროდ, მისი პრეზიდენტობის დროს მოხდა სამოქალაქო ომიც. ორად გახლეჩილი საზოგადოების ერთ ნაწილს ზვიად გამსახურდიას მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა. თუმცა, ვფიქრობ, ზვიად გამსახურდიას მიმართ ისტორია აუცილებლად კეთილგანწყობილი იქნება. რა თქმა უნდა, მას არ დაუვიწყებენ შეცდომებს, არ დაივიწყებენ იმას, რომ მის დროს მოხდა სამოქალაქო დაპირისპირება, რომელშიც შეუძლებელია რომელიმე მხარე დამნაშავე არ იყოს... ზვიად გამსახურდიასთვის „მთავარი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო! იგი მხოლოდ ამ იდეით იყო შეპყრობილი და ამიტომაც ვერ ხედავადა ამ იდეისკენ მიმავალ ისეთ გზებს, როგორიც იყო - ჯერ ..... თავისუფლება, შემდეგ დამოუკიდებლობა; ჯერ ადამიანის უფლებები, შემდეგ დამოუკიდებლობა და სხვ. მისთვის პირველ ადგილას იდგა საქართველო და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ მის გონებაში წაშალა ყველა სხვა იდეა!"

ჯუმბერ პატიაშვილი, 1985-1989 საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი:
„1991-1992 წლების სამოქალაქო ომმა და დაპირისპირებამ ქვეყანა ყველა თვალსაზრისით, მათ შორის, ეკონომიკურადაც დააზარალა და გაანადგურა. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისაგან, ანუ იმისგან, რითაც კომუნისტურ ეპოქაში ასე ვამაყობდით, აღარაფერი დარჩა... სამყაროში ყველაფერი, მათ შორის, ერის ისტორიაც მიზეზშედეგობრივი კავშირით იქმნება. ჩვენ კი არც მიზეზები შევისწავლეთ და შედეგსაც ის სახელი ვუწოდეთ, რაც გვსურდა და არა ის, რაც რეალურად იყო. შეცდომა შეცდომაზე დავუშვით და.....საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ ამჯერად უკვე რუსის ჯარის ჩაურევლად, ქართველი დაუპირისპირდა ქართველს. სამოქალაქო ომი, ეს უკვე ერის სირცხვილი იყო . . .

რესურსი: "კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში" - პედაგოგიური გზამკვლევი (2024 წ) - "ტრაგედიად ქცეული თავისუფლება"- ("CONFLICTS IN THE POST-SOVIET SPACE" -Pedagogical Guide - "The Freedom that Turned into a Tragedy"- Levan Bukia, Tbilisi public school No. 87, Tbilisi Lela Kakashvili, Gori public school No. 9, Gori Ekaterine Maisuradze, Gori public school No. 12; Tbilisi public school No. 133, Gori/Tbilisi Tamuna Macharashvili, Tbilisi public school No. 77, Tbilisi Giorgi Labadze, American International School Progress, Tbilisi) - რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე - https://bit.ly/3WvO1OB)

ტექსტი დოკუმენტური ფილმიდან „საქართველო – მე-20 საუკუნე".
კოკა ყანდიაშვილი. ტელეკომპანია „მაესტრო"

„საოცრად მომრავლდნენ მათხოვრები და კიდევ ბაზრობები. ადამიანებს ხომ გასაყიდად სახლებიდან ყველაფერი გამოაქვთ, ოჯახური რელიქვიებიდან დაწყებული, წიგნებით დამთავრებული.[...] ქუჩაში გამოსული, მაშინვე შეამჩნევთ, რომ ერთბაშად გაჭაღარავდა თბილისი, მოუბერდათ სახეზე კანი ჩვენს ჯერ კიდევ გუშინ ახალგაზრდა დედებს, ხალხს ჩაუშავდა თვალები, დანაცრისფრდა დედაქალაქი. ქალები ქუსლებზე, მამაკაცები კი ელეგანტურად სიარულს გადაეჩვივნენ, წონაში დაკლება ახალგაზრდე ბისთვის მოდაა, შედარებით ხანში შესულთათვის – შიმშილი. შემცირდა და თითქმის აღარ გვხვდება საქორწინო მხიარული მაყრიონი, სამშობიარო სახლებიც თითქმის ცარიელია. [...] რიგებში დგომითა და საჭმელზე ფიქრით თენდება და ღამდება. სტუმრად მისვლა და სტუმრის მიღება უხერხულიც კი გახდა. ხალხი ერთმანეთის სულიდან წაკითხვის ნაცვლად, სხეულიდან წაკითხვას მიეჩვია, ბადურებიდან, ხელჩანთებიდან, სანოვაგით დატვირთული პარკებიდან წაკითხვას, ადამიანები თავაწეულნი კი არა, ერთმანეთის ხელებზე მოთვალთვალენი დადიან, რადგან ესეც ინფორმაციის მიღების ერთგვარი მეთოდია, თუ სად რა იყიდე. უსინათლო და მშიერი დღეების უზარმაზარმა რიგმა დააბეჩავა და გაატიალა ქართველი ერი. შეიარაღებულიბანდების თარეშს თვლა არ უჩანს, ყოველ ღამე ისვრიან, ყოველ ღამე ვიღაცას თავს ესხმიან და ძარცვავენ. [...] ენერგეტიკული კრიზისი უკვე ჩვეული ამბავია, გონებამახვილნი ხუმრობენ კიდეც, ფუნიკულიორის გადმოსახედიდან ღამე დანახული თბილისი საფლავს უფრო წააგავს, ვიდრე დედაქალაქსო. სახლში ნათურის ანთებას ადამიანები ზოგან დღეები, ზოგან კი თვეები ელოდებიან და ამ ლოდინს ბევრი ვერ უძლებს, დეპრესია და ფსიქოზი მასიური მოვლენა გახდა."

ყანდიაშვილი, კოკა. დოკუმენტური ფილმი „საქართველო – მე-20 საუკუნე," ტელეკომპანია „მაესტრო,"

რესურსი ხელმისაწვდომია მისამართზე: https://files.fm/f/8nufu2aah

ამონარიდები "კვირის პალიტრის" ხუთტომეულის - "ჩვენი ეპოქა" I ტომიდან

"შენს ომში ყოველთვის შენ აგებ და არა სხვა, საკუთარ ქვეყანას ომს ვერასდროს მოუგებ"

"თბილისის ომს მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე მონაწილე. სხვა ნიშნებითაც, ეს იყო უცნაური და განსხვავებული ომი. მახსოვს, ცნობისმოყვარეებს შორის ვიდექი რუსთაველის თეატრის წინ, როცა ვერის მხრიდან შვეულმფრენი გამოჩნდა, რომელზეც ვეებერთელა ავზი იყო ჩამოკიდებული. ავზი იმხელა იყო, რომ ხალხმა მაშინვე რაღაც სისულელეებზე დაიწყო ლაპარაკი. ვიღაცამ თქვა, – ალბათ, ვერელების "ვერტალიოტიაო", ვიღაც იქვე შეეკამათა კიდეც, – ვერელებისა კი არა, ჩემი ახლობელი ვაკელების არის და "რულთან" ბუბა კიკაბიძე ზისო. შვეულმფრენის შტურვალს ვინ მართავდა, ვერ ვხედავდით, მაგრამ ნათელი იყო, რომ კარგი არაფერი ხდებოდა (ის ავზი პარლამენტსა და პირველი სკოლის შუა ჩამოაგდეს. კიდევ კარგი, რომ არ აფეთქდა, რადგან როგორც მერე გავიგეთ, საწვავით იყო სავსე და პარლამენტის აფეთქებას აპირებდნენ, თუმცა, მსხვერპლი უამისოდაც დიდი იყო, რაც მთავარია, ომი წაგებული ჰქონდა ორივე მხარეს, რადგან შენს ომში ყოველთვის შენ აგებ და არა სხვა, საკუთარ ქვეყანას ომს ვერასდროს მოუგებ)".

დათო ტურაშვილი

“28 დეკემბერს კიტოვანს ამიერკავკასიის სამხედრო შტაბიდან დაეხმარნენ, ამჯერად ტელეანძის ასაღებად. ბრძოლაში მონაწილეობდა რამდენიმე ათეული საბჭოთა ჯარისკაცი. საერთოდ, თბილისის ომი შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა არმიის უკანასკნელ ოპერაციად, რადგან 31 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბჭოთა ჯარები რუსეთის ჯარებად გადაკეთდა”.

სპარტაკ ჟიდკოვი, “მცირე იმპერიის ნახტომი”

“ქართულ ეროვნულ მოძრაობას ხელები სისხლით აქვს მოსვრილი და საეჭვოა, რომ მან ოდესმე ამ სისხლის ჩამობანა შეძლოს”.

აკაკი ბაქრაძე, სატელევიზიო გამოსვლიდან, 1992 წლის იანვარი

“1991 წლის 27 დეკემბერს მთავრობის სახლის წინ რამდენიმე რუსი ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს. მე და ჯონი ფირცხალაიშვილი წავედით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელ გენერალ ბეპაევთან (გენერალი პატრიკეევი მაშინ შვებულებაში იყო). ბეპაევს პროტესტი განვუცხადეთ რუსი სამხედრო მოსამსახურეების პუტჩში მონაწილეობის გამო და რუსეთს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა მოვთხოვეთ. ბეპაევი ყურადღებით გვისმენდა, შემდეგ მშვიდად გვიპასუხა, – ეს გადაწყვეტილება ჩემმა მთავარსარდალმა, ბორის ელცინმა მიიღო. მესმის, რომ ესენი (ამბოხებულები) კრიმინალური ბანდები არიან (ზუსტად მაშინ შეატყობინეს, რომ ერთ-ერთი დივიზიის მეთაური ყაჩაღური თავდასხმის მსხვერპლი გახდა და მძიმედ იყო დაჭრილი), მაგრამ მე მაქვს ბრძანება, დავეხმარო პუტჩისტებს, როგორც თქვენ ეძახითო”.

ვიქტორ დომუხოვსკი (უზენაესი საბჭოს წევრი), ვარშავა, 2001 წ.

“მთავრობის სასახლიდან რომ გამოვედით, ჯერ გათენებულიც არ იყო. ისევ ბნელოდა. ავტობუსში ჩავსხედით, რომელიც ხალხით ისე იყო გაჭედილი, განძრევაც არ შეიძლებოდა. ჩემ გვერდით დეპუტატი ირინე ტალიაშვილი იჯდა”.

ნემო ბურჭულაძე (უზენაესი საბჭოს წევრი)

ჯაბა იოსელიანმა მოგვიანებით აღიარა, რომ ყოფილი პრეზიდენტისა და მისი მომხრეებისთვის ცეცხლის გახსნა დიდი შეცდომა იყო. “ეს იყო შეცდომა, რადგან, როცა კაცს ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევ და კაცურად ჰპირდები, უსაფრთხოდ დატოვებ ქვეყანასო, უნდა შეასრულო! იმ ავტობუსში ქალები და ბავშვები იყვნენ, პრეზიდენტს თავი რომ დავანებოთ”.

ჯაბა იოსელიანი

“დაცხრილულ ავტობუსში თითზე ჩამოსათვლელნი გადავრჩით. როგორც იყო, იქიდან ჩამოვედით და იქვე ახლოს, სარდაფს შევაფარეთ თავი. ალბათ, 7-ის ნახევარი იქნებოდა, რომ შეიარაღებული ახალგაზრდები შემოიჭრნენ. მე, ნემო ბურჭულაძე, ტარიელ გელანტია და ბორის კალანდია დაგვაპატიმრეს და წაგვიყვანეს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში, სადაც პუტჩის მოთავენი იყვნენ”.

ირინე ტალიაშვილი (უზენაესი საბჭოს წევრი)

ფოტოები ეროვნული ბიბლიოთეკიდან

შახ აივაზოვი







ისტორიკოს გაბრიელ ჩუბინიძის მიერ აღმოჩენილი უცნობი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ფოტოები. რესურსი ხელმისაწდომია მისამართზე: https://bit.ly/4acmEwi

წასაკითხი მასალა (რიდერი)

სამოქალაქო ომი

სამოქალაქო ომი არის ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტი სახელმწიფოს შიგნით არსებულ დაპირისპირებულ ძალებს შორის სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. სამოქალაქო ომის, როგორც სხვადასხვა ჯგუფს შორის ქვეყნის შიდა ძალადობრივი კონფლიქტის მიზანია, ძალაუფლების მოპოვება ცენტრალურ თუ რეგიონალურ დონეზე ან ხელისუფლების შეცვლა. სამოქალაქო ომი მაღალი სიხშირის მქონე ომია, რომელშიც ძირითადად ჩართულია შეიარაღებული ძალები, რომლებიც რომელიმე მხარესაა მიმხრობილი, არის ორგანიზებული და ფართო მასშტაბების. სამოქალაქო ომის შედეგი შეიძლება იყოს, ადამიანური და მატერიალური რესურსების მხვილ მასშტაბებში დაკარგვა. თანამედროვე სამოქალაქო ომები, ხშირ შემთხვევებში გარე ძალების მხრიდან ჩარევებსაც გულისხმობს. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდარი სამოქალაქო დაპირისპირებების უმრავლესობაში საერთაშორისო ინტერესები დომინირებდა.

სამოქალაქო ომში ერთი მხარე იბრძვის არსებული პოლიტიკური რეჟიმისა და სახელმწიფო წყობილების შენარჩუნებისათვის, ხოლო მეორე მხარე - ახალი პოლიტიკური რეჟიმის დასამყარებლად, თავის უფლებათა დასაცავად.

უკანასკნელ ათწლეულებში სამოქალაქო ომების რიცხვმა მკვეთრად იმატა. ეს, **ერთი** მხრივ, გამოწვეულია იმ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდით, რომელთა უმრავლესო-ბა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყოფილი კოლონიური ქვეყანაა. ამ ქვეყანაში ეთნიკური, ტომობრივი, რელიგიური, პარტიული თუ კლანური დაპირისპირებები ჩვეულებრივი მოვლენაა და ნოყიერ ნიადაგს ქმნის სამოქალაქო ომის გაჩაღებისათვის; **მეორე** მხრივ, გარკვეული წინააღმდეგობა, რომელიც საერთაშორისო სამართლის ორ - ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის - პრინციპს შორის არსებობს, სამოქალაქო ომისათვის მრავალ მიზეზს წარმოშობს. ასევე მხედველობაში მისაღებია საერთაშორისო ტერორიზმის მზარდი როლი, რაც გამოიხატება უკანონო სამხედრო ძალების შექმნით და მათი გაგზავნით სამოქალაქო ომის კერებში ამა თუ იმ მხარისათვის მხარდაჭერის მიზნით, რაც საერთაშორისო სამართლით აკრძალულია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი სამოქალაქო ომები, საშუალოდ 5 წელიწადზე დიდხანს გრძელდებოდა, რაც 1900-1944 წლებში მომხდარ სამოქალაქო ომებთან შედარებით, 1.5 წლითაა გაზრდილი. ასევე, 1945 წლიდან, სამოქალაქო ომებში დახოცილი ადამიანების რაოდენობა აღემატება 25 მილიონს; მათ მოჰყვა მილიონობით ადამიანთა იძულებით გადაადგილება და ქვეყნის ეკონომიკის მოშლა.

Ann Hironaka-ს მიხედვით, სამოქალაქო ომის ერთი მხარე ყოველთვის არის სახელმწიფო. აკადემიკოსებს შორის არსებობს გარკვეული უთანხმოება, თუ სამოქალაქო არეულობის როგორი ინტენსიურობა შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ომად. ზოგიერთი პოლიტოლოგი თვლის, რომ სამოქალაქო ომს უნდა ახასიათებდეს 1000-ზე მეტი ადამიანური დანაკარგი, რათა იწოდოს სამოქალაქო ომად; ზოგიერთები უფრო აკონკრეტებენ და თვლიან, რომ, მინიმუმ 100 ადამიანური დანაკარგი უნდა ჰქონდეს მიღებული კონფლიქტის ყველა მხარეს. ხშირად იყენებენ ასევე, წელიწადში 1000 ადამიანური დანაკარგის

კრიტერიუმს; ამ კრიტერიუმის მიხედვით, 1816 წლიდან 1997 წლამდე, მოხდა 213 სამოქალაქო ომი და აქედან 104 მოხდა 1944-1997 წლებში. თუ გამოვიყენებთ შედარებით ფართო კრიტერიუმს-მთლიანობაში 1000 დაღუპულ ადამიანს, მაშინ 1945 წლიდან, 2007 წლამდე, მოხდა 90 სამოქალაქო ომი.

სამოქალაქო ომის მიზეზები, Colier-Hoeffler-ის მოდელის მიხედვით

მსოფლიო ბანკის ჯგუფმა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ჩაატარა კვლევა, რომელიც დღეისათვის ცნობილია როგორც Colier-Hoeffler-ის მოდელი; მათ შეისწავლეს 1960-1999 წლებში მომხდარი 78 ხუთწლიანი სამოქალაქო ომი და რამდენიმე ასეული არა-სამოქალაქო შეიარაღებული კონფლიქტი-ერთმანეთთან შესადარებლად და გამოყვეს რამდენიმე ფაქტორი, რომლებსაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სამოქალაქო ომის დაწყებაზე; ეს ფაქტორებია:

- **პრობლემები მოლაპარაკებებისას** - ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოში, რომელიც სამოქალაქო ომშია გახვეული, კონფლიქტში ჩართული მხარეები ერთმანეთს არ ენდობიან. მხარეები ასევე ერიდებიან, პირველებმა გამოხატონ ინიციატივა სამშვიდობო მოლაპარაკებების წამოწყებასთან დაკავშირებით, რადგან ამ შემთხვევაში ისინი გამოამჟღავნებენ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისუსტეებს. სამოქალაქო ომში მონაწილე სახელმწიფოები ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ მოსალოდნელი კონფლიქტური ხაფანგების თავიდან არიდებას, რადგან მათ გააჩნიათ სუსტი პოლიტიკური თუ სამართლებრივი ინსტიტუტები, რომლებმაც წესით უნდა მოახდინონ მოლაპარაკებების სტიმულირება და სამშვიდობო შეთანხმებების უზრუნველყოფა.
- **მმართველობა** - პოლიტიკური მეცნიერებების მკვლევარი ბარბარა უოლტერი ავითარებს თეორიას, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო ომები მეორდება წარსულში მომხდარი სამოქალაქო ომების კვალდაკვალ, მაშინ, როდესაც ლიდერები არასაკმარისად ანგარიშვალდებულები არიან საზოგადოებასთან, როდესაც არსებობს მწირი სამოქალაქო ჩართულობა პოლიტიკაში და როდესაც ხელისუფლების მხრიდან ინფორმაციის გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტია. უოლტერსის აზრით, თუ ზემოაღნიშნული მექანიზმები სწორად მუშაობს და აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტები გამართულია, მაშინ ხალხს ისინი უკეთ ემსახურებიან. პოლიტიკური და სამართლებრივი შეზღუდვები ქმნიან ისეთ სტანდარტს, რომელიც ამაღლებს ხელისუფლების პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, რაც, თავის მხრივ, სამშვიდობო შეთანხმების შენარჩუნებას ემსახურება. უოლტერის თქმით, ძლიერი ინსტიტუციები და კარგი მმართველობა არის ერის კეთილდღეობა და არა დემოკრატიის არსებობა ან სიღარიბის დონეები.
- **თუ ქვეყნის ეკონომიკა დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკის პირველად სექტორზე (ბუნებრივ რესურსებზე)**, კერძოდ თუ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 32% მოდის ბუნებრივი რესურსების ექსპორტიდან, ეს 22%-ით ზრდის მოცემულ 5- წლიან პერიოდში, სამოქალაქო ომის განვითარებას. მაგალითად, ქვეყანა, რომელიც ნაკლებადაა ნავთობის ექსპორტზე დამოკიდებული, მას ნაკლები ალბათობა აქვს სამოქალაქო ომის განვითარების, ვიდრე იმ ქვეყანას, რომელიც დიდადაა ნავთობის

ექსპორტზე დამოკიდებული. ავტორები ამ ფაქტორს ხსნიან იმით, რომ, ზოგადად, უფრო ადვილია, ვინმეს გამოსძალო ან დაიპყრო ბუნებრივი რესურსები, როგორიცაა მაგალითად, ოქროს საბადოებიდან მოპოვებული ოქრო, ვიდრე ჯანდაცვის სერვისები.

- **განათლება და შემოსავალი.** კვლევამ აჩვენა, რომ, ნაკლები ალბათობაა, ახალგაზრდა მამაკაცებმა (რომლებიც სამოქალაქო ომში მონაწილე მებრძოლთა უმრავლესობას ქმნიან) მონაწილეობა მიიღონ აჯანყებაში, თუ ისინი იღებენ განათლებას ან/და აქვთ კარგი ხელფასი და თუ თვლიან, რომ მსგავს წყობაში ისინი წარმატებას მიაღწევენ.
- **სამხედრო უპირატესობა.** თუ ქვეყნის მოსახლეობა დიდ ფართობზეა გაფანტული და ქვეყანაში ბევრი მთაგორიანი რეგიონია, ეს ზრდის კონფლიქტის დაწყების ალბათობას. ორივე ეს ფაქტორი, ხელს უწყობს აჯანყებულებს, რადგან დიდ ტერიტორიაზე გაფანტული ადამიანების კონტროლი უფრო ძნელია, ვიდრე ერთ ტერიტორიაზე თავმოყრილის; ხოლო მთაგორიანი ადგილები მათ დამალვაში ხელს უწყობს.
- გავრცელებული შეხედულებების საწინააღმდეგოდ, როცა თვლიდნენ, რომ სამოქალაქო ომები **იდენტობასთან დაკავშირებული უთანხმოებების გამო ხდებოდა**, სტატისტიკურად უმნიშვნელო აღმოჩნდა, მათ შორის **ეკონომიკური თანასწორობა, პოლიტიკური უფლებები, ეთნიკური პოლარიზაცია და რელიგიური დანაწევრებულობა.** ერთადერთი, ეთნიკური დომინანტობა-მდგომარეობა, როდესაც პოპულაციის უმეტესობას შეადგენს, ერთი რომელიმე ეთნიკური ჯგუფი-ზრდიდა სამოქალაქო ომის დაწყების ალბათობას. ქვეყანას, რომელიც ეთნიკური დომინანტობით ხასიათდებოდა, ჰქონდა თითქმის ორჯერ მეტი ალბათობა, სამოქალაქო ომის დაწყებისა, ხოლო ისეთ სიტუაციაში, როდესაც, უფრო დიდი იყო ალბათობა, რომ შემთხვევით არჩეული ორი ადამიანიდან, ერთი იქნებოდა განსხვავებული ეთნოსის ან რელიგიის წარმომადგენელი, მით უფრო მცირდებოდა კონფლიქტის დაწყების ალბათობა. ავტორებმა ეს იმით ახსნეს, რომ, თუ უმცირესობაში მყოფი ჯგუფი თვლის, რომ მასზე სხვა დომინირებს, ის ამის შეცვლას ეცდება.
- წინა სამოქალაქო ომიდან, რაც უფრო მეტი დროა გასული მშვიდობიანად, მით უფრო ნაკლები შანსია მისი განმეორებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

- “ჩვენი ეპოქა”, “კვირის პალიტრის” ხუთტომეული - I ტომი ...https://kvirispalitra.ge/article/23624-thbilisis-omi-siskhliani-klounada/
- “კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში” - პედაგოგიური გზამკვლევი (2024 წ) - “ტრაგედიად ქცეული თავისუფლება”- (“CONFLICTS IN THE POST-SOVIET SPACE” -Pedagogical Guide - “The Freedom that Turned into a Tragedy”- Levan Bukia, Tbilisi public school No. 87, Lela Kakashvili, Gori public school No. 9, Gori Ekaterine Maisuradze, Gori public school No. 12; Tbilisi public school No. 133, Gori/ Tbilisi Tamuna Macharashvili, Tbilisi public school No. 77, Tbilisi Giorgi Labadze, American International School Progress, Tbilisi) https://bit.ly/3WvO1OB
- ყანდიაშვილი, კოკა. დოკუმენტური ფილმი „საქართველო – მე-20 საუკუნე” ტელეკომპანია „მაესტრო“ https://files.fm/f/8nufu2aah
- შახ აივაზოვი/ფოტოები ეროვნული ბიბლიოთეკა
- ისტორიკოს გაბრიელ ჩუბინიძის მიერ აღმოჩენილი უცნობი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ფოტოები, https://bit.ly/4acmEwi
- ფოტოგრაფ იური მეჩითოვის ფოტოარქივიდან https://www.ambebi.ge/article/303587-tbilisi-ramdenime-ubnad-danacevrdeba-ikneba-mosa/
- გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 21 სექტემბერი, 1991, N107-108; 5 ოქტომბერი, 1991,N113-114; 12 ოქტომბერი, 1991 წ. N115-116-117; 21 სექტემბერი, 1991, N107-108;
- 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისის ომი დაიწყო https://tabula.ge/ge/news/603931-1991-clis-22-dekembers-tbilisis-omi-daicqo
- თბილისის ომის უცნობი ფოტოები https://bit.ly/4acmEwi
- სამოქალაქო ომი (სამხედრო ბლოგი) https://bit.ly/3WwyrSH
- სამოქალაქო ომი https://bit.ly/4b9yzfv

სამიზნე ცნებები: სივრცე; წყარო/ინტერპრეტაცია

გაეცანით კონტექსტ-მაგალითს და შეასრულეთ პროექტული დავალება

პროექტული დავალების პირობა

ტექნოლოგიების განვითარებამ თანამედროვე სამყაროს, უდავო სიკეთესთან ერთად, რამდენიმე სერიოზული პრობლემაც შემატა. ის, რომ ინტერნეტი მკვეთრად ამარტივებს კომუნიკაციას, აფართოებს ინფორმაციის მოპოვების არეალს, იძლევა გამოხატულების თავისუფლებას და ზრდის ინფორმირებული მოქალაქეების რიცხვს, მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ, ამის პარალელურად, იმატა ყალბი, გადაუმოწმებელი ინფორმაციების გავრცელების პრეცედენტებმა, რაცუარყოფითგავლენასახდენსსაქართველოსსაერთაშორისოსტრუქტურებთან ურთიერთობებზე.

წარმოდგინე, რომ NATO-ს სამეკავშირეო ოფისმა საქართველოში დაგავალა პოდკასტის ჩაწერა, რომელშიც NATO-სა და ევროკავშირის შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული მითები არგუმენტირებულად უნდა უარყო (მაგალითად: საქართველო NATO-ს წევრი ვერ გახდება, სამშვიდობო მისიებში მონაწილეობით საქართველოს თავდაცვის ძალები სხვის ომში იბრძვიან და სხვა), რათა NATO-სა და საქართველოს თანამშრომლობის შესახებ მიაწოდო ინფორმაცია მოქალაქეებს.

პოდკასტის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:

- კონკრეტული იტორიულ-გეოგრაფიული არეალები, რომელსაც მოიცავს NATO-ს წევრი ქვეყნები და რა სამხედრო და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამ არეალებს ალიანსის წევრი ქვეყნებისათვის;
- რა გავლენა მოახდინა/ახდენს გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;
- რა ტიპის ქართული და უცხოური წყაროები არსებობს NATO-სა და საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, არის თუ არა ყველა წყარო ერთნაირად სანდო;
- NATO-სა და საქართველოს თანამშრომლობის შესახებ არსებული წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია რამდენად არის ერთმნიშვნელოვანი, ხდება თუ არა მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია და რატომ იწვევს იგი დისკუსიას საზოგადოებაში.

მეთოდიკური ორიენტირები

საკვანძო კითხვა: რატომ არის მნიშვნელოვანი NATO-სა და საქართველოს თანამშრომლობა?

სარეკომენდაციო აქტივობა I.
მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კონტურულ რუკაზე გადაიტანონ 1949 წლის აპრილში NATO-ს დამფუძნებელი წევრები.

სარეკომენდაციო აქტივობა II.
მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სქემის შევსებას, რომლის საშუალებით მათ უნდა იმსჯელონ NATO-ს შექმნის მიზეზებზე.



სარეკომენდაციო აქტივობა III.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კარიკატურას და სთხოვს, პასუხი გასცენ კითხვებს (წარწერა კარიკატურაზე: გაფრხილება ბირთვული შურისძიებისათვის):

1. რა სიმბოლოებია გამოსახული კარიკატურაზე? თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ისინი?

2.როგორ ფიქრობთ, ვინ არის ამ კარიკატურის სამიზნე აუდიტორია?

3.როგორ ფიქრობთ, რა არის ამ კარიკატურის შექმნის მიზანი? რა იგულისხმება კარიკატურაზე არსებულ წარწერაში?

4.ეთანხმებით თუ რა მხატვრის გზავნილს? თქვენი მოსაზრება გაამყარეთ საკუთარი არგუმენტით.

სარეკომენდაციო აქტივობა IV.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, იმსჯელონ NATO-ს შექმნის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ და საკუთარი პოზიცია წარმოადგინონ წერილობით (მსჯელობისას გამოიყენონ სარეკომენდაციო აქტივობა III).

სარეკომენდაციო აქტივობა V.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გააანალიზონ ამონარიდი ისტორიული წყაროდან: "ნატოს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია" შემდეგი სქემის მიხედვით:



სარეკომენდაციო აქტივობა VI.

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად და სთავაზობს, გამოკითხვა ჩაატარონ სკოლაში, თემში NATO-საქართველოს ურთიერთობების შესახებ.

კითხვები „ინტერვიუსათვის“

1. შესაძლებელია თუ არა საქართველოს NATO-ში გაწევრიანება, სანამ მისი ტერიტორიები ოკუპირებულია?
2. დაუშვებს თუ არა რუსეთი საქართველოს NATO-ში გაწევრიანებას?
3. დაკარგავს თუ არა საქართველო NATO-ში გაწევრიანებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობას?
4. რატომ იბრძვიან ქართველი ჯარისკაცები საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში?
5. NATO-ში გაწევრიანების შემდეგ განთავსდება თუ არა NATO-ს ან მისი რომელიმე წევრი ქვეყნის ჯარი საქართველოში?
6. რა არის ე.წ. მაპი?
7. რატომ NATO და არა ნეიტრალიტეტი?

სარეკომენდაციო აქტივობა VII.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს წყაროს ანალიზის და გამკითხვის შედეგებიდან გამომდინარე კლასში დისკუსიის გამართვას.

სადისკუსიო კითხვა:

- NATO-სა და საქართველოს თანამშრომლობის შესახებ არსებული წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია რამდენად არის ერთმნიშვნელოვანი, ხდება თუ არა მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია და რატომ იწვევს იგი დისკუსიას საზოგადოებაში.

კონტექსტ-მაგალითი (ქეისი)

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ისტორია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ – კონფლიქტები, ეკონომიკური სტაგნაცია, კორუფცია და უმოქმედო სახელმწიფო ინსტიტუტები – იმ პრობლემათა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომლებიც 1990-იანი წლების პოსტსაბჭოთა სივრცისთვის იყო დამახასიათებელი, თუმცა უმთავრეს პრობლემად მაინც უსაფრთხოების საკითხი რჩებოდა, რაც საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ზოგმა კვლავ მოსკოვის ორბიტაზე ამჯობინა დარჩენა, ზოგიერთმა კი დასავლეთის მიმართულებით განაგრძო განვითარება. აღნიშნული რესპუბლიკებიდან დღეისათვის დასავლური სამყაროს ნაწილი მხოლოდ ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი გახდნენ. შესაბამისად, დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა მაგალითი საყურადღებო და იმედისმომცემია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ – კონფლიქტები, ეკონომიკური სტაგნაცია, კორუფცია და უმოქმედო სახელმწიფო ინსტიტუტები – იმ პრობლემათა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რაც 1990-იანი წლების პოსტსაბჭოთა სივრცისთვის იყო დამახასიათებელი, თუმცა უმთავრეს პრობლემად მაინც უსაფრთხოების საკითხი რჩებოდა, რაც საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ზოგმა კვლავ მოსკოვის ორბიტაზე ამჯობინა დარჩენა, ზოგიერთმა კი დასავლეთის მიმართულებით განაგრძო განვითარება. აღნიშნული რესპუბლიკებიდან დღეისათვის დასავლური სამყაროს ნაწილი მხოლოდ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი გახდნენ. შესაბამისად, დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა მაგალითი საყურადღებო და იმედისმომცემია.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველომ დასავლური კურსი აირჩია, გამოთქვა რა სურვილი, ეთანამშრომლა ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, თუმცა ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ტერიტორიულმა კონფლიქტებმა და სამოქალაქო ომმა შეაფერხა საქართველოს დასავლური განვითარება, შედეგად საქართველოს ინტეგრაციის პროცესი ისე სწრაფად ვერ წარიმართა, როგორც ბალტიის ქვეყნების შემთხვევაში. საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიზანია უსაფრთხო, დემოკრატიული და სტაბილური გარემოს შექმნა. აღნიშნულის მისაღწევად დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია განისაზღვრა.

ნატო-საქართველოს ურთიერთობას 1992 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC – North Atlantic Cooperation Council), რომელსაც 1997 წლიდან ეწოდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC – Euro-Atlantic Partnership Council). თანამშრომლობა გაფართოვდა 1994 წელს, ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP – Partnership for Peace) პროგრამასთან მიერთებით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ნატოსა და ინდივიდუალურ პარტნიორ ქვეყანას შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება.

ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში აღსანიშნავია 2002 წელს პრაღაში გამართული ნატოს სამიტი, რომელზეც საქართველოს მეორე პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ პირველად გაახმაურა საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილი.

2004 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP – Individual Partnership Action Plan) ეს გულისხმობდა დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე კონკრეტული ვალდებულებები აიღო. მართალია, აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენდა ალიანსში გაწევრიანების მექანიზმს, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების წარმატების თვალსაზრისით, IPAP-ის ფარგლებში ალიანსთან თანამშრომლობა დიდმნიშვნელობასიძენდა.დოკუმენტიითვალისწინებდარეფორმებისგატარებას მთელ რიგ სფეროებში და მოითხოვდა საქართველოს მთავრობის ერთიან და კოორდინირებულ ძალისხმევას მათი ეფექტიანი განხორციელებისთვის. IP-

AP-ის შესრულების ყოველწლიური შეფასება ნატოს საერთაშორისო სამსახურს ევალებოდა. 2004-2008 წლებში სულ 5 შეფასება მივიღეთ (4 ოფიციალური და 1 არაოფიციალური). ყველა მათგანი პოზიტიური იყო. საქართველოს ნატოს სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2006 წლის 21 სექტემბრიდან ალიანსმა დაიწყო საქართველოსთან თანამშრომლობა გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის (ID – Intensified Dialogue on Membership Issues) ფარგლებში.

ინტენსიური დიალოგი წარმოადგენდა ნატო-საქართველოს ერთობლივი თანამშრომლობის მექანიზმს და მოსამზადებელ ეტაპს, რომელიც დაეხმარებოდა საქართველოს, უკეთ გასცნობოდა ალიანსში გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმებს. ID-ის ფორმატში ნატო-საქართველოს შორის მიმდინარეობდა ინტენსიური კონსულტაციები პოლიტიკურ, უსაფრთხოების, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების, თავდაცვის, სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის, ეკონომიკურ, მეცნიერების, განათლებისა და სხვა საკითხებზე.

მოგვიანებით, 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე (2-4 აპრილს) ნატოს ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. ბუქარესტის სამიტის პოლიტიკური გადაწყვეტილება საქართველოსთან მიმართებაში შეიძლება, შეფასდეს ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ და მნიშვნელოვან გზავნილად ნატოში გაწევრიანების გზაზე მყოფი ქვეყნისთვის.

2008 წლის აგვისტოში საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის შემდეგ მოკავშირეებმა გამოთქვეს მზადყოფნა საქართველოს მთელი რიგი სფეროების რეაბილიტაციაში დასახმარებლად და მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის (NGC – NATO-Georgia Commission) შექმნის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ მექანიზმს ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისა და დახმარების პროცესის ზედამხედველობისთვის. ამავე წლის სექტემბერში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC – North Atlantic Council) საქართველოში ორდღიანი ვიზიტის შედეგად (2008 წლის 15-17 სექტემბერი) ხელი მოეწერა ნატო-საქართველოს კომისიის დამფუძნებელ ჩარჩო დოკუმენტს, ხოლო დეკემბერში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავებას ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ნატოს გაფართოების პოლიტიკის პრაქტიკიდან გამომდინარე, წლიურ ეროვნულ პროგრამას ხორციელდება მხოლოდ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (Membership Action Plan) ჩართული ქვეყნების მიერ, აქედან გამომდინარე, საქართველოს მაგალითი უპრეცედენტოა. წლიური ეროვნული პროგრამის შესრულება ხელს უწყობს ქვეყნის ნატოს სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოებას. ამჟამად საქართველო ასრულებს წლიური ეროვნული პროგრამის XI ციკლს (2020 წლის მდგომარეობით). უნდა აღინიშნოს, რომ ANP-ის ყველა შეფასება, რომელიც ყოველწლიურია და ალიანსი ზედმიწევნით ყურადღებით ახორციელებს, პოზიტიური იყო.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის სექტემბერში გამართული პირველი ვიზიტის შემდგომ, შედგა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს 4 ვიზიტი – 2011, 2013, 2016 და 2019 წლებში, რაც საქართველოს მიმართ ალიანსის ურყევი პოლიტიკური მხარდაჭერის მნიშვნელოვანი დადასტურებაა.

მოგვიანებით, 2011 წლის 7 დეკემბერს ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტერიალი, რომლის შედეგად საქართველო მოხსენიებულ იქნა ასპირანტ ქვეყნად მონტენეგროს, ბოსნია-ჰერცეგოვინას და იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად.

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია 2012 წელს ჩიკაგოს სამიტზე ქართული მხარის მონაწილეობა ყველა შეხვედრაში (გარდა უშუალოდ ნატოს წევრი სახელმწიფოების შეხვედრისა). ჩიკაგოს სამიტის შემდეგ ნატო-საქართველოს ურთიერთობამ ახალ ეტაპზე გადაინაცვლა: მოხდა საქართველოს დაჯგუფება ასპირანტ ქვეყნებთან, ანუ ბალკანეთის იმ ქვეყნებთან, რომლებსაც წევრობის აშკარა პერსპექტივები აქვთ. ამასთანავე, ხაზი გაესვა საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს, ზოგადად, ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

2014 წლის უელსის სამიტზე მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსთან არსებითი პაკეტის შემუშავების შესახებ, რომლის მთავარი მიზანია ნატო-სთან თავსებადობის ამაღლება, თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება და გაწევრიანებისთვის საქართველოს მომზადება. არსებითი პაკეტის იმპლემენტაციაში მონაწილეობდა ნატო-ს ყველა წევრი და ორი პარტნიორი ქვეყანა – შვედეთი, ფინეთი. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის დეკემბერში, ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა საქართველოსთვის განახლებული არსებითი პაკეტი (SNGP) დაამტკიცეს, რომელიც მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი გაძლიერებისთვის.

2015 წლის 27 აგვისტოს კრწანისის ეროვნული საწვრთნელი ცენტრის ტერიტორიაზე გაიხსნა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი (JTEC). JTEC არის ნატო-საქართველოს მორიგი წარმატებული ერთობლივი პროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და საქართველოს თავდაცვითი ძალების ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებას, ასევე რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას. წვრთნისა და შეფასების ცენტრით სარგებლობენ არამარტო საქართველოსა და ალიანსის წევრი ქვეყნები, არამედ ნატო-ს პარტნიორებიც.

არსებითი პაკეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (Defence Institution Building School-DIB), რომელიც 2016 წელს დაფუძნდა. მის მთავარ ამოცანას უსაფრთხოების სექტორში კარგი მმართველობის მხარდაჭერა, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერება და ნატო-ს შესაბამის სტრუქტურებთან, წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარება წარმოადგენს. 2016 წელს ვარშავის სამიტზე მიღებული იქნა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები საქართველოსთვის თავდაცვის სფეროში ნატოს დამატებითი დახმარების გაწევის შესახებ. გაძლიერდა ნატო-საქართელოს არსებითი პაკეტი და მიღებულიქნა ახალი ინიციატივები. სამიტზე გადაწყდა, რომ ნატო აქტიურად დაიწყებს შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერებას, საქართველო იქნება ჩართული ამ პროცესში და მიიღებს მონაწილეობას შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ დიალოგში.

ნატოს 2018 წლის ბრიუსელის სამიტი – არის პირველი შემთხევა, როცა წევრი ქვეყნების სახელმწიფო მეთაურები უმაღლეს დონეზე შეიკრიბნენ კონკრეტულად საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. მიღებულ იქნა ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაცია, რაც ასევე უპრეცედენტო შემთხვევაა, ვინაიდან არის პირველი დეკლარაცია ნატო-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში სახელმწიფო მეთაურთა დონეზე (წარსულში გვქონდა ერთობლივი განცხადებები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე).

სამიტზე საქართველომ მიიღო კონკრეტული და მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგები ალიანსთან შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცებისკენ მიმართული ერთობლივი ქმედებების კუთხით, რაც წარმოადგენს ჩვენი პრაქტიკული თანამშრომლობის ახალ მიმართულებას.

აღსანიშნავია, დასკვნით დოკუმენტში საქართველოს მიმართ ალიანსის მიერ გამოხატული პოლიტიკური მხარდაჭერა ღია კარის პოლიტიკის კონტექსტში, კერძოდ, დადასტურებულია ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა და რომ ასპირანტ საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი, რათა მოემზადოს და დაეხმარონ ალიანსში გასაწევრიანებლად.

მოგვიანებით, 2019 წლის 3-4 ოქტომბერს საქართველოში, ქ. ბათუმში, ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე როუზ გოტმიოლერის ხელმძღვანელობით, რიგით მეხუთე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტი შედგა. ვიზიტის ფარგლებში გამართულ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმადაც მოკავშირეებმა მაღალი შეფასება მისცეს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებს. ვიზიტის ფარგლებში ისინი ბათუმის პორტს ეწვივნენ, სადაც ხომალდები "დიოსკურია" და „ოჩამჩირე" მოინახულეს და ნატოს ოპერაციათა კონცეფციის შესაძლებლობების (OCC) პროცესში ჩართული სანაპირო დაცვის აბორდაჟის ჯგუფებს შეხვდნენ.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის დეკემბერში, ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა საქართველოსთვის განახლებული არსებითი პაკეტი (SNGP) დაამტკიცეს, რომელიც მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი გაძლიერებისთვის.

2022 წლის 28-30 ივნისს, ქ. მადრიდში გამართულ ნატო-ს წევრ სახელმწიფოების მეთაურთა სამიტზე კი დამტკიცდა „საქართველოზე მორგებული დახმარების ღონისძიებათა დოკუმენტი". დოკუმენტი შეიცავს საქართველო თავდაცვითი შესაძლებლობების კიდევ უფრო განვითარების და ამ პროცესში ნატო-ს კიდევ უფრო ქმედითი ჩართულობის კონკრეტულ ღონისძიებებს.

განვლილი წლების მანძილზე საქართველომ დაადასტურა, რომ ალიანსის ქმედითუნარიანი, ღირებული, საიმედო პარტნიორი და ასპირანტი ქვეყანაა. ფართოდაა აღიარებული ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ მიაღწია დემოკრატიული რეფორმების გატარების, თავდაცვითი ძალებისა და თავდაცვის ინსტიტუტების მოდერნიზაციის კუთხით, და ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში შეტანილი წვლილით.

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. ხელმისაწვდომია ელექტრონულ მისამართზე: https://infocenter.gov.ge/nato-georgia/nato-georgia-history/

ნატო-ს სამეკავშირეო ოფისი საქართველოში (NLO)

ნატო-ს სამეკავშირეო ოფისი საქართველოში (NLO) ოფიციალურად 2010 წლის 1 ოქტომბერს გაიხსნა. NLO წარმოადგენს ნატო-ს საქართველოში და ხელს უწყობს პოლიტიკურ/სამხედრო დიალოგს და პრაქტიკულ თანამშრომლობას ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში, რათა მხარი დაუჭიროს საქართველოს ძალისხმევას, გახდეს ალიანსის წევრი. ასევე, მიზნად ისახავს გააძლიეროს სამოქალაქო და სამხედრო თანამშრომლობა ნატოსა და საქართველოს მთავრობას შორის ყოველწლიური ეროვნული გეგმით (ANP) გაწერილი ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნებისთვის.

საქართველოში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ძირითადი ამოცანებია:

- მისცეს რჩევები და დაეხმაროს საქართველოს მთავრობას სამოქალაქო და სამხედრო რეფორმების გატარებაში, რომელიც საჭიროა ნატო-ში ინტეგრაციისთვის.
- მისცეს რჩევები საქართველოს და ნატო-ს ხელმძღვანელობას თანამშრომლობის პროგრამებისა და საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ.
- უზრუნველყოს ურთიერთკავშირი საქართველოს, ნატო-ს, მოკავშირეთა და პარტნიორ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების გაღრმავების მიზნით, ნატო-სა და საქართველოს საერთო მიზნის მისაღწევად, რომ საქართველო გახდეს ნატო-ს სრულუფლებიანი წევრი.
- ნატო-ს და მოკავშირე წევრების ორმხრივი და მრავალმხრივი პროექტების, ღონისძიებებისა და ვიზიტების ხელშეწყობა.

საქართველო საერთაშორისო მისიებში

საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამშვიდობო მისიაში. სამშვიდობო მისიებში მონაწილეობით საქართველოს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ეს საქართველოს ინტერესსაც წარმოადგენს, ვინაიდან საერთაშორისო ტერორიზმი არ ცნობს საზღვრებს და მის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო ძალისხმევაა საჭირო. სამხედრო მოსამსახურეები უნიკალურ სამხედრო გამოცდილებას იძენენ, შედეგად ვითარდება საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები. დაახლოებით 18 000-ზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ უკვე გაირა შესაბამისი მომზადება. ამ გამოცდილებით საქართველოს ჰყავს მაღალ დონეზე მომზადებული და ნატო-ს სტანდარტებთან სრულად თავსებადი ჯარი. ეს კი ქვეყნის განვითარების გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს. ქართველი ჯარისკაცები სამაგალითოდ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და ღირსეულად წარმოადგენენ საქართველოს ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან, რაც საქართველოს სანდო პარტნიორად წარმოაჩენს. სანდო პარტნიორის სტატუსით, საქართველოს საკითხი მუდმივად აქტუალურია საერთაშორისო დონეზე, რაც ხელს უწყობს ნატო-ს მხრიდან საქართველოსადმი მყარი მხარდაჭერის გაგრძელებას. ნატო-ში გაწევრიანებისათვის სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია.

მისია კოსოვოში

საქართველოს თავდაცვის ძალები ნატოს პირველივე სამშვიდობო მისიაში – „კოსოვოს ძალები“ (KFOR), 1999 წლის 31 აგვისტოს ჩაერთო. მისია კოსოვოში საომარი მოქმედებების განახლების აღკვეთას, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და კოსოვოში გაერო-ს დროებითი ადმინისტრაციული მისიის მუშაობის ხელშეწყობას ითვალისწინებდა.

ქართველი სამხედრო მოსამსახურეები KFOR-ს, თავდაპირველად, ქალაქ მამუშაში, თურქული კონტინგენტის შემადგენლობაში, ქვეითი ოცეულით შეუერთდნენ, ხოლო 2003 წლის მაისიდან, მისიას ქალაქ პრიზრენში, გერმანული კონტინგენტის შემადგენლობაში, ქართული გაძლიერებული ასეული დაემატა.

საქართველოს თავდაცვის ძალებმა კოსოვოში მისია, 2008 წელს, უდანაკარგოდ, ოცეულის 17 და ასეულის 11 როტაციით დაასრულა.

მისია ერაყში

2003-2008 წლებში, საქართველოს თავდაცვის ძალები, ერაყში „მრავალეროვნულ ძალებს“ (Multi-National Force – Iraq) შეუერთდა. აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებულ ოპერაციაში, კოალიციას ერაყის მთავრობისთვის ეფექტური თავდაცვის ძალების ფორმირებისა და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა და უზრუნველყოფა დაეკისრა. 2008 წელს ერაყში 2.200 ქართველი სამხედრო მოსამსახურე მსახურობდა, რითაც საქართველო მისიაში სამხედრო მოსამსახურეთა რიცხოვნებით მესამე კონტრიბუტორი ქვეყანა გახდა.

ქართული ქვედანაყოფების ძირითად ამოცანებს სრული სპექტრის ოპერაციები, საკვანძო ობიექტების დაცვა, პატრულირება/ჩხრეკა, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციები, საინჟინრო უსაფრთხოების ოპერაციები, სამხედრო ჰოსპიტალის დახმარება და ესკორტირება წარმოადგენდა.

ერაყში განხორციელებულ საერთაშორისო მისიაში, სხვადასხვა დონეზე ჩატარებული 19 როტაციის ფარგლებში 8.495 ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ქართული ქვედანაყოფები სამშობლოში დაბრუნდნენ, რითაც საქართველოს თავდაცვის ძალების მისია ერაყში დასრულდა.

ერაყში მისიის შესრულებისას, 3 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ხოლო 19 დაიჭრა.

მისია ავღანეთში

საქართველოს თავდაცვის ძალები ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე ნატოს საერთაშორისო მისიაში, „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ (International Security Assistance Force – ISAF) შემადგენლობაში, 2004 წლის აგვისტოში ჩაერთო. ქართული გაძლიერებული ოცეულის ამოცანას ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

მისიის მიმდინარეობისას ეტაპობრივად იცვლებოდა ავღანეთში მყოფ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა და მათი ამოცანები. ქართული ქვედანაყოფები ახორციელებდნენ, ბაზების დაცვას, პატრულირებას, ჩხრეკას, კორდონს, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციებს, ავღანური არმიის საარტილერიო ქვედანაყოფების მომზადებას, სამხედრო ჰოსპიტალის დახმარებას.

2015 წლის პირველი იანვრიდან ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში დაიწყო, ნატო-ს ახალი „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ (Resolute Support Mission – RSM). ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი აგრძელებდა ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების გაძლიერების ხელშეწყობას, რათა ავღანეთს თავად შესძლებოდა საკუთარ ტერიტორიაზე მდგომარეობის სრულად და ეფექტურად გაკონტროლება.

„მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ მონაწილეობის მიზნით, ქართული ქვედანაყოფები ოთხი თვის განმავლობაში, ინტენსიურ გადასროლისწინა მომზადებას გადიოდა, რომელსაც აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ინსტრუქტორთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, ქართული კონტინგენტი ამოცანაზე ორიენტირებულ სწავლებას გერმანიაში, ქ. ჰოჰენფელსში, ერთი თვის განმავლობაში გადიოდა, სადაც ბატალიონის მომზადების დონის შეფასებაც ხორციელდებოდა.

2021 წლის აპრილში „ავღანეთის შესახებ ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს“ (NAC) მინისტერიალზე, „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (RSM) მონაწილე ძალების რეტროგრეიდის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ქართულმა ქვედანაყოფებმა სრულად დატოვა ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა (ივნისი, 2021 წ.).

ოპერაციიდან პირველი გამოვიდა (მაისი, 2021 წ.) მე-3 ქვეითი ბრიგადის ნაკრები ასეული (მაზარ-ი-შარიფში (MES) ასრულებდა სწრაფი რეაგირების ასეულის (QRF) ფუნქციას), შემდგომ ეტაპზე (ივნისი, 2021წ.) კი, მე-3 ბრიგადის 32-ე ბატალიონი (BAF, Baghram) და სპეციალური ოპერაციების ძალების ასეული (RS HQ, Qabul).

ნატოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ავღანეთის ისლამური რესპუბლიკიდან ჯარების გამოყვანის პროცესში საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობდა სტრატეგიულ პარტნიორებთან და მათ სხვადასხვა სახის მნიშვნელოვან ლოჯისტიკურ მხარდაჭერას უწევდა.

საქართველო ავღანეთიდან ნატოს ჯარების გადმოსროლის პროცესში საქართველოსა და ნატოს შორის ტრანზიტის უზრუნველყოფისა და მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის შესახებ მოქმედი ხელშეკრულების თანახმად მონაწილეობდა, რომელიც ნატოს ძალებისთვის, მისი პერსონალისთვის, ნატოს კონტრაქტორებისთვის მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის უზრუნველყოფას ითვალისწინებდა.

2004 წლიდან დღემდე, სხვადასხვა დონეზე ჩატარებული 100-ზე მეტი როტაციის ფარგლებში (ISAF, RSM), ავღანეთში განხორციელებულ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა 30 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო.

საქართველოს თავდაცვის ძალებმა, ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო მისიებში, მძიმე დანაკლისი განიცადა. საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოს თავდაცვის ძალების 32 სამხედრო მოსამსახურე შეეწირა, რამდენიმე ასეული დაიჭრა და დაშავდა.

როტაციების მიმდინარეობის დროს ქართული ქვედანაყოფები გამოირჩეოდა დასმული ამოცანების შეუფერხებლად, კვალიფიციურად და პროფესიონალურად შესრულებით ყველა დონეზე.

მითები და რეალობა ევროინტეგრაციის შესახებ

მიუხედავად საქართველოს დეკლარირებული დასავლური ორიენტაციისა და მრავალი რეფორმისა, რომელიც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის ხორციელდება, ქვეყანაში ამ პროცესისადმი გარკვეული სკეპტიციზმი და უნდობლობა არსებობს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა პრორუსული განწყობების მქონე ადამიანების რაოდენობა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველომ უარი უნდა თქვას ევროპულ მომავალზე. ამ ტენდენციას ბოლო პერიოდში ჩატარებული არაერთი საზოგადოებრივი აზრის კვლევა მოწმობს. მოსახლეობა არ ფლობს საკმაო ინფორმაციას, თუ რა სარგებელი მოაქვს საქართველოსთვის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ამავდროულად იზრდება რუსული „რბილი ძალა“. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ ანტიდასავლური განწყობების შედარებით მომძლავრებას ქვეყანაში. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მოსახლეობას მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდოს ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების დადებითი მხარეების შესახებ, ასევე რა სარეგბლობას გვაძლევს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთნხმება, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია ძალაშია.

შესაძლებელია თუ არა საქართველოს NATO-ში გაწევრიანება, სანამ მისი ტერიტორიები ოკუპირებულია?

ნატოს არცერთ სამართლებრივ დოკუმენტში არ არის მითითებული, რომ ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიები ხელს შეუშლის ნატოში გაწევრებას. ერთადერთი სავალდებულო დოკუმენტი, სადაც ნატოში გაწევრების აუცილებელ კრიტერიუმებზეა საუბარი, ალიანსის დამფუძნებელი წესდების ე. წ. ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლია. ამ მუხლის მიხედვით, ნატოს წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მოიწვიონ ალიანსში ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და წვლილი შეიტანოს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში. ამ კრიტერიუმებით, საქართველოს შეუძლია გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ამჟამად ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ ნატოს ისტორიის მანძილზე, ალიანსში ქვეყნის გაწევრება მეზობელთან საზღვრების დაუდგენლობის შემთხვევაში მაინც მომხდარა. 2004 წელს, ნატოში გაწევრებისას ბალტიის ქვეყნებს საზღვრების დემარკაციის საკითხები არ ჰქონდათ მოგვარებული რუსეთთან, ამ უკანასკნელის მხრიდან პროცესის გაჭიანურების გამო. მიუხედავად ამისა, ნატომ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ბალტიის ქვეყნები ნატოში მიეწვიათ არსებული მდგომარეობით და შემდგომ, მოლაპარაკებების გზით, მოეგვარებინათ არსებული ტერიტორიული საკითხები რუსეთთან. ლატვიამ, გაწევრიანებიდან მალევე, 2007 წელს გააფორმა ხელშეკრულება რუსეთთან საზღვრის დადგენის შესახებ, ესტონეთმა კი ჯერ 2005 წელს, შემდგომ კი 2014 წელს მოაწერა ხელი სასაზღვრო შეთანხმებას, თუმცა ხელშეკრულება ჯერჯერობით ძალაში არ შესულა.

დაუშვებს თუ არა რუსეთი საქართველოს NATO-ში გაწევრიანებას?

საქართველოს ნატოში გაწევრებას ნატოს არაწევრი ქვეყანა, რუსეთის სახით, ხელს ვერ შეუშლის. ნატოში გაწევრება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის დამოუკიდებელი არჩევანია. ნებისმიერ სუვერენულ ქვეყანას აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საგარეო ორიენტაციის განსაზღვრის უფლება. ნატოში ქვეყნის გაწევრების გადაწყვეტილებას, ალიანსის წევრი სახელმწიფოები კონსესუსის საფუძველზე იღებენ.

დაკარგავს თუ არა საართველო NATO-ში გაწევრიანებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობას?

ნატო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ალიანსის პოზიციით, ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ნატო მუდმივად მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს გადაწყვეტილება საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოდან.

საქართველოს ნატოში გაწევრებით უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო და სტაბილური გარემო, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებასა და ქვეყნის სტაბილურ ეკონომიკურ აღმავლობას. აღნიშნული პროგრესი დაეხმარება საქართვე-ლოს, გახდეს მიმზიდველი ქვეყანა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოქალა-ქეებისათვის.

რატომ იბრძვიან ქართველი ჯარისკაცები საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში?

სამშვიდობო მისიებში მონაწილეობით საქართველოს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

სამხედრო მოსამსახურეები უნიკალურ სამხედრო გამოცდილებას იძენენ, შედეგად კი ვითარდება საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები. ამ გამოცდილებით საქართველოს ჰყავს მაღალ დონეზე მომზადებული და ნატოს სტანდარტებთან სრულად თავსებადი ჯარი. ეს კი, ქვეყნის განვითარების გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს.

ქართველი ჯარისკაცები სამაგალითოდ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და ღირსეულად წარმოადგენენ საქართველოს ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან, რაც საქართველოს სანდო პარტნიორად წარმოაჩენს.

სანდო პარტნიორის სტატუსით საქართველოს საკითხი მუდმივად აქტუალურია საერთაშორისო დონეზე, რაც ხელს უწყობს ნატოს მხრიდან საქართველოსადმი მყარი მხარდაჭერის გაგრძელებას. ნატოში გაწევრებისათვის სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია.

NATO-ში გაწევრიანების შემდეგ განთავსდება თუ არა NATO-ს ან მისი რომელიმე წევრი ქვეყნის ჯარი საქართველოში?

ნატო თანასწორობისა და დემოკრატიულობის პრინციპით იმართება, სადაც გადაწყვეტილება კონსესუსის საფუძველზე მიიღება. ალიანსში გაწევრების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების დროს, საქართველოს, როგორც ნატოს წევრ ქვეყანას, ექნება თანაბარი ერთი ხმა.

გაწევრების შემდეგ ქვეყანა თავად განსაზღვრავს, თუ როგორი სახის თანამშრომლობა სურს ნატოსთან, ამ თანამშრომლობის მიზანი კი მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოების გამყარება იქნება. ნატოს სამხედრო ბაზის განთავსება წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ავტომატურად არ ხდება და ეს გადაწყვეტილება დამოკიდებულია თავად წევრი ქვეყნის სურვილზე.

მაგალითად, ალიანსი ახორციელებს საჰაერო სივრცის მუდმივ პატრულირებასა და დაცვას იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც არ აქვთ საჰაერო თავდაცვის სისტემა. კერძოდ, 2004 წლიდან, ნატოს თვითმფრინავები იცავენ ალბანეთის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიისა და სლოვენიის ტერიტორიას წელიწადში 365 დღე, კვირაში შვიდი დღე, 24 საათის განმავლობაში. ეს გადაწყვეტილება კი ნატომ ამ ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე მიიღო.

რა არის ე.წ. მაპი?

ე.წ. "მაპი" 1999 წლის ვაშინგტონის სამიტზე შემუშავებული გაწევრიანების სამოქმედო გეგმაა (Membership Action Plan – MAP), რომელიც ალიანსში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს შესაძლო წევრობისათვის მომზადებაში ეხმარება. "მაპი" წარმოადგენს დროში გაწერილი რეფორმების გეგმას, რომელთა შესრულების შემთხვევაში და ნატოს წევრი ქვეყნების პოლიტიკური გადაწყვეტილებით ქვეყანა გახდება ნატოს წევრი.

რატომ NATO და არა ნეიტრალიტეტი?

ნეიტრალიტეტის გამოცხადება საერთაშორისოდ აღიარებულ შეთანხმებას უნდა ეფუძნებოდეს. კერძოდ, ნეიტრალური სახელმწიფო იქმნება მაშინ, როცა ძლიერი სახელმწიფოები აღიარებენ ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტსა და ამავდროულად, წარმოადგენენ ამ სტატუსის გარანტორებს. შვეიცარიამ, ავსტრიამ და თურქმენეთმა მუდმივი ნეიტრალიტეტი საერთაშორისო შეთანხმებებით მიიღეს. რაც შეეხება გარანტიებს, საქართველოს შემთხვევაში, სულ მცირე, ერთ-ერთი მეზობელი – რუსეთი ვერ გახდება ნეიტრალიტეტის გარანტორი, ვინაიდან თავად რუსეთს აქვს ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები.

ნეიტრალიტეტის შენარჩუნება საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მხოლოდ ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანას შეუძლია დამოუკიდებლად თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ნეიტრალიტეტი გულისხმობს მთელ რიგ ვალდებულებებსაც: ქვეყანა არ უნდა მონაწილეობდეს არცერთ სამხედრო კონფლიქტში; ასევე დაუშვებელია მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ჯარის გატარება და მით უმეტეს, სამხედრო ბაზების არსებობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის თემით მანიპულაცია ახალი არ არის. 1920 წელს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნო და სანაცვლოდ, საქართველო ნეიტრალიტეტზე დაითანხმა. ამ გზით, საქართველომ მოკავშირეების შეძენის თეორიულ შანსზეც კი უარი თქვა და ამის წყალობით, 1921 წელს იგი იოლად დაიპყრო რუსეთმა, დაარღვია რა, ერთი წლით ადრე საქართველოსთან გაფორმებული შეთანხმება.

თანამედროვე ისტორიაშიც არსებობს მაგალითი იმისა, თუ როგორ უგულებელყო რუსეთმა ქვეყნის ნეიტრალიტეტი. 1994 წელს მოლდოვის რესპუბლიკამ ნეიტრალიტეტი კონსტიტუციით გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, მოლდოვის რესპუბლიკას დნესტრისპირეთის რეგიონში გაყინული კონფლიქტის პრობლემა აქვს, სადაც სწორედ რუსეთის სამხედრო ბაზებია განთავსებული.

რაც შეეხება ნატოს, ალიანსთან თანამშრომლობით საქართველოს თავდაცვითი შესაძლებ-ლობები და დემოკრატიული ინსტიტუტები ვითარდება, რაც ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში გვეხმარება. საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიზანია უსაფრთხო და სტაბილური ქვეყნის შექმნა. ნატოს წევრობა კი ამ მიზნის მიღწევის საშუალებაა.

წასაკითხი მასალა (რიდერი)

რამ განაპირობა ნატო-ს დაარსება

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იდეოლოგიურმა ბარიერმა ევროპა ორად გაყო. ომით დანგრეულ ევროპას 1948 წლიდან მოყოლებული, ამერიკელებმა უზარმაზარი ფინანსური და პოლიტიკური დახმარება გაუწიეს. მიზანი მარტივი და ნათელი იყო – ხელახლა გაძლიერებულ ევროპაში კომუნიზმს ვერ მოეკიდებინა ფეხი.

1948 წლის 17 მარტს საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ჰოლანდიამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმა ხელი მოაწერეს „ბრიუსელის პაქტს“. კავშირი მიზნად ისახავდა ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობასა და თავდაცვის საერთო სისტემის შექმნას, რომელიც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ექსპანსიას აღუდგებოდა წინ. ფაქტობრივად, „ბრიუსელის პაქტის“ დოკუმენტი, დასავლეთ ევროპის საერთო უსაფრთხოების სისტემის შექმნისა და ნატო-ს დაარსების საფუძველი გახდა.

ნატო-ს შექმნაზე საუბარი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მიმოხილვით უნდა დავიწყოთ. 1945 წელს ევროპის ორ ნაწილად დაყოფამ თითქმის ნახევარი საუკუნით განსაზღვრა ამ კონტინენტის, ევროატლანტიკური არეალისა და მილიონობით ადამიანის ბედი. მეორე მსოფლიო ომის დროს სამი მოკავშირის-აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს გამარჯვებამ შექმნა მოლოდინი, რომ ევროპის კონტინენტზე ჰარმონიული თანაცხოვრება და სტაბილური განვითარება იქნებოდა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ილუზია იყო. დასავლეთ ევროპელი ლიდერები და მათი მოკავშირეები რეალისტურად აფასებდნენ საბჭოთა კავშირის ექსპანსიური პოლიტიკიდან მომდინარე საფრთხეებს. ცხადი იყო, რომ გამარჯვებულმა საბჭოთა კავშირმა

ევროპაში ფაშისტური დიქტატურის ჩანაცვლება არანაკლებ საფრთხის შემცველი კომუნისტური დიქტატურით განიზრახა. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეასრულეს ომის შემდგომ ნაკისრი ვალდებულებები სამხედრო ძალების შემცირებასა და სამხედრო მოსამსახურეების დემობილიზაციასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირი არ ჩქარობდა ამ ვალდებულებების შესრულებას და ევროპის კონტინენტზე სამხედრო ძალების სრულ შემადგენლობას ინარჩუნებდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში უსაფრთხოების განსაკუთრებული გარემოებები ჩამოყალიბდა. საბჭოთა კავშირს მომგებიანი პოზიცია ეკავა და ცდილობდა შექმნილი სტრატეგიული უპირატესობით მანიპულირებას. საბჭოთა კავშირის არმია უკუქცეული მტრის დევნისას ღრმად შეიჭრა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე. მოახდინა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ასევე ავსტრიისა და გერმანიის ტერიტორიების ოკუპაცია და დაიკავა სტრატეგიული პოზიციები. ოკუპირებულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირი მოსკოვისადმი ლოიალურ და კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევარ რეჟიმებს ახალისებდა. ასევე ნათელი იყო, რომ საბჭოთა კავშირის ზრახვები აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებით არ შემოიფარგლებოდა. საბჭოთა კავშირის ლიდერს, სტალინს კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება და მისი გავლენის სფეროს გაფართოება სურდა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, კერძოდ საფრანგეთში, იტალიასა და საბერძნეთში, სადაც კომუნისტური იდეოლოგიისადმი სიმპათიით განწყობილი პოლიტიკური ძალების მომძლავრების ტენდენცია თვალშისაცემი იყო. მოსალოდნელ საფრთხეზე 1946 წლის 5 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ფულტონში უინსტონ ჩერჩილმა (რომელიც დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერის რანგში წარდგა) გაამახვილა ყურადღება და პირველად გამოიყენა ტერმინი „რკინის ფარდა“.

XX საუკუნის ორმოციანი წლების მიწურულს ევროპის კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნებისა და აღმშენებლობის გზაზე მნიშვნელოვანია, ჯეროვნად შეფასდეს ამერიკის შეერთებული შტატების დროული და თამამი პოზიცია, რომელიც, ე.წ. შეკავების დოქტრინის სახელითაა ცნობილი. პრეზიდენტ ტრუმენის დოქტრინა, რომლის მთავარი არსი ორ იდეოლოგიას შორის კრიტიკულ შეუთანხმებლობასა და მიუღებლობაში მდგომარეობდა, ევროპის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებდა. შეკავების დოქტრინის ავტორი ამერიკელი დიპლომატი ჯორჯ ფ. კენანი გახლდათ, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიული ექსპანსიის შეჩერებას ძალისმიერი პოლიტიკითა და დასავლეთის უხვი ეკონომიკური დახმარებით. ეს დოქტრინა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჯორჯ მარშალმა განახორციელა, მისი გეგმა “მარშალის გეგმის” სახელითაა ცნობილი. 1948 წლის 2 აპრილს აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი “ევროპის აღორძინების” შესახებ, რომლის მთავარი ამოცანა ეკონომიკურ დონეზე კომუნიზმის შეკავება გახლდათ. „მარშალის გეგმის“ შედეგად თექვსმეტმა ევროპულმა სახელმწიფომ აშშ-სგან 13 მლრ. დოლარის დახმარება მიიღო.

მარშალის გეგმა

1947 წლის ივნისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჯორჯ მარშალმა, ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას აუდიტორიას გააცნო გეგმა, რომელსაც შემდგომში მარშალის გეგმა ეწოდა. მარშალმა აღწერა ის უკიდურესი გაჭირვება და უიმედობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომგამოვლილ ევროპაში

სუფევდა. ამის შემდეგ მან შეახსენა ამერიკელებს, რა გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ევროპის სამუდამო განადგურებას მათსავე ეკონომიკაზე. გეგმა არც ერთი იდეოლოგიისა თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ არ იყო მიმართული. მიუხედავად ამისა, სტალინის მითითებით, ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა უარი თქვეს აშშ-ის დახმარების მიღებაზე. მარშალის გეგმა ითვალისწინებდა ამერიკელთა დახმარებას ევროპის რეკონსტრუქციისა და ეკონომიკური აღორძინების პროცესში. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარების გასანაწილებლად შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი. ეს გეგმა მოგვიანებით ევროპის აღორძინების პროგრამად გადაიქცა. აშშ-ის მოთხოვნით, აღნიშნული დახმარების შესაბამის პრიორიტეტებზე განაწილება ევროპელებს უნდა ეკისრათ. ამ მიზნით, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციად გადაკეთდა. პროგრამა 1952 წლამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ევროპის რეკონსტრუქციისა და ეკონომიკური აღორძინებისათვის გაწეულმა დახმარებამ 13 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. მარშალის გეგმით, პრეზიდენტ ტრუმენის მიერ გამოცხადებული დოქტრინითა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნით შეერთებული შტატები აქტიურად ჩაერთო დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებში.

მდგომარეობა განსაკუთრებით 1947-1949 წლებში დაიძაბა. უნდა გამოიყოს სახელმწიფო გადატრიალება ჩეხოსლოვაკიაში და ბერლინის ბლოკადა, რომელიც 1947 წელს დაიწყო. ცხადი გახდა, რომ დასუსტებული ევროპის ქვეყნები დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ თავის დაცვას და გაეროს წესდება და სხვა არსებული საერთაშორისო მექანიზმები ევროპის დემოკრატიული და თავისუფალი განვითარების გარანტი ვერ იქნებოდა. 1948 წლის მარტში დასავლეთ ევროპის ხუთმა სახელმწიფომ – ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს „ბრიუსელის პაქტს“. ეს კავშირი მიზნად ისახავდა ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობას და თავდაცვის საერთო სისტემის შექმნას, რომელიც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ექსპანსიას წინ აღუდგებოდა. „ბრიუსელის პაქტი“ დასავლეთ ევროპის საერთო უსაფრთხოების სისტემის შექმნის წინაპირობად იქცა და სწორედ ის გახდა ნატო-ს დაარსების საფუძველი. „ბრიუსელის პაქტის“ ქვეყნები ერთიან თავდაცვით სისტემაში ჩართვის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადასთან, ასევე დანიასთან, ისლანდიასთან, იტალიასთან, ნორვეგიასა და პორტუგალიასთან. მოლაპარაკებები 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონის ხელშეკრულების (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება) ხელმოწერით დასრულდა. შეიქმნა უსაფრთხოების ერთიანი სისტემა, რომელიც ალიანსში შემავალი თორმეტივე წევრი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობასა და საერთო ფასეულობებს ეფუძნებოდა. ჩრდილო ამერიკის ჩართვა დასავლეთ ევროპის დასაცავად მოწმობდა იმას, რომ დასავლეთ ევროპაზე პოლიტიკური თუ სამხედრო ზეწოლის ნებისმიერი მცდელობა წარუმატებელი იქნებოდა. ნატოს თავდაცვის ქოლგის ქვეშ დასავლეთ ევროპამ და ჩრდილო ამერიკამ მალე მიაღწიეს სტაბილურობის უპრეცედენტოდ მაღალ დონეს და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარებისათვის მყარი საფუძველი შექმნეს. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, ანუ ვაშინგტონის ხელშეკრულება ნატოს ფუძემდებლური დოკუმენტი 1949 წლის 4 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების

დედაქალაქში, ვაშინგტონში გაფორმდა. ამიტომ უწოდებენ მას ვაშინგტონის ხელშეკრულებას. ხელშეკრულება 14 პუნქტისაგან შედგება, თუმცა მეხუთე პუნქტი ხელშეკრულების ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომლის თანახმადაც თავდასხმა ერთ წევრ სახელმწიფოზე განიხილება თავდასხმად მთლიანად ალიანსზე.

მოგვიანებით, 1952 წელს, ამ ხელშეკრულებას თურქეთი და საბერძნეთი შეურთდა. 1955 წელს, ვაშინგტონის ხელშეკრულებას გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მოაწერა ხელი, ხოლო 1982 წელს ესპანეთმა. 1990 წელს, გერმანიის გაერთიანების შედეგად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც გერმანიის განუყოფელი ნაწილი, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შეუერთდა. 1999 წელს უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა ნატოს წევრები გახდნენ. 2004 წელს ნატოში გაწევრიანდა ევროპის შვიდი ქვეყანა: ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ესტონეთი. ალბანეთი და ხორვატია, რომლებიც ნატოში 2008 წლის აპრილში ჩატარებულ ბუქარესტის სამიტზე მიიწვიეს, ოფიციალურად ალიანსის წევრები 2009 წლის 1 აპრილს გახდნენ. 2017 წელს მონტენეგრო ალიანსის 29-ე წევრი ოფიციალურად გახდა. 2020 წელს კი ჩრდილოეთ მაკედონია ალიანსის 30-ე წევრი გახდა მას შემდეგ, რაც ათენსა და სკოპიეს შორის ისტორიული შეთანხმება მოხდა და სახელწოდებასთან დაკავშირებული დავა მოგვარდა.

ის, რომ ნატოს ღია კარის პოლიტიკა და გაფართოების პროცესი კვლავაც გრძელდება, დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ 2022 წელს ნატო-ს უახლოესი პარტნიორები ფინეთი და შვედეთი ალიანსში გასაწევრიანებლად მიიწვიეს. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია შეიქმნა წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა ამ ქვეყნების თავისუფალ არჩევანს, გაწევრიანების საკითხის საჯარო განხილვასა და შესაბამის საპარლამენტო პროცედურებს. ვაშინგტონის ხელშეკრულების თანახმად, ალიანსის წევრები იღებენ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას, ერთობლივად გაიზიარონ კოლექტიური უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები. ფინეთი ალიანსის წევრი გახდა 2023 წელს. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი ისტორიის განმავლობაში არაერთი ცვლილება განიცადა, რათა ახალი გამოწვევების წინაშე სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო და დღესაც ალიანსი ერთიანი ძალისხმევით ცდილობს კონფლიქტების თავიდან აცილებას და მშვიდობის უზრუნველყოფას. ნატო არის თანამედროვე ისტორიის მანძილზე ყველაზე ქმედითუნარიანი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც ძალუძს ეფექტიანად დაიცვას ალიანსის წევრი ქვეყნების – ლიბერალური დემოკრატიების – საზღვრები და ამ ქვეყნების დემოკრატიული ღირებულებები. აღსანიშნავია, რომ ნატომ არსებობის 70 წლის მანძილზე უზრუნველყო მისი თავდაცვის ქოლგის ქვეშ დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სტაბილურობის უპრეცედენტოდ მაღალი დონე.

ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს სტრატეგიული არჩევანია და ამდენად, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს. ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზის არჩევა კი ნიშნავს იმას, რომ საქართველო თავისი მშვიდობიანი, სტაბილური განვითარების გარანტიებს უსაფრთხოების ევროატლანტიკურ სისტემაში ხედავს, რომლის ცენტრალური სტრუქტურაც არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო).

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ, თუ როგორ შეიქმნა ნატო და მის ირგვლივ ჩამოყალიბებული უსაფრთხოების სისტემა იმ სახით, როგორიც დღეს აქვს, როგორ შეიცვალა ალიანსის სტრუქტურა და სტრატეგიული ხედვა, ასევე, შესაბამისად, მისი ფუნქცია დაარსებიდან დღემდე.

როდის და როგორ შეიქმნა ნატო?

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ევროპაში საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი პოლიტიკური სურათი შეიქმნა. ფაშიზმისაგან განთავისუფლებული ევროპა ანტიჰიტლერული კოალიციის ოთხი წევრი ქვეყნის ოკუპაციის ზონად განაწილდა. მოკავშირეებს ამ ზონებში ცხოვრების მშვიდობიან რელსებზე გადაყვანა და ამ მიზნით იქ ხალხის ნებით ხელისუფლების ჩამოყალიბება უნდა უზრუნველეყოთ.

სულ მალე ნათელი გახდა, რომ ერთი მათგანი – საბჭოთა კავშირი – სულაც არ აპირებდა ამ შეთანხმების ზუსტად დაცვას. მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ძალაუფლება, იქ განლაგებული საბჭოთა არმიის, უშიშროების სამსახურებისა და ადგილობრივი იდეოლოგიური მოკავში-

რეების ძალისხმევით, მარიონეტული მმართველების ხელში აღმოჩნდა. რეალურად ამ ქვეყნებში ფაშისტური დიქტატურა კომუნისტური დიქტატურით შეიცვალა.

1946 წლის 5 მარტს ფულტონში (აშშ) წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში უინსტონ ჩერჩილმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ ევროპაში, ბალტიის ზღვიდან ადრიატიკამდე, „რკინის ფარდა“ დაეშვა და მის მიღმა ყოვლისმომცველი საბჭოთა კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უძველესი ქვეყნების დედაქალაქები. ეს ცივი ომის დასაწყისი იყო.

სულ მალე მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. 1948 წლის აპრილში სტალინის რეჟიმმა დასავლეთ ბერლინის ბლოკადა დაიწყო. ქალაქის მოსახლეობა შიმშილისა და სიცივის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მოკავშირეებს უპრეცედენტო ნაბიჯის გადადგმა მოუხდათ – ქალაქის

უინსტონ ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში, 1946 წ

„საჰაერო ხიდის“ მოლოდინისას, ბერლინი, 1948

მომარაგება „საჰაერო ხიდის“ მეშვეობით. ეს ურთულესი ოპერაცია იყო, მაგრამ აშშ-მ, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა შეძლეს გამკლავებოდნენ ამ გამოწვევას. დასავლეთ ბერლინს საკვებს, საწვავს და მედიკამენტებს თითქმის მთელი წლის განმავლობაში თვითმფრინავების მეშვეობით აწვდიდნენ. 1949 წლის მაისში საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა უკან დაეხია და ქალაქის ბლოკადა მოეხსნა, მაგრამ ამ ფაქტმა ყველას დაანახა, თუ რა ძალასთან ჰქონდა საქმე ევროპას.

1948 წლის ივნისში მოსკოვმა ჩეხოსლოვაკიაში სამხედრო გადატრიალება მოახდინა და იქ აღმოსავლეთ ევროპაში ერთადერთი, თავისუფალი არჩევნების გზით შექმნილი მთავრობა დაამხო. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს უკანასკნელი წვეთი იყო, რამაც მოთმინების ფიალა აავსო. თავისუფალი სამყაროსათვის ნათელი გახდა, რომ ძალების შეკავშირების გარეშე საბჭოთა აგრესიულ პოლიტიკას წინ ვერ აღუდგებოდნენ.

1949 წლის 4 აპრილს ევროპის ათმა და ჩრდილოეთ ამერიკის ორმა სახელმწიფომ ვაშინგტონში ხელშეკრულების ხელმოწერით საფუძველი ჩაუყარა „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას“ (ნატოს), რათა ერთობლივი ძალისხმევით დაეცვათ საერთო ღირებულებები, საბჭოთა აგრესიისაგან დაეცვათ მშვიდობა და უსაფრთხოება ევროპაში.

ნატოს დამფუძნებელი ქვეყნებია: ბელგია, კანადა, დანია, საფრანგეთი, ისლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, გაერთიანებული სამეფო და აშშ.

როგორ მეიქმნა ნატო

ნატოს დაფუძნება, ვაშინგტონი, 1949

სუეცის არხი, 1956

ნატოს შტაბ-ბინა პარიზში განთავსდა.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის საქმიანობა თავიდანვე შემდეგ პრინციპებს ეფუძნებოდა:

- ნატო იცავს წევრი სახელმწიფოების თავისუფლებასა და უსაფრთხოებას პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით, გაეროს წესდების შესაბამისად.
- ნატო დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობის ღირებულებებით გაერთიანებული სახელმწიფოების ალიანსია და შექმნილია ამ ღირებულებათა დასაცავად.
- ნატო მოქმედებს კოლექტიური თავდაცვის პრინციპით, რომლის მიხედვითაც შეიარაღებული თავდასხმა ალიანსის ერთ-ერთ წევრზე განიხილება თავდასხმად ყველა მოკავშირეზე. ეს ფუძემდებლური პრინციპი ასახულია ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლში.
- ნატო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაა, რომლის შიგნით წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. ალიანსი ყველა გადაწყვეტილებას კონსენსუსის საფუძველზე იღებს.
- ალიანსის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი პირობა ტრანსატლანტიკური კავშირია, რაც ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უსაფრთხოების ერთიანობას ნიშნავს.

ნატოს შტაბ-ბინა, პარიზი

- ალიანსი არ არის დახურული კლუბი. იგი ღიაა ახალი წევრებისათვის, თუ ისინი იზიარებენ ალიანსის ფუძემდებლურ ღირებულებებს და მზად არიან თავისი წვლილის შესატანად ალიანსის უსაფრთხოებაში. ამგვარ პოლიტიკას ნატოს „ღია კარის პოლიტიკა“ ეწოდება და იგი ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლშია ასახული.

ნატო იცვლება – ნატოს სტრატეგიული ხედვის განვითარება

ნატო თავისი არსებობის მანძილზე არასოდეს ყოფილა ხისტი. იგი, როგორც სტრუქტურით, ისე თავისი ამოცანის სტრატეგიული ხედვით, ყოველთვის მოქნილად პასუხობდა არსებულ გამოწვევებს. ყველა ეს ცვლილება აისახება ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში, რომელიც ალიანსის უსაფრთხოების გარემოს სტრა-

ნატოს გენერალური მდივნის მანფრედ ვორნერისა და სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა, მოსკოვი, 1990

ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს დამფუძნებელი სხდომა, ქ. სინტრა, პორტუგალია, 1997 (EAPC)

ტეგიულ ხედვასა და მის წინაშე მდგარ ამოცანებს ასახავს.

ნატოს მიღებული აქვს სულ შვიდი ასეთი დოკუმენტი (მათ შორის ოთხი – ცივი ომის პერიოდში), სადაც უსაფრთხოების ცვალებად გარემოზე ალიანსის რეაგირება ადეკვატური შეფასებებითა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების სახითაა მოცემული. ზოგი მათგანი საკმაოდ რადიკალურიც იყო.

პირველი ამგვარი გადაწყვეტილება ალიანსმა თავისი საქმიანობის დაწყებისთანავე მიიღო. ნატოს სამხედრო სტრუქტურას დაარსებიდან კლასიკური სამხედრო კოალიციის სახე ჰქონდა. კორეის ომმა ნათლად აჩვენა ალიანსის სამხედრო მანქანის მჭიდრო ინტეგრაციის აუცილებლობა და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც სასწრაფოდ მიიღეს:

- 1950 წლის სექტემბერში შეიქმნა ნატოს გაერთიანებული სამხედრო ძალები ცენტრალიზებული სარდლობით.
- იმავე წლის დეკემბერში ამერიკელი გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი დაინიშნა ევროპაში გაერთიანებული სამოკავშირეო ძალების მთავარსარდლად (ინგლ. **SACEUR** – Supreme Allied Commander Europe).
- 1951 წლის აპრილში მუშაობას შეუდგა ნატოს უმაღლესი მთავარსარდლობა (ინგლ. **SHAPE** – Supreme Headquarters Allied Powers Europe).



დუაიტ დეივიდ ეიზენჰაუერი
(1890-1969)

ამერიკელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, აშშ-ის არმიის ხუთვარსკვლავიანი გენერალი, აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი 1953-1961 წლებში.

ნატოს უმაღლესი მთავარსარდლობა თავიდან პარიზის გარეუბანში მდებარეობდა. 1967 წელს კი ბელგიაში გადავიდა, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა მიიღო გადაწყვეტილება საფრანგეთი ნატოს გაერთიანებული სარდლობიდან გამოეყვანა.

ამ გადაწყვეტილებებმა ნატოში ერთგვარ ტრადიციასაც ჩაუყარა საფუძველი. დღემდე ნატოს გაერთიანებულ სარდლობას ტრადიციულად ამერიკელი გენერალი, როგორც წესი, ევროპული სარდლობის მეთაური ხელმძღვანელობს. ნატოს მეორე მთავარსარდლობა ტრანსფორმაციის დარგში განლაგებულია აშშ-ში, ნორფოლკში (ვირჯინია). ნატოს გენერალური მდივანი კი ევროპელი მაღალი რანგის დიპლომატი ხდება.

ნატომ ასევე ოპერატიულად მოახდინა რეაგირება სუეცის კრიზისზე, რამაც დღის წესრიგში ალიანსის შიგნით პოლიტიკური კონსულტაციების აუცილებლობა დააყენა. ამას ალიანსში პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო, ტექნიკურ და საინფორმაციო სფეროებში თანამშრომლობის პრაქტიკის დანერგვა და შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებები მოჰყვა.

ცივი ომის პირობებში ალიანსს არაერთი კრიზისი ჰქონია და მისი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშაც დამდგარა. ერთი ასეთი მომენტი იყო 60-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა დაძაბულობამ საერთაშორისო ასპარეზზე, ბერლინის, კარიბის, ვიეტნამის კრიზისებმა, ალიანსის გაერთიანებული სარდლობიდან საფრანგეთის გასვლამ და გამანადგურებელი შეიარაღების პოტენციალის ზრდამ ალიანსში გაურკვევლობის განცდა გააჩინა. მაგრამ ნატომ აქაც კეთილგონივრული არჩევანი გააკეთა: მან მხარი დაუჭირა დაძაბულობის განმუხტვის, ე.წ. „დეტანტის“, და ამ მიზნით პოლიტიკური დიალოგის სტრატეგიასა და აღმოსავლეთის ბლოკის შეკავების გაგრძელებას. ეს მიდგომა აისახა ალიანსის შესაბამის დოკუმენტებში.

ამგვარად, ნატო, მსოფლიოში უსაფრთხოების პირობების ცვლილების პასუხად, ახალი ფუნქციებითა და ინსტრუმენტებით აღიჭურვა. შესაბამისად იცვლებოდა მისი სტრატეგიული ხედვაც.

ნატო ფართოვდება

არც ნატოს „ღია კარის პოლიტიკა“ ყოფილა მხოლოდ ფორმალური განაცხადი. როდესაც 1952 წელს თურქეთსა და საბერძნეთს საბჭოთა ექსპანსიის საფრთხე დაემუქრა, ალიანსმა უყოყმანოდ გადაწყვიტა მათი წევრებად მიღება. ეს იყო ნატოს გაფართოების პირველი ნაბიჯი.

ცივი ომის პერიოდში ნატომ კიდევ ორი დასავლეთევროპული სახელმწიფო მიიღო წევრად – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 1955 წელს და ესპანეთი 1982 წელს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს გადაწყვეტილება ცხარე დებატების შედეგად მიიღეს. არაერთი სკეპტიკოსი მიიჩნევდა, რომ ალიანსის წევრობის ეს კანდიდატები სრულად ვერ პასუხობდნენ დემოკრატიული განვითარების ნატოში მიღებულ მაღალ სტანდარტებს. მაგრამ, როგორც დრომ აჩვენა, ალიანსის ეს ნაბიჯი სავსებით მართებული იყო. საქმე ეხებოდა ამ ევროპული სახელმწიფოების მომავალს, იმას, თუ რა მიმართულებით განვითარდებოდა იქ პოლიტიკური პროცესები.

სუეცის კრიზისი

1956 წელს ეგვიპტეზე ჯერ ისრაელის, ხოლო შემდგომ ბრიტანეთისა და საფრანგეთის თავდასხმა სუეცის არხზე კონტროლის შენარჩუნებისთვის. წინ უძღოდა 1956 წლის 26 ივლისს ეგვიპტის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის გადაწყვეტილება, რომ შესაბამისი ეკონომიკური კომპენსაციის სანაცვლოდ მოეხდინა იმ ბრიტანულ-ფრანგული ერთობლივი კომპანიის ნაციონალიზაცია, რომელიც 1869 წლიდან ფლობდა და ამუშავებდა სუეცის არხს. ნასერის ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა ევროპელთა მცდელობას გაეგრძელებინათ კოლონიალური პოლიტიკა და შეენარჩუნებინათ თავიანთი გავლენა რეგიონში. ნატოს წევრებსა და ეგვიპტეს შორის კონფლიქტის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ამერიკის პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ, კერძოდ კი, სახელმწიფო მდივანმა ჯონ ფოსტერ დალასმა. აშშ ღიად დაუპირისპირდა თავის უახლოეს მოკავშირეებს და აიძულა ისინი ეგვიპტიდან ჯარები გაეყვანათ. სუეცის კრიზისის დაძლევამ ბოლო მოუღო მსოფლიო კოლონიალურ სისტემას, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დაკარგეს გლობალური მოთამაშეების სტატუსი და აშშ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ერთადერთ ლიდერად იქცა. ამ კონფლიქტის დროს გაჩნდა გაეროს სამშვიდობო სამხედრო კონტინგენტის შექმნის იდეა და მისი პრაქტიკული რეალიზაციაც მოხდა.

ცივი ომის ფინალური აკორდი გერმანიის გაერთიანება გახდა და ამის შედეგად აღმოსავლეთი გერმანიაც გაერთიანებული გერმანიის შემადგენლობაში შეუერთდა ალიანსს. ასე დამთავრდა ნატოს გაფართოების პირველი ეტაპი. ამ პროცესის გაგრძელება ცივი ომის შემდგომი დინამიკის ნაწილი გახდა და მასზე ქვევით მოგახსენებთ.

ცივი ომის დასრულების შემდეგ – ნატო უსაფრთხოების სივრცეს აფართოებს

ცივი ომის დასრულების შემდეგ ნატო სერიოზული არჩევანის წინაშე დადგა. დასავლეთში ბევრი პოლიტიკოსი მიიჩნევდა, რომ ნატომ თავისი ისტორიული მისია შეასრულა და ამით თავისი ფუნქცია ამოწურა. მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვა მოსაზრებამ, რომ შეცვლილ საერთაშორისო გარემოში საფრთხეების მხოლოდ ხასიათი შეიცვალა და ახალი გამოწვევების საპასუხოდ ალიანსის ერთიანობა არანაკლებ საჭირო იყო. მეტიც, კომუნისტური მმართველობისაგან განთავისუფლებული ევროპის აღმოსავლეთი და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გაჩენილი პოსტსაბჭოთა სივრცე სულ ადვილად შეიძლებოდა ქცეულიყო უმართავი, დესტრუქციული პროცესების არეალად. ამ „რუხ ზონასთან“ კონსტრუქციული თანამშრომლობა იყო აუცილებე-

ნატოს სამიტი ვაშინგტონში, 1999

ლი, რათა პოსტკომუნისტური სივრცე განვითარების ცივილიზებულ, დემოკრატიულ გზას დადგომოდა. ეს ნატოს ისტორიაში ყველაზე რადიკალური გადაწყვეტილება გახლდათ.

1990 წელს ნატომ საბჭოთა კავშირს და სხვა არაწევრ ევროპულ სახელმწიფოებს თანამშრომლობა შესთავაზა. იმავე წელს ლონდონში ალიანსის სამიტზე ხელი მოაწერეს ე.წ. ლონდონის დეკლარაციას წინადადებებით ალიანსის ტრანსფორმაციის საფუძველზე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობისა და დიპლომატიური ურთიერთობების თაობაზე. 1991 წლის ნოემბერში ნატომ გამოაქვეყნა რომის დეკლარაცია მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის, რომელიც პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის წინადადებებს შეიცავდა.



ნატოს გაფართოება წლების მიხედვით

1949
1952
1955
1982
1990
1999
2004
2009

ნატო პარტნიორებს იკრებს

1991 წელსვე დაიწყო ფუნქციონირება **ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭომ (NACC).** ეს იყო უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციების ფორუმი, სადაც ალიანსის წევრები პოსტკომუნისტურ, ახლა უკვე პარტნიორ სახელმწიფოებთან ერთად განიხილავდნენ უსაფრთხოების პრობლემებს. ასე გაჩნდა ნატოს ლექსიკონში ტერმინი „პარტნიორი“.

ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი პარტნიორები ნატოს ბრიუსელის შტაბ-ბინაში მისიებით არიან წარმოდგენილი. ისინი რეგულარულად ხვდებიან ალიანსის ელჩებს და განიხილავენ პარტნიორობის გეგმებსა და მათ შესრულებას. პარტნიორი სახელმწიფოების მინისტრები ასევე რეგულარულად მონაწილეობენ ნატოს მინისტრთა შეხვედრებში, ხოლო რიგ შემთხვევებში – მათი სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურები ალიანსის სამიტების სპეციალურ ფორმატებში.

ნატო პარტნიორებთან კიდევ რამდენიმე ფორმატის ფარგლებში თანამშრომლობს. ყოველ მათგანს თავისი კონკრეტული ამოცანა აქვს, მაგრამ ალიანსის პარტნიორობის მიზანი საერთოა – უსაფრთხოებისა და სტაბილურობის სივრცის გაფართოება.

დღეისათვის ნატოს პარტნიორობის ფორმატებია:

მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამა – მონაწილეები: ევროპის ყველა სახელმწი-

1994 წელს ნატომ პარტნიორებს ახალი ინიციატივა – **„პარტნიორობა მშვიდობისათვის“** – შესთავაზა. ამ ინიციატივის ფარგლებში დაიწყო პარტნიორებთან თანამშრომლობა მათი უსაფრთხოების სისტემების რეფორმირების, მათთვის საკანონმდებლო საფუძვლების, ორგანიზაციული სტრუქტურებისა და კადრების მომზადების მიზნით.

იმავე წელს სათავე დაედო **„ხმელთაშუა ზღვის დიალოგს“** – ხმელთაშუა ზღვის მეზობელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ფორმატს.

1997 წელს პორტუგალიაში, ქ. სინტრაში, **ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ბაზაზე დაარსდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC)**. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი, სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, საქართველოც გახლდათ. ეს უკვე პარტნიორი ქვეყნების ალიანსთან თანამშრომლობის ახალი ეტაპის დასწყისი იყო. ასე შემოიკრიბა ნატომ ყოფილი კომუნისტური სისტემის ევროპული სახელმწიფოები და მათთან ერთად დაიწყო ევროატლანტიკური უსაფრთხოების ახალი სისტემის ჩამოყალიბება.

პარტნიორები ალიანსთან ორმხრივი პროგრამებით თანამშრომლობენ. ბევრი მათგანი მონაწილეობს ალიანსის სამშვიდობო მისიებში კოსოვოში, ავღანეთში და ა.შ., აგრეთვე – სხვა პრაქტიკულ საქმიანობაში.

რუსეთთან, უკრაინასა და საქართველოსთან თანამშრომლობისათვის ალიანსს შექმნილი აქვს სპეციალური ორმხრივი ფორმატი.

1997 წელს რუსეთთან თანამშრომლობისათვის **ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭო** შეიქმნა, რომელიც 2002 წლიდან **ნატო-რუსეთის საბჭოთი** შეიცვალა. საბჭოს თავმჯდომარეობა ნატოს გენერალურ მდივანს დაეკისრა.

უკრაინასთან ორმხრივი დიალოგი **ნატო-უკრაინის კომისიის** ფარგლებში მიმდინარეობს, რომელიც ასევე 1997 წელს შეიქმნა.

საქართველოსთან ნატოს თანამშრომლობისათვის ორმხრივი კომისია 2008 წლის სექტემბერში შეიქმნა. რადგან საქართველო ნატოს წევრობას ესწრაფვის, კომისიის მუშაობის არსიც ამ პროცესის ხელშეწყობა და საქართველოს მიერ ალიანსის წევრობის მოთხოვნათა შესასრულებლად მზადებაში დახმარებაა.

ფო და ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელიც ალიანსის წევრი არ არის.

ხმელთაშუა ზღვის დიალოგი – მონაწილეები: ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო, ტუნისი.

სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივა – მონაწილეები: ბაჰრეინი, კატარი, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საამიროები.

გლობალური პარტნიორები: ავსტრალია, ავღანეთი, ახალი ზელანდია, ერაყი, იაპონია, კორეის რესპუბლიკა, მონღოლეთი, პაკისტანი.

სხვა **საერთაშორისო ორგანიზაციები:** გაერო, ევროკავშირი, ეუთო.

ნატო ახალ წევრებს იძენს

ცივი ომის დასრულების შემდეგ პარტნიორობის სისტემის შექმნასთან ერთად ნატოს უნდა გადაეწყვიტა შეინარჩუნებდა თუ არა ღია კარის პოლიტიკას.

ეს საკითხიც მწვავე დისკუსიის საგნად იქცა. ალიანსის შემდგომი გაფართოების მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც საკუთარი არგუმენტები ჰქონდათ. საკითხის გადასაწყვეტად 1995 წელს სპეციალური კვლევაც კი ჩატარდა. დასკვნა ერთმნიშვნელოვანი გახლდათ – ალიანსში ახალი წევრების მიღება მხოლოდ განამტკიცებდა სტაბილურობას ევროატლანტიკურ სივრცეში.

1999 წლის 12 მარტს ალიანსის წევრები გახდნენ ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი.

ნატოს პრაღის სამიტზე 2002 წელს ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვენია და სლოვაკეთი ალიანსში გაწევრიანებისათვის მიიწვიეს. ისინი ნატოს წევრები 2004 წლიდან არიან. ამგვარად, ალიანსმა ყოფილ საბჭოთა სივრცეშიც შეაბიჯა.

შემდეგი ნაბიჯი გაფართოების გზაზე ნატომ 2009 წლის აპრილში გადადგა, როცა ალბანეთი და ხორვატია შეუერთდა ალიანსს. ამგვარად ნატოს წევრთა რიცხვმა 28-ს მიაღწია.

ალიანსის დღის წესრიგი ამჟამად კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან თემას მოიცავს. ჩვენ აქ მათ მხოლოდ ჩამოვთვლით:

კრიზისების მართვაში მონაწილეობა:

- ნატო ბალკანეთზე
- ნატო ავღანეთში
- ნატო ლიბიაში

ანტიტერორისტული ოპერაცია ხმელთაშუა ზღვაში

მეკობრეობასთან ბრძოლა ადენის ყურეში

აფრიკის კავშირის მხარდაჭერის მისია

პუმანიტარული დახმარების მისია სტიქიური უბედურებისას

ბრძოლა ახალ გამოწვევებთან:

- მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ბრძოლა
- რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა
- კიბერუსაფრთხოება
- ენერგოუსაფრთხოება

ყველა ეს თემა ცალკე განხილვის საგანია, რასაც, ალბათ, სხვა დროს შევეხებით.

ნატოს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია

შესავალი

ჩვენ, ნატოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურები და მთავრობათა მეთაურები, ვიკრიბებით მადრიდში ჩვენი უსაფრთხოებისა და საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობისთვის კრიტიკულ დროს. დღეს ჩვენ ვამტკიცებთ ახალ სტრატეგიულ კონცეფციას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ ჩვენმა ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მომავალშიც გააგრძელოს მოთხოვნების დაკმაყოფილება და უზრუნველ¬ყოფილი იყოს რესურსებით.

სამოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ნატო უზრუნველყოფდა მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებასა და უსაფრთხოებას. ჩვენი წარმატება იმ ქალებისა და მამაკაცების მიერ გაწეული სამსახურისა და თავგანწირვის შედეგია, რომლებიც ჩვენს შეიარაღებულ ძალებში ირიცხებიან. ჩვენ დიდ ვალში ვართ უშუალოდ მათ და მათი ოჯახების წინაშე.

ჩვენ კვლავაც მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, დავიცვათ ჩვენი მილიარდი მოქალაქე, დავიცვათ ჩვენი ტერიტორია, დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და დემოკრატია. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ერთიანობას, კავშირსა და სოლიდარობას, რომელიც დაფუძნებულია ჩვენს ქვეყნებს შორის მყარ ტრანსატლანტიკურ კავშირზე და ჩვენი საერთო დემოკრატიული ღირებულებების სიძლიერეზე. ჩვენ, კიდევ ერთხელ, ვადასტურებთ ჩვენს ურყევ ერთგულებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მიმართ და რომ დავიცავთ ერთმანეთს ყველანაირი საფრთხისგან, საიდანაც უნდა მიდიოდეს ის.

ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას სამართლიანი, ყოვლისმომცველი და ხანგრძლივი მშვიდობისთვის და დავრჩებით წესებზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგის საყრდენად. ჩვენ შევინარჩუნებთ გლობალურ მიდგომას და მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ჩვენს პარტნიორებთან, სხვა ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ევროკავშირი და გაერო, რათა ხელი შევუწყოთ საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

ჩვენი მსოფლიოსთვის დამახასიათებელია კონკურენცია და არაპროგნოზირებადობა. რუსეთის ფედერაციის აგრესიულმა ომმა უკრაინის წინააღმ-დეგ შეარყია მშვიდობა და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი უსაფრთხოების გარემო. რუსეთის სასტიკმა და უკანონო შეჭრამ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კიდევ ერთხელ დარღვევამ, საზარელმა თავდასხმებმა და სისასტიკემ გამოიწვია ენით აღუწერელი ტანჯვა და ნგრევა. ძლიერი და დამოუკიდებელი უკრაინა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური ზონის სტაბილურობისთვის. მოსკოვის ქცევა ასახავს რუსეთის აგრესიული ქმედებების ნიმუშს მისი მეზობლებისა და უფრო ფართო ტრანსატლანტიკური საზოგადოების წინააღმდეგ. ჩვენ ასევე ვაწყდებით ტერორიზმის მუდმივ საფრთხეს მისი ყველა ფორმითა და გამოვლინებით. ფართოდ გავრცელებული არასტაბილურობა, სტრატეგიული მეტოქეობის გაძლიერება და ავტორიტარიზმის ზრდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესებსა და ღირებულებებს გამოწვევის წინაშე აყენებს.

ჩვენი ახალი სტრატეგიული კონცეფცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნატოს მთავარი მიზანია ჩვენი კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფა 360-გრადუსიანი მიდგომის საფუძველზე. ის განსაზღვრავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამ ძირითად ამოცანას: შეკავება და თავდაცვა; კრიზისების პრევენცია და მართვა და უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე. ჩვენ ხაზს ვუსვამთ

იმის აუცილებლობას, რომ მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ ჩვენი შეკავება და თავდაცვა, როგორც მე-5 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების საფუძველი, რომელიც ერთმანეთის დაცვას გვავალდებულებს.

ნატოს ბირთვული შესაძლებლობების მთავარი მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, იძულების თავიდან აცილება და აგრესიის შეკავება. სანამ ბირთვული იარაღი იარსებებს, ნატო დარჩება ბირთვულ ალიანსად. ნატოს მიზანია ყველასთვის უფრო უსაფრთხო სამყარო; ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ უსაფრთხოების გარემო მსოფლიოსთვის ბირთვული იარაღის გარეშე.

სტრატეგიულ კონცეფციაში ხაზგასმულია ის, რომ ჩვენი ეროვნული და კოლექტიური მდგრადობის უზრუნველყოფას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა ძირითადი ამოცანისთვის და ემყარება ჩვენს ძალისხმევას, დავიცვათ ჩვენი ქვეყნები, საზოგადოებები და საერთო ღირებულებები. მასში ასევე ხაზგასმულია ტექნოლოგიურ ინოვაციებში ინვესტირების მნიშვნელობა და კლიმატის ცვლილების, ადამიანის უსაფრთხოებისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის გათვალისწინება ჩვენს ყველა ძირითად ამოცანაში.

ჩვენი ხედვა ნათელია: გვსურს ვიცხოვროთ მსოფლიოში, სადაც პატივს სცემენ სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო სამართალს და სადაც თითოეულ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს თავისი გზა, რომელიც თავისუფალია აგრესიისგან, იძულებისგან ან დივერსიისგან. ჩვენ ვთანამშრომლობთ ყველასთან, ვინც იზიარებს ამ მიზნებს. ჩვენ, როგორც მოკავშირეები, ერთად ვდგავართ იმისთვის, რომ დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და წვლილი შევიტანოთ უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს არსებობაში.

მიზანი და პრინციპები

1. ნატოს მტკიცე მიზანია დაიცვას თავისი წევრი ქვეყნების თავისუფლება და უსაფრთხოება. მისი მთავარი მიზანი და ყველაზე მთავარი მოვალეობაა უზრუნველყოს ჩვენი კოლექტიური დაცვა ყველა საფრთხისგან ყველა მიმართულებით. ჩვენ ვართ თავდაცვითი ალიანსი.

2. ტრანსატლანტიკური კავშირი ჩვენს ქვეყნებს შორის აუცილებელი პირობაა ჩვენი უსაფრთხოებისთვის. ჩვენ გვაერთიანებს საერთო ღირებულებები: ინდივიდუალური თავისუფლება, ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა. ჩვენ ვრჩებით მტკიცედ ერთგულნი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მიზნებისა და პრინციპების მიმართ.

3. ნატო წარმოადგენს კონსულტაციის, კოორდინაციისა და ჩვენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხისა და ღონისძიებების განხორციელების უნიკალურ, მნიშვნელოვან და შეუცვლელ ტრანსატლანტიკურ ფორუმს. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ალიანსს, რომელიც ეფუძნება ჩვენს განუყოფელ უსაფრთხოებას, სოლიდარობას და ერთმანეთის დაცვის მტკიცე ვალდებულებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლით. ჩვენი შეკავებისა და თავდაცვის უნარი წარმოადგენს ამ ვალდებულების საფუძველს.

4. ნატო გააგრძელებს სამი ძირითადი ამოცანის განხორციელებას: შეკავება და თავდაცვა; კრიზისების პრევენცია და მართვა და თანამშრომლობითი უსაფრთხო-ება. ეს ამოცანები ავსებს ერთმანეთს, რაც მიზნად ისახავს ყველა წევრი ქვეყნის კოლექტიური თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

5. ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ მდგრადობას და გავაუმჯობესებთ ჩვენს ტექნოლოგიურ უპირატესობას. ამ ძალისხმევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძირითადი ამოცანების შესრულებისთვის. ჩვენ ხელს შევუწყობთ კარგ მმართველობას და გავითვალისწინებთ კლიმატის ცვლილებას, ადამიანის უსაფრთხოებას და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგს ჩვენს ყველა ამოცანაში. ჩვენ გავაგრძელებთ გენდერული თანასწორობის, როგორც ჩვენი ღირებულების, ასახვის ხელშეწყობას.

გამოყენებული ლიტერატურა

- 2008 წლის 3 აპრილს, ბუქარესტის სამიტზე, ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო „გახდება ნატო-ს წევრი“ https://infocenter.gov.ge/nato-georgia/#step-1
- მითები NATO-სა და ევროკავშირის შესახებ https://infocenter.gov.ge/wp-content/uploads/2021/06/mithebis-broshura-qarthuli.pdf
- მითები და რეალობა ევროინტეგრაციის თაობაზე https://ewmi-activism.org/ka/gallery/access-increases-awareness-on-the-benefits-of-georgias-european-integration/
- საქართველო ნატო-ს წევრობას იმსახურებს https://www.geocase.ge/media/207/Georgia-deserves-NATO-membership_Kh.-Burkadze.pdf
- ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ისტორია https://infocenter.gov.ge/nato-georgia/nato-georgia-history/
- ნატო-ს ურთიერთობები საქართველოსთან https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_38988.htm?selectedLocale=ka
- თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსთან https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120302_Deepening_Relations_with_Georgi.pdf
- WHAT IS NATO? https://www.nato.int/nato-welcome/
- რამ განაპირობა ნატო-ს დაარსება? https://infocenter.gov.ge/nato/establishment-of-nato/
- როგორ შეიქმნა NATO? https://gfsis.org.ge/files/my-world/17/2.pdf
- NATO-ს 2022 წლის სტრატეგიული კონცეცია https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept-georgian.pdf

საკითხი III. მულტიკულტურალიზმი საქართველოში და საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში

სამიზნე ცნება: საზოგადოება, სივრცე, დრო

გაეცანით კონტექსტ-მაგალითს და შეასრულეთ პროექტული დავალება

პროექტული დავალების პირობა

წარმოიდგინეთ, რომ ხართ თანამედროვე ევროპელი ჟურნალისტი, რომელიც საქართველოში ჩამოდის, რათა გაეცნოს საქართველოს კულტურულ მრავალფეროვნებას თბილისში. მხატვრული ფილმის "ამბავი სურამის ციხისა" ნახვის შემდეგ კი მოიძიე ინფორმაცია ამ ფილმის კინორეჟისორის, სცენარისტის და მხატვრის - სერგო ფარაჯანოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომელსაც 2024 წელს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდება. თქვენ, როგორც ჟურნალისტმა, გადაწყვიტეთ ევროპელი მკითხველისათვის შექმნათ გაზეთის საიუბილეო ნომერი, რომელშიც სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებას კულტურული მრავალფეროვნების სიმბოლოდ წარმოადგენთ.

გაზეთის საიუბილეო ნომრის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული არეალები, რომლებიც ასახულია სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებაში;
- სერგო ფარაჯანოვი, როგორც სამი კულტურის და სამი რელიგიის თავისებური ეთნიკური ფენომენის შექმნელი და ტრანსკავკასიელი რეჟისორი; რამდენად მოიაზრება „კულტურული სხვის" განცდა მის შემოქმედებაში;
- როგორ ასახა ფარაჯანოვმა თავის შემოქმედებაში საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია;
- რატომ ასოცირდება კულტურული მრავალფეროვნება სერგო ფარაჯანოვის შემოქმედებასთან;

მეთოდიკური ორიენტირები

საკვანძო კითხვა: რატომ გახდა სერგო ფარაჯანოვის შემოქმედება კულტურული მრავალფეროვნების სიმბოლო არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაშიც?

სარეკომენდაციო აქტივობა I.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ფოტოს და სთხოვს, იმსჯელონ მის შესახებ და დაასათაურონ იგი.



კითხვა ფოტოს ანალიზისათვის:

- დააკვირდით ფოტოს, როგორ ფიქრობთ, რისი თქმა, რისი გამოხატვა უნდოდათ ფოტოზე აღბეჭდილ კაცს და ფოტოგრაფს? ასახსნელად მოიშველიეთ ისტორიული ცნობა.
- დაასათაურეთ ფოტო.

სარეკომენდაციო აქტივობა II.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გააანალიზონ შესაბამისი წყაროები მოცემული სქემის და კითხვების მიხედვით, რათა გაიაზრონ ს. ფარაჯანოვის დამოკიდებულება ხელოვნების მიმართ.

<table>
<tr><td colspan="2">განსაზღვრეთ სერგო ფარაჯანოვის ფილმების თემატიკა. რომელი ხალხების ისტორია და კულტურაა ასახული მის ფილმებში?</td></tr>
<tr><td>თქვენი აზრით, რა აერთიანებს წყაროებში მოთხრობილ ფილმებს?</td><td>თქვენი აზრით, რა განასხვავებს წყაროებში მოთხრობილ ფილმებს?</td></tr>
<tr><td>რით არის უკრაინელი მკვლევარების აზრით, ღირსშესანიშნავი ფილმი „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“?</td><td>კინოთმცოდნე ნეა ზორკინას აზრით, როგორ გამოიხატა სერგო ფარაჯანოვის ფილმებში „ეროვნული კულტურის ფარაჯანოვისეული უფაქიზესი გრძნობა“?</td></tr>
<tr><td colspan="2">როგორ გესმით ფარაჯანოვის აზრი ხელოვნების შესახებ?</td></tr>
</table>

სარეკომენდაციო აქტივობა III.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სქემას, რომლის მიხედვით და წყაროებზე დაყრდნობით მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც ს. ფარაჯანოვი თავის ფილმებში იყენებდა ეროვნულ სიუჟეტებს.



სარეკომენდაციო აქტივობა IV.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სქემას, რომლის მიხედვით და წყაროების გამოყენებით მოსწავლეები იმსჯელებენ ს. ფარაჯანოვის შემოქმედებაში მულტიკულტურალიზმის შესახებ.



სარეკომენდაციო აქტივობა V.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს წერილობით და ვიზუალურ წყაროებს, ს. ფარაჯანოვის და ფოტოგრაფ იური მეჩითოვის ფოტოებს და სთავაზობს კითხვების საშუალებით მათ ანალიზს.

ფოტო	კითხვა
	რით განსხვავდება ს. ფარაჯანოვის ფოტოები ჩვეულებრივი ავტოპორტრეტისაგან?
ი.მეჩითოვის ფოტოები	როგორ ფიქრობ, რისი გამოხატვა უნდოდათ ს. ფარაჯანოვს და ფოტოგრაფ ი.მეჩითოვს მოცემული ფოტოებით?
	თქვენი აზრით, როგორ ესმოდა ს. ფარაჯანოვს თავისუფლება?

სარეკომენდაციო აქტივობა VI.

მასწავლებელს მოსწავლეებს სთავაზობს მცირე სტატიის დაწერას:

- ს. ფარაჯანოვის შემოქმედება კულტურული მრავალფეროვნების სიმბოლო

წასაკითხი მასალა (რიდერი)

მულტიკულტურალიზმი

დღეს, როდესაც გლობალიზაციამ მთელი მსოფლიო მოიცვა, უკვე ბევრი საუბრობს მულტიკულტურალიზმის შესახებ. ზოგი მისი წინააღმდეგია და ფიქრობს, რომ იგი საფრთხეს უქმნის მისი ქვეყნის ეროვნულობას, ზოგი კი პირიქით, მის დასაცავად გამოდის და სხვებსაც იმავესკენ მოუწოდებს.

სანამ კონკრეტულად მულტიკულტურალიზმის საკითხს შევეხებოდეთ, ჯერ მისი მნიშვნელობა განვმარტოთ: მულტიკულტურალიზმის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს მოსაზრება, რომ კულტურულად განსხვავებული ჯგუფები შესაბამის პოლიტიკურ გარემოში აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებენ. მულტიკულტურალიზმი გულისხმობს განსხვავებული კულტურების გვერდიგვერდ არსებობასა და თანაცხოვრებას.

დღევანდელი მულტიკულტურული სახელმწიფოს საუკეთესო მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც განსხვავებული კულტურის მქონე ერის წარმომადგენლები გვერდიგვერდ თანაცხოვრობენ, წარმოადგენენ საკუთარი კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ერთმანეთს უზიარებენ მათ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამერიკის მულტიკულტურალიზმი ორნაირად მოიაზრება: ერთია „სასალათე ჯამი“, რომლის შემთხვევაშიც სხვადასხვა კულტურა თანაბარი ზომითაა წარმოდგენილი, ისინი არ კარგავენ საკუთრივ მათთვის დამახასიათებელ ელემენტებს და შენარჩუნებულია ორიგინალი სახით. მეორე მოსაზრებით კი, ამერიკის მულტიკულტურალიზმი განიხილება როგორც „მოსახარში ქვაბი“, სადაც სხვადასხვა კულტურა ერთიანად იყრის თავს, ერთმანეთში ირევა, კარგავს განმასხვავებელ ნიშნებს და ქმნის სრულიად ახალ – „ამერიკულ კულტურას“. ამ შემთხვევაში, განსხვავებულ კულტურათა იდენტობა იკარგება და „ითქვიფება“ სხვა კულტურებში.

მულტიკულტურალიზმის შინაარსიდან გამომდინარე, ევროპის ყველა დემოკრა-ტიული სახელმწიფო თავს მულტიკულტურულად მიიჩნევს. თუმცა აქ საქმე გვაქვს ერთ აქსიომასთან, მაშინ, როდესაც შარიათის კანონებზე გვაქვს საუბარი. მოგეხსე-ნებათ, შარიათის კანონები მუსლიმურ სამყაროში დანაშაულის დროს გულისხმობს ადამიანის გაროზგვას, კიდურების მოკვეთასა და მის ჩაქოლვასაც კი. ასევე, უკრძალავს ქალებს პირბადის გარეშე გარეთ გასვლას და სხვა. ეს კანონები აშკარად ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ღირებულებებს, ამიტომ დასავლეთის ქვეყნები უარყოფენ შარიათის კანონებს და არ აძლევენ საშუალებას ეთნიკურ უმცირესობებს, იცხოვრონ მათი წესების მიხედვით, ანუ ზეწოლის ქვეშ აქცევენ მათ. მულტიკულტურალიზმი კი გულისხმობს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს საშუალება ეძლევა, იცხოვრონ ზეწოლის გარეშე, მათი ადათ-წესების მიხედვით. გამოდის, რომ ლიბერალური დემოკრატია, რომლითაც ასე ამაყობენ ჩვენი დასავლეთელი მეგობრები, აშკარად ეწინააღმდეგება მულტიკულურალიზმს და, აქედან გამომდინარე, ისინი ვერ იქნებიან მულტიკულტურული ქვეყნები. ამის ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად, საკმარისია, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: 2004 წელს საფრანგეთში სახელმწიფო სკოლებსა და უნივერსიტეტებში სხვა რელიგიურ სიმბოლოთა გვერდით აიკრძალა ტრადიციული ისლამური თავსაფრის–ხიმარის ტარება, რასაც შემდეგ, მუსლიმთა მხრიდან დიდი საპროტესტო აქციები მოჰყვა. ამგვარი მაგალითები კიდევ მრავალია. აშკარაა, რომ ზემოაღნიშნული

მუსლიმი მოსახლეობის ამგვარი ადათები ლახავს ადამიანის უფლებებს და ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს.

საინტერესოა, რა შედეგები მოიტანა მულტიკულტურალიზმმა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. კერძოდ, დღეს, საფრანგეთიც და იტალიაც საგრძნობლად განიცდის იმიგრანტების პრობლემებს. დიდია ამ ქვეყნებში უცხო რასების წილი და ბევრი შიშით იმასაც ამბობს, რომ მალე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები თავად ფრანგები და იტალიელები გახდებიან. იქმნება ათასგვარი სტერეოტიპი და შეხედულება იმიგრანტი მოსახლეობის მიმართ. მაგალითად, თუ რომელიმე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მაღაზიას გაძარცვავს, იქმნება სტერეოტიპი, რომ ამ უმცირესობის ყოველი წევრი მძარცველია, ამას მოჰყვება კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასა და იმიგრანტებს შორის. ასევე, იმიგრანტების მოზღვავება ქმნის მთელ რიგ ეკონომიკურ პრობლემებს, რომელიც, ძირითადად, არასაკმარისი სამუშაო ადგილებითაა განპირობებული.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გამო, ევროპის ბევრმა ქვეყანამ საზღვრებზე კონტროლი გაამკაცრა, რათა შეემცირებინა იმიგრანტების მოზღვავება და რაოდენობა მის ტერიტორიაზე. ამას შედეგად მოჰყვა საზღვრების არალეგალური გადაკვეთა და არაკანონიერი გზებით შეჭრა ქვეყნის ტერიტორიაზე.

აშკარაა, რომ ევროპას მულტიკულტურალიზმმა, ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, არაერთი პრობლემა მოუტანა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ აშშ თავიდანვე მულტიკულტურული იყო და თავად სახელმწიფოც სხვადასხვა კულტურამ ჩამოაყალიბა. სხვა ქვეყნებში კი პრობლემები ადგილობრივსა და ჩამოსულ მოსახლეობას შორის გაჩნდა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა დადგა მნიშვნელოვანი საკითხის წინაშე, თუ რა დონეზე შეეძლო, მიეღო ახალი კულტურა, მათთვის ჯერ კიდევ უცხო ხალხი და როგორ შეძლებდნენ ახალი ადათ-წესების შეთვისებას და შეჯერებას საკუთართან. თავის მხრივ, ჩამოსული მოსახლეობაც დადგა პრობლემის წინაშე – შეძლებდნენ კი, გაეთავისებინათ მათ ადგილობრივი კულტურული ელემენტები, რომლებიც დახვდათ მასპინძელ ქევყნებში და რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მათ კულტურას ეწინააღმდეგება.

მულტიკულტურალიზმი საქართველოში

მაშინ, როდესაც მულტიკულტურალიზმი და მისი ცნება მთელ მსოფლიოს მოედო, საინტერესოა საქართველო მსოფლიო მულტიკულტურალიზმის ფონზე. არის კი საქართველო მულტიკულტურული და ექმნება თუ არა მას რამე საფრთხე ამ ფენომენისგან?

საქართველოს სხვა კულტურებთან თანაარსებობის დიდი გამოცდილება ოდითგანვე აქვს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ქართლში გვერდიგვერდ სახლობდნენ ქართველები, სომხები, ხაზარები, ებრაელები, ასურელები და ბერძნები. ყველაზე ადრე კი, საქართველოს არაქართველ მოსახლეობას შორის ებრაელები მოსულან. ლეონტი მროველი, ებრაელთა პირველ ჩამოსახლებას ძვ.წ VI ს-ში ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს: “მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვან ზანავი” (ქც. 1955, გვ. 15-16). ქართლში არქეოლოგიური გათხრების შედეგად ფიქსირდება, რომ ამ ტერიტორიაზე ებრაული კოლონიები არსებობდა.

საქართველოში ელინური კულტურის გავლენაც დიდი იყო. ჯერ კიდევ კოლხეთში, საზღვაო სავაჭრო ურთიერთობებიდან გამომდინარე, ქართველური ტომები ბერძნებს უკავშირდებოდნენ, რაზეც კოლხური არქიტექტურაც მეტყველებს, სადაც შესულია ელინისტური ელემენტები. რაც შეეხება იბერიის ტერიტორიას, ძველი იბერიის მიწა-წყალზე აღმოჩენილია ელინისტური ხანის ბევრი სხვა მონეტა: ალექსანდრე მაკედონელის დრაქმა (კაჭრეთის რაიონი, სოფ. მახარაძე), ელინისტური ეგვიპტის მმართველის პტოლემაიოს ფილომეტორის (181/180–145) სპილენძის მონეტა, სელევკიდების სირიის მეფეების დემეტრე პირველ სოტერისა (დიღომი) და ანტიოქოზ ევერგეტის (ცხინვალი) სპილენძის მონეტები და სხვა.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას დიდი კავშირები ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, რაზეც მათი ენობრივი მსგავსებაც მიუთითებს. ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ V საუკუნის ქვემო ქართლში ღვთისმსახურება სომხურ ენაზეც მიმდინარეობდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად სომხური მოსახლეობაც ცხოვრობდა. „სომეხთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შემოსახლებულა საქართველოში XV საუკუნეში.

ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის გვერდით ასევე სახლობდნენ ჩერქეზები, ოსები, ქისტები, ლეკები, ხაზარები, რუსები, იტალიელები, გერმანელები და სხვა. საქართველოში ასეთი კულტურული მრავალფეროვნება პირველ რიგში საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. მოგეხსენებათ, უძველესი აბრეშუმის გზის ერთ–ერთი განშტოება საქართველოზე გადიოდა, რაც სხვადასხვა კულტურათა თავმოყრას იწვევდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში. ამის გამო თბილისი ოდითგანვე მულტიკულტურული იყო. ისტორიის განმავლობაში ქართულ კულტურას ერწყმოდა არაბული, ბერძნული, რუსული, იტალიური და სხვა კულტურები. ეს ყველაფერი ზოგჯერ საქართველოს დაპყრობით იყო განპირობებული, როდესაც დამპყრობლები ძალით ცდილობდნენ ქართული კულტურის მოსპობას, ქართველთა ანექსიას და საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთ ხალხებს ასახლებდნენ. ჩამოსახლებული მოსახლეობის ადათები ეთვისებოდა ადგილობრივ კულტურას და დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა სახეცვლილი წეს–ჩვეულებები. ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ წერს: რომ იბერიამ „532 წელს თავისუფლება დაჰკარგა და 627 წლამდე თითქმის განუწყვეტლივ სპარსეთის ხელთ იყო... ხანგრძლივი ბრძოლის შემდგომ, ლაზიკა მაინც ბიზანტიელებმა შეინარჩუნეს. ამგვარად დასავლეთი საქართველო განსაკუთრებით ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო, აღმოსავლეთი საქართველო კიდევ სპარსეთის გავლენას ექვემდებარებოდა, მაგრამ ამასთანავე როგორც იბერიაში ბიზანტიელების კულტურა ძლიერი იყო, ისევე ლაზიკაში სპარსეთის კულტურასაც გზა გაკვლეული ჰქონდა.“ კულტურათა თანაცხოვრება ქართველების ტოლერანტობითაც იყო განპირობებული, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, როდესაც დავით აღმაშენებლმა თბილისის აღების შემდეგ (1122 წ.) იმგვარი პოლიტიკა აწარმოა და ისეთი რეფორმები გაატარა, რომელთა მიხედვითაც საქართველოს დედაქალაქში მეჩეთები ააგებინა, არაქრისტიან მოსახლეობას მისცა უფლება, თავიანთი ღვთისმსახურება აღესრულებინათ და მუსლიმ მოსახლეობას გადასახადებზე შეღავათებიც კი დაუწესა.

საქართველოში მართლმადიდებლური რელიგიის გვერდით ღვთისმსახურება აღესრულება მუსლიმთა, კათოლიკეთა, გრეგორიანთა და სხვათა მიერ. ასევე საქართველოში არსებობს სხვადასხვა სექტა.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მოპოვებულ იქნა ინფორმაცია მოსახლეობის აღმსარებლობის შესახებ. საქართველოს მოსახლეობის 83,4 პროცენტს მართლმადიდებლები შეადგენენ, მუსლიმური სარწმუნოების მატარებელია მოსახლეობის 10,7 პროცენტი, ხოლო სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მიმდევარია 2,9 პროცენტი.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით

აღმსარებლობა	**სულ (ათასიკაცი)**	**პროცენტულიგანაწილება**
სულ მოსახლეობა	**3 713,8**	**100,0**
მართლმადიდებელი	3097,6	83,4
მუსლიმური	398,7	10,7
სომხური-სამოციქულო	109,0	2,9
კათოლიკური	19,2	0,5
იეღოვას მოწმე	12,4	0,3
იეზიდური	8,6	0,2
პროტესტანტული	2,5	0,1
იუდეური	1,4	0,0
სხვა	1,4	0,0
არცერთი	19,1	0,5
უარი	9,6	0,3
არ არის მითითებული	34,3	0,9

ჩვენი ქვეყანა ლინგვისტური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. საქართველოს სახელმწიფო ენებია ქართული და აფხაზური (აფხაზეთის ავტონომიურ ტერიტორიაზე). ქართულად, საქართველოს ოფიციალურ ენაზე, საუბრობს მოსახლეობის 71%, რუსულად–9%, სომხურად–7%, აზერბაიჯანულად–6%, ხოლო 7% სხვა ენებზე.

საქართველოს მოსახლეობა 2002 წლის მონაცემებით 4,601 მილიონს შეადგენდა. აქედან ქართველები 83,8% შეადგენდნენ; აზერბაიჯანელები–6,5%; სომხები–5,7%; რუსები–1,5%; ოსები–0,9%; ქურთები–0,5%; ბერძნები–0,3%; უკრაინელები–0,2%; ებრალები–0,1%; აფხაზები–0,1%; სხვა–0,4%.[

საუკუნეების განმავლობაში ქართული მოსახლეობა მშვიდობიანად ცხოვრობდა სხვა ერის წარმომადგენლების გვერდით, უზიარებდა მათ საკუთარ ადათ–წესებს და ითვისებდა უცხოური კულტურის ელემენტებსაც. დაპირისპირება ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის იშვიათად ხდებოდა და სერიოზულ ფაზაში არასდროს არ გადადიოდა. ამის შესახებ სამწუხარო ფაქტები კი გასულ საუკუნიდან უნდა ვეძიოთ. ვგულისხმობთ აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტებს, თუმცა აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი: ოსები საქართველოში ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ, რადგან მათ ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო ჩრდილოეთ ოსეთის სახით და

ოსი ეროვნების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საქართველოში ცხოვრობდა ეთნიკური ქართველებისა და საქართველოს სხვა მოსახლეობის გვერდით. აქედან გამომდინარე, ცხინვალის კონფლიქტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი დავა (იმისდა მიუხედავად, რომ ამ კონფლიქტის წარმოშობა მესამე მხარის ინტერესებში შედიოდა). რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტს, მას ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებულ დაპირისპირებას ვერ ვუწოდებთ შემდეგი მიზეზების გამო: ეთნიკური კონფლიქტი ხდება ორ განსხვავებულ, ჩამოყალიბებულ ეთნოსს შორის (ძირითადად ორივე ეთნოსს საკუთარი სახელმწიფო გააჩნია), აფხაზები კი სხვა ეთნოსი არაა და არც საკუთარი სახელმწიფო გააჩნიათ, ვინაიდან, ისინი ქართველები არიან და მათი სამშობლო საქართველოა. გურამ სანადირაძე და ნიკოლოზ სანებლიძე ამაზე გარკვევით წერენ: „ქართველებისა და აფხაზების ნება-სურვილითა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ლოცვა-კურთხევით გაერთიანდა ქართლი და აფხაზეთი ათასი წლის წინ (ბაგრატ მესამის მეფობისას) და შეიქმნა საქართველო (სწორედ მაშინ გაჩნდა ეს ტერმინი). ამდენად, ქართველები და აფხაზები არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მკვიდრი მოსახლენი არიან, არამედ ჩვენი სახელმწიფოს დამფუძნებელ ერებს წარმოადგენენ. მათი ერთობა საქართველოს არსებობის საფუძველია.“ აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ეთნიკური დაპირისპირება არაა.

მულტიკულტურალიზმის დადებითი მხარე საქართველოსთვის არის ის, რომ შესაძლებელია ახალი დადებითი თვისებების შესწავლა უცხო კულტურათაგან და ჩვენი კულტურის განვითარება. მათთვის ჩვენი ტრადიციების გაცნობა. ასევე, ფაქტია, რომ ქართული სამოქალაქო საზოგადოებაც არაა აქტიური. უცხო კულტურებთან კავშირით კი შეგვიძლია მეტად ქმედითუნარიანი გახდეს საზოგადოება.

ახლა ვთქვათ, თუ რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს საქართველოსთვის ყოველივე ეს. პირველ რიგში, საშიშროება იმგვარია, როგორიც საფრანგეთსა და იტალიაში. მართალია, ჯერ ამ დონეზე აქტუალური არაა ეს საფრთხე, თუმცა მომავალში არც მისი არსებობაა გამორიცხული. იმის გათვალისწინებით, რომ ქართველებს მიბაძვა გვიყვარს და ჩვენს საკუთარს ნაკლებად ვუფრთხილდებით, შეიძლება ნელ–ნელა დავივიწყოთ ჩვენი ადათ–წესები. დღეს ახალგაზრდა თაობის ძირითადი ნაწილი უცხოურ სიმღერას უსმენს, წვეულებებზე ქართულ ცეკვებზე მეტად ე.წ. კლუბურს ცეკვავენ. ბარბარიზმებზე ხომ საუბარი ზედმეტია: „ფართი“, „ნიუსი“, „ფეიქი“, „ოკ“, „ქის უი“ და მრავალი სხვა. თუმცა საფრთხე იმისა, რომ ჩვენ კულტურას ჩაანაცვლებს ინდური, ჩინური ან თუნდაც აფროამერიკული ადათები, იმდენად დიდი არაა, თუ ჩვენ არ დავივიწყებთ მათ. შეიძლება შეიცვალოს ჩვენი კულტურა, შეითვისოს მან ახალი ელემენტები, თუმცა ეს საჭიროცაა. თუ ედმუნდ ბერკის სიტყვებს დავეყრდნობით, საჭიროა ცვლილება შენარჩუნებისათვის – “შევცვალოთ, რათა შევინარჩუნოთ.“

ღირებულებათა ტრანსფორმაცია საქართველოში

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია საფუძველია ყველაფერი იმის, რითაც ქართველი ამაყობს. რომ არა 70-იან წლიანი საბჭოთა ბორკილები, 1918 წელს რუსულ იმპერიალიზმს თავდაღწეული დამოუკიდებელი საქართველო დღეს, ალბათ, განვითარების სხვა საფეხურზე იდგებოდა.

რეალობა კი ის არის, რომ ქართული სახელმწიფო 1991 წელს თავიდან დაიბადა, ეს კი, პირველ რიგში, სწორედ ღირებულებებისა და ნორმების

გადაფასებას გულისხმობდა. პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები, ინსტიტუციური მშენებლობა მხოლოდ ზედნაშენია კულტურული ტრანსფორმაციის, ღირებულებათა გადაფასების – მაგ. საფრანგეთის რევოლუცია ვერ შეძლებდა მოქალაქეობრიობის ხანის საწყისი გამხდარიყო, ევროპელ ადამიანს შინაგანად რომ არ შესძულებოდა აბსოლუტიზმის ბორკილები…

ქართველმა კი მონობის ბორკილების შეძულება დაიწყო, ბორკილების, რომლებსაც არც არასდროს შეჰგუებია ბოლომდე. დამოუკიდებლობის მოპოვებამ საშუალება მოგვცა ლიტერატურულ-რომანტიკული, მიწისქვეშა თუ ვერბალური ომი მჩაგვრელის წინააღმდეგ ღირებულებების პრაქტიკულ ბრძოლად გვექცია, რაც ჩვენი, როგორც სამოქალაქო საზოგადოებად დაბადებაში გამოიხატებოდა. ახლა ქართულ სახელწმიფოს თავად ვზრდით, ეს გზა კი ყველაზე რთული გასავლელია.

დემოკრატიის კონსოლიდაციას სწორედ ღირებულებათა გადაფასება აძლევს ბიძგს. ახლადფეხადგმულ საზოგადოებებში კი ხშირად პირიქით ჰგონიათ, რომ პოლიტიკური ცვლილებები დროთა განმავლობაში სამოქალაქო კულტურის განვითარებასაც მოიტანს შედეგად. იქნებ ასეთი მოსაზრება მისაღებიც ყოფილიყო და იმედისმომცემიც, თუმცა ჩვენს შემთხვევაში ღირებულებათა ტრანსფორმაცია არა ლოდინს, არამედ უკვე გააზრებულ და ნაფიქრ ევროპულ სამოქალაქო ღირებულებებთან დაბრუნებას უნდა გულისხმობდეს.

თუ გარდამავალ ეპოქაში ქართულ სახელმწიფოს დავაკვრიდებით, აღმოვაჩენთ, რომ ის ღირებულებები, რომლებსაც 60-იანელები შიშველი იდეოლოგიის სახით იძლეოდნენ და რომლის მეშვეობითაც ქართული საზოგადოების აღზრდის ბრძოლას შეეწირნენ კიდეც, ჩვენში კვლავ არსებობს. ტრანსფორმაციის პროცესი ხანგრძლივია, თუმცა პირველი და ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარი არის თავისუფლება – არა მხოლოდ დეკლარირებული, არა მხოლოდ იმპერიალისტური ძალისგან, არა მხოლოდ წინსვლის შეუძლებლობისგან, არამედ თავისუფლება საკუთარი თავის მართვისა, სახელმწიფოს მშენებლობისა, მომავლის განსაზღვრისა. გავლილი პოლიტიკური ცვლილებები გვასწავლის, რომ დემოკრატია არის არა პოლიტიკური წყობა, არამედ, პირველ რიგში, ფასეულობათა სისტემა და აზროვნების წესი.

სწორედ ამ პროცესში დაიწყო ქართულმა საზოგადოებამ ადამიანის, როგორც მთავარი ღირებულების, როგორც პიროვნების და არა ობიექტის დანახვა. ეს არ ნიშნავს გათითოკაცებას, არამედ ინდივიდის და მისი ინტერესების ცენტრში დაყენებას მიუხედავად სქესისა, რელიგიისა, სოციალური მდგომარეობისა და ყველაფერ იმისა, რასაც ქაღალდზე დეტალური სიზუსტით განგვისაზღვრავს კონვენციები, შეთანხმებები და ათასი განსხვავებული სახელით მიღებული დოკუმენტები. ამ რთულ გზაზე ბევრი შევიწირეთ, ბევრის უფლება ვერ დავიცავით, ბევრის შევბღალეთ, ბევრი შეგვეშალა, თუმცა ცვლილებები დაწყებულია, ამ ძლიერი ტალღის გაჩერება კი აღარ მოხდება.

ქართული სამოქალაქო ცნობიერების გარდაქმნის კიდევ ერთი ნიშანი კანონმორჩილების და კანონის უზენაესობის მნიშვნელობის გააზრების დაწყებაა. ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ საქართველოს სწრაფვა ევროპული ცივილიზაციისკენ არის არა თავსმოხვეული ან უბრალოდ ინსტინქტური სურვილი დასავლური ოჯახის წევრობისა, არამედ ბუნებრივი და ამავე დროს გააზრებული პროცესი. სამოქალაქო ღირსებისშეგნება, თავისუფალი და ღირსეული მოქალაქის არსებობა, აზროვნების და არჩევანის თავისუფლება არის იმ სახელმწიფოს ნიშანი, რომლის შენების პროცესი ერთმანეთის სისხლისღვრისთვის თავის არიდების გარეშე მაინც ვერ დავიწყეთ. თუმცა, დანაშაული იქნება იმ წინსვლის

არდანახვა, რომელსაც მიუხედავად ბევრი შეცდომისა და შეცოდებისა, 3 ათეულზე ნაკლებ წელიწადში მიაღწია ქართულმა სახელმწიფომ. აუცილებელია, ჩვენი თავი გავიაზროთ ერთ მთლიანობად. ევროპულ სახელმწიფოს, ერს ქმნიან არა ავტორიტეტები, არამედ თავისუფალი მოქალაქეები, რომლებსაც არა მხოლოდ უფლებების და უპირატესობების, არამედ პასუხისმგებლობის კონცენტრაციის ცენტრიც საკუთარ თავზე გადააქვთ.

სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ "Civicus"-ის მეთერთმეტე ნომერში, გვ. 14
ნომრის სრულად ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე:
http://cela.ge/ge/page/civicus-11

გამოყენებული ლიტერატურა

- "კულტურათა გზაჯვარედინი" - შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები და საზოგადოებრივ პოლიტიკური ცვლილებები XIX-XX საუკუნეებში - ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციების ევროპული გაერთიანება EUROCLIO .https://www.euroclio.eu/wp-content/uploads/2019/10/Students_GE_to-web-reduced.pdf
- "ღირებულებათა ტრანსფორმაცია საქართველოში" - ქ. გოლეთიანი, ჟურნალი "Civicus"-ის მეთერთმეტე ნომერი, გვ. 35 https://issuu.com/cela.ge/docs/civicus__11?utm_medium=referral&utm_source=cela.ge
- "ინტერკულტურული განათლება, პრობლემები, მათი ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში" -დავით მალაზონია, შორენა მაღლაკელიძე, ნინო ჭიაბრიშვილი, გიორგი გახელაძე https://bit.ly/4dN1RT9
- მულტიკულტურალიზმი - ნ. ჩერქეზია https://bit.ly/3JVsVS9
- მულტიკულტურალიზმი საქართველოში -ნ. ჩერქეზია https://bit.ly/4bbiaHw
- El.ge ისტორია, "მრავალეთნიკური საქართველო" https://el.ge/articles/project_tasks/articles/task/535825

გამოყენებული რესურსები

1. https://www.26may.ge/en/noezhordania
2. https://1tv.ge/audio/pikis-saati-maro-mayashvilis-dghiuri/
3. https://bit.ly/4el35F7
4. https://bit.ly/3yWSBvv
5. https://en.wikipedia.org/wiki/Treaty_of_Brest-Litovsk#/media/File:Traktat_brzeski_1918.jpg
6. https://bit.ly/4eg8WLX
7. https://bit.ly/4bTwlBx
8. https://archive.gov.ge/en/2018-1/amierkavkasiis-respublikisa-da-seimis-100-tslistavi-1
9. https://firstrepublic.ge/ka/year/30
10. https://bit.ly/3KG9KMA
11. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/119446?mode=full
12. https://archive.ge/ka/biography/204
13. https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Geo-3393.pdf
14. https://www.radiotavisupleba.ge/a/31240484.html
15. https://tabula.ge/ge/news/640604-99-clis-cin-rogor-mokhda-sakartvelos-sabchota
16. https://mythdetector.ge/en/falsifying-history-georgia-lost-historical-lands-because-of-germany/
17. https://issuu.com/name49/docs/1921/38
18. https://history-maps.com/story/Russian-Civil-War/event/Red-Army-in-Central-Asia
19. https://bit.ly/4cgPcGq
20. https://bit.ly/4aUCZ9e
21. 1. https://burusi.wordpress.com/2009/07/26/ocupation-georgia/#jp-carousel-16938
    2. https://bit.ly/4aXx03n
22. 1.https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Geo-3393.pdf
    2. https://bit.ly/3RoTgfK
23. https://bit.ly/3RoTgfK
24. 1.https://bit.ly/4bXG2ij
    2. https://bit.ly/45oxMoM
25. https://www.radiotavisupleba.ge/a/29929082.html
26. https://bit.ly/45jurrj
27. https://bit.ly/4bZFgkM
28. https://bit.ly/4b5K6vw
29. https://www.iccn.ge/index.php?article_id=228&clang=0
30. https://bit.ly/3KFDSYr
31. https://bit.ly/3Vq4cuL
32. https://civil.ge/ka/archives/31807245
33. https://gfsis.org.ge/files/my-world/30/3_artcile.pdf
34. https://bit.ly/3VGpVzZ
35. https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/321750
36. https://bit.ly/4eg8WLX
37. 1. https://idfi.ge/ge
    2. https://www.facebook.com/GreatTerrorGeo/
38. https://idfi.ge/public/upload/Analysis/1937%20.pdf
39. 1. https://idfi.ge/ge
    2. https://www.facebook.com/GreatTerrorGeo/
40. https://bit.ly/4eg8WLX
41. https://www.facebook.com/didomispolki/
42. https://youtu.be/LXOG5ww_AXM?si=uGyrwzX-DHXerTYj
43. https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/11438
44. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11439?mode=full
45. https://bit.ly/45jurrj
46. https://bit.ly/3z8D6AE

47. https://bit.ly/3zaubyD
48. https://bit.ly/3xgHSLU
49. https://bit.ly/4bZ8Oiz
50. https://bit.ly/4eg8WLX
51. https://ria.ru/20200801/1575157436.html
52. https://mythdetector.ge/ka/rogor-ashuqebda-1956-tslis-9-martis-movlenebs-sabtchotha-presa/
53. https://bit.ly/4ejnFpv
54. https://bit.ly/3z15lBm
55. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/298268
56. https://www.radiotavisupleba.ge/a/32363914.html
57. https://idfi.ge/en/14_april
58. https://www.gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=434&info_id=55121
59. https://bit.ly/4bWbjSM
60. https://bit.ly/4eg8WLX
61. https://24news.ge/read/id/26327
62. https://agenda.ge/en/news/2016/843#gsc.tab=0
63. https://bit.ly/4b0y72j
64. https://mtavari.tv/news/80939-35-celi-9-aprilis-tragediidan-tavisuplebis
65. https://bit.ly/3uMAciS
66. https://info.imedi.ge/en/society/1201/swedish-embassy-vows-support-for-united-strong-european-georgia-on-april-9-tragedy-anniversary
67. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/68169
68. https://bit.ly/3x89Byy
69. https://bit.ly/4cnOyqF
70. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/93682
71. https://n.24news.ge/read/id/49783
72. https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/272748
73. https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/28409
74. https://bit.ly/4eg3XuV
75. https://bit.ly/3VHOmx0
76. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/162698
77. https://www.euroclio.eu/wp-content/uploads/2019/10/Students_GE_to-web-reduced.pdf
78. https://www.ambebi.ge/article/169522-nato-sakartvelos-komisiam-ertoblivi-deklaracia-miigo/
79. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/230073?mode=full
80. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/238465
81. https://bit.ly/3yXnnEK
82. https://bit.ly/3XmzO7a
83. https://bit.ly/4bXwcN7
84. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/238465
85. https://bit.ly/4bXwcN7
86. https://bit.ly/4acmEwi
87. https://bit.ly/3VlFxY5
88. https://infocenter.gov.ge/en/nato-georgia/nato-georgia-history/
89. https://bit.ly/3Vqt2L7
90. https://infocenter.gov.ge/en/nato/establishment-of-nato/
91. https://gfsis.org.ge/files/my-world/17/2.pdf